პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

კვირა, 26 ივლისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 170 (1325)

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6

დღიური

- უცხოელ კომუნისტების პროტესტი ბურჟუაზიული ტერორის წინააღმდეგ პოლონეთში.
- ბულგარეთში დახვრეტა გადაუწყვიტეს 7 კაცს.
- ოსმალეთსა და ინგლისს შორის დამოკიდებულება გამწვავდა.
- ხორვატიის გლეხთა პარტია უკმაყოფილოა რადიჩის დათმობით მთავრობის წინაშე.

„კომუნისტი"

მიიღება ხელის მოწერა

აგვისტოსათვის

1 თვით { მუშა-მოსამსახურეებისათვის თბილისში და პროვინციაში 75 კაპ.

დანარჩენებისათვის { თბილისში 1 მან. პროვინციაში 1 მ. 20 კ.

კანტორა: რუსთაველის პრ. № 24. ტელეფ. № 10—49

იგზავნება და ამ დღეებში დაურიგდება ხელისმომწერლებს

უფასო დამატებები:

1. „მეცნიერება და ტექნიკა" № 13--14
2. „ჩირაღდანი" № 11--12

იუმორისტული განყოფილებით „ეშმაკის მახე" № 2.

ინგლისი დიდი ამბების მოლოდინში

მრეწველობის კრიზისის ნიადაგზე სოციალური ბრძოლა ინგლისში ამ ბოლო დროს ფართე და მწვავე ხასიათს ღებულობს. ერთ დროს მსოფლიო ბაზრის თითქმის სრულ ბატონ-პატრონს, ინგლისს დღეს თავსამტვრევ საკითხად გადაქცევია საქონლის გასაღება. მას ხელიდან თანდათან ეცლება ძველი ბაზრები, რომელთაც ეუფლებიან სხვა ქვეყნები—ამერიკა, იაპონია, დაუესის გეგმით „სულმოთქმული" გერმანია. თვით დომინიონებიც ზურგს უბრუნებენ თავის მფარველს. აღმოსავლეთის სახელმწიფოებში და კოლონიებში ინგლისის საქონელისადმი ბოიკოტის პოლიტიკა ძლიერდება. თვით ინგლისშიც იჭრება უცხოეთის მრეწველობის პროდუქცია.

ნაწარმოების გაუსაღებლობამ გაზარდა მისი ფასი, რამაც უფრო გააძნელა ბაზრის შოვნა. ბრიტანეთის სავაჭრო ბალანსი გაუგონრად პასიური შეიქნა.

მრავალი ფაბრიკა-ქარხანა დაიხურა ან მუშაობს არა სრული დატვირთვით. უმუშევართა რიცხვი სწრაფად მრავლდება.

მრეწველები თავის შერყეულ მდგომარეობის გამოსაკეთებლად „ნაცად" საშუალებას მიმართავენ—მუშებისათვის ხელფასის დაკლებას და სამუშაო დღის გადიდებას. ისინი ხელის მოთხობასაც ლამობენ მრეწველობის კრიზისზე. მდგომარეობას უფრო შავად სახავენ, ვინემ არის, რათა მეტად „დააწვენ" მუშებს და მათ მიუღებელი შრომის პირობები მოახვიონ. მათი მოთხოვნის მიუღებლობის შემთხვევაში ისინი იმუქრებიან წარმოებათა დახურვით და მუშების დათხოვნით (მაგ. სამთომადნო მრეწველობაში).

ამასთან აუტანელია უმუშევართა მდგომარეობა. ბალდვინის მთავრობა იღებს გადაჭრილ ზომებს, რათა წაართვას უმუშევართა მრავალ ჯგუფებს დაზღვევის უფლება და შეუმციროს დასაზღვევი დახმარების ნორმა იმათ, ვისაც ეს უფლება რჩება.

უმუშევართა უკმაყოფილებამ მეტად ფართო ხასიათი მიიღო. მათ მიერ 22 ივნისს მოწყობილმა გრანდიოზულმა დემონსტრაციამ დააფიქრა როგორც მთავრობა, ისე მუდამ ზომიერი ტრედიუნიონების საბჭო. უმუშევრებმა, თავის მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნასთან ერთად, რევოლიუციონური ლოზუნგებიც წამოაყენეს, რომელთა შორის საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენის მოთხოვნას დიდი ადგილი ეჭირა. ესევე კატეგორიულად მოსთხოვა მთავრობას გენერალურმა საბჭომ, რადგან ჩვენს რესპუბლიკებთან ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენა-განვითარება არის ერთ-ერთი საშუალება ინგლისის მრეწველობის გამოსაცოცხლებლად და უმუშევრობის შესამცირებლად.

გუშინ მკითხველი წაიკითხავდა ცნობას, რომ ინგლისში მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვა. საქმეს მეთაურობენ სამთომადნო მუშები. აღსანიშნავია, რომ საყოველთაო გაფიცვის წინადადების გატარებას მოითხოვენ სამთომადნო მუშათა ფედერაციის მემარჯვენე ლიდერებიც. მუშები ამასთან მოითხოვენ „მოქმედების კომიტეტის" ორგანიზაციას, ბრძოლას საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის და სხ. ტრედიუნიონების ქვე-კომისია იწონებს სამთომადნო მუშების მოქმედებას და აღუთქვამს მათ ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს დახმარებას.

აქ საგულისხმო ის არის, რომ იმდენად მძლავრია მასსების რევოლიუციონური განწყობილება, რომ მუშათა კლასის მემარჯვენე წრეები ვერ ბედავენ მათ წინააღმდეგ გალაშქრებას და იძულებული არიან აყვენ, რომ თვითონ არ დარჩენ გარიყულნი.

დამახასიათებელია, რომ მთავრობის წარმომადგენელი აფრთხილებს მუშებს—„გაფიცვის გამოცხადება მოასწავებს რევოლიუციასო". მთავრობა აშინებს ინგლისის პროლეტარიატს რევოლიუციის სახელით! ვინ უნდა კრთოდეს რევოლიუციის შიშით, კონსერვატორები თუ მუშათა კლასი,—ამაზე გაჩუმებას არჩევს მთავრობის წარმომადგენელი. სამწუხაროდ, ჯერ მაინც არ მისულა ინგლისის პროლეტარიატი რევოლიუციის მოხდენის აუცილებლობის შეგნებამდე, მაგრამ მდგომარეობა მაინც სერიოზულია; სამთამადნო მუშათა ფედერაციის მეთაურები თავის პოზიციებს არ სთმობენ, მიუხედავად „რევოლიუციით დაშინებისა".

ეხლა შეუძლებელია იმის თქმა, თუ უშუალოთ რით გათავდება ეს ბრძოლა. რომ კიდეც მოხდეს დროებითი კომპრომისი, ცხადია, მომავლში უფრო მეტი სიძლიერით იჩენს თავს მუშათა რევოლიუციონური განწყობილება.

ამავე დროს მუშათა დღევანდელ მოძრაობას ინგლისში დიდი მნიშვნელობა აქვს კერძოდ საბჭოთა კავშირისათვის. ჩემბერლენებს ზურგი შერყეული აქვთ და ესპობათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ „თავისუფალი" მოქმედების საშუალება. ინგლისის მუშათა კლასი ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეა.

ქართული კონტრ-რევოლუცია პროლეტარულ სასამართლოს წინაშე

ხუთი პოლიტიკური პარტია ზის დღეს დამნაშავის სკამზე. ორმოცდაშვიდი კაცია წამდგარი უზენაეს სასამართლოს წინაშე იმ ბოროტმოქმედებისათვის პასუხის საგებათ, რომელიც წარსულ აგვისტოში ლოღიკურ დასკვნათ მოჰყვა ქართულ ანტი-კომუნისტურ ძალების ორწლინახევრის კონტრ-რევოლიუციურ საქმიანობას.

დღეს მაინც ველარავინ იტყვის, რომ აგვისტოს გმირებს პირთ დაადეს ბოქლომი და თავისუფალ აზრის გამოთქმის საშვალება წაართვეს, დღეს მაინც ველარავინ გაბედავს სთქვას, რომ ბრალდებულთა პირით ლაპარაკობს საგანგებო კომისია, როგორც ამას ამტკიცებდენ აქამდი.

სასამართლოს თავისუფალი ტრიბუნა უფლებას აძლევს ყველას შეუზღუდავათ და სინიდისის ქვეშ გამოსთქვან საკუთარი აზრი. ბევრი გულწრფელი განცხადებები მოვისმინეთ ჩვენ ბრალდებულთა სკამიდან ამ ათი დღის განმავლობაში, ბევრი აღსარება იყო თქმული დამარცხებულ აჯანყების ხელმძღვანელებისაგან. და ვერსად, ვერც ერთის სიტყვაში, ვერავის გამოსვლაში ვერ ვნახეთ ისეთი თავზე ხელაღებული, გონება დაკარგული კაცი, რომელსაც გაემართლებინოს შარშანდელი აგვისტოს გამოსვლები.

„ავანტიურა",—ასეთია ის სიტყვა, რომლითაც აფასებს ბრალდებულთა უმრავლესობა მომხდარ ამბებს. სხვა დახასიათება ამ მოქმედებისათვის არ მოიპოება.

ჯერ კიდევ პროცესი არ დამთავრებულა და ჩვენს წინაშე ერთხელ კიდევ გადაშლილია იმ უპრინციპობის, წაჯექ-უკუ ჯექობის და პოლიტიკურ დონკიხოტობის სურათი, რომელიც შექმნა ქართულ მენშევიზმმა და მის მაჩანჩალა პარტიებმა თავის მუშაობით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

შეიარაღებული ინტერვენცია, ბანდიტური თავდასხმები, ტერორი საბჭოთა პლატფორმაზე გადმოსულ მუშების წინააღმდეგ, ჯაშუშობა კაპიტალისტურ სახელმწიფოების სასარგებლოდ, მატარებლების ძარცვა-გლეჯა და სხვა ასეთი მარგალიტები,—აი ის გზა, რომლითაც მიდიოდა ქართული კონტრ-რევოლიუცია ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში და რომელიც მიიყვანა მისი აქაური მეთაურნი დღეს უზენაეს სასამართლოს საბრალმდებლო სკამზე.

ყოველივე ამას აგვისტოს გმირების სიტყვით „დამოუკიდებელ საქართველოსათვის ბრძოლა ეწოდებოდა", ყველა ეს „ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობათ" ინათლებოდა და ამ „კეთილშობილ იდეის" მოციქულთ ხალხის წამებულათ მოჰქონდათ თავი.

ძვირად დაუჯდა ქართულ კოალიციონურ კონტრ-რევოლიუციას ცეცხლთან თამაში. მასიურ შეიარაღებულ აჯანყების ცდა მისი ორგანიზაციული და პოლიტიკური სიკვდილით დამთავრდა.

აგვისტოს გამოსვლებს თავის დროზე საქართველოს მშრომელ ხალხმა შესაფერი პასუხი გასცა და სათანადო განაჩენი გამოუტანა. დღეს ამ მოძრაობის აქაური სულისჩამდგმელნი უზენაეს სასამართლოს წინაშე დგანან საბჭოთა მართლმსაჯულების განაჩენის მოლოდინში.

ჩვენთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს ცალკე პიროვნებების ბედი, რომელნიც პასუხს აგებენ სასამართლოს წინაშე. დღეს ისინი, როგორც ერთ ბრალდებულთაგანმა განაცხადა, პოლიტიკურ ლეშს წარმოადგენენ. მათი „დამოუკიდებელ" საქართველოს იდეა, რომელიც კაპიტალისტურ სახელმწიფოების საწველ ფურს წარმოადგენდა ტკბილ მოსაგონებათ-ღა გადაიქცა.

თუ კიდევ იყო ქართველ ხალხში ისეთი გულუბრყვილო, რომელსაც გულწრფელად წარმოედგინა საქართველოს დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის გარეშე, დღეს ის უკვე თანდათან რწმუნდება ასეთი შეხედულების უსუსურობაში. ამ მომხიბლავ, წარმტაც ლოზუნგს, რომლის ქვეშაც იმალება ბატონ უცხო კაპიტალის დამანჭული სახე, დღეს თანდათან ეცლება ნიადაგი საქართველოს არარევოლიუციონურად განწყობილ ელემენტებშიაც კი.

ცხადია, დიდია დანაშაული პარტიულ კონტრ-რევოლიუციის. მათი სისხლიც ვერ ზღავს იმ დანაკლისს, რომელიც შიო-მღვიმის რაინდებმა მიაყენეს ქართველ მშრომელ ხალხს წარსული წლის აგვისტოს გამოსვლებით.

მაგრამ საბჭოთა სასამართლოს და მის სისხლის სამართლის კოდექსის ნიშანდობლივ თვისებას თავდაცვა და არა შურისძიება წარმოადგენს. ის იმდენათ სასტიკი და დაუნდობელია, რამდენათაც ძლიერი და საშიშია მოწინააღმდეგე, და იმდენადვე ლმობიერი, რამდენადაც დამნაშავე ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების კეთილდღეობისათვის.

ასე და მხოლოთ ასე უდგება საბჭოთა მართლმსაჯულება ყოველივე დანაშაულს. ამიტომ საქართველოს მშრომელ ხალხს, რომელსაც ჯერაც კიდევ არ მოშუშებია აგვისტოს ავანტიურით მიყენებული იარები და, რომელიც წყევლა-კრულვით იხსენიებს ამ ავანტიურის უცხოეთში მყოფ და შინაურ სულისჩამდგმელთ, უნდა ახსოვდეთ, რომ საბჭოთა სასამართლო ამ შემთხვევაშიაც არ გადაუხვევს რევოლიუციურ მიზანშეწონილობის და სარგებლიანობის ხაზს.

ა.

დასახიჩრებულთა შრომის გამოყენება

არსებობს ომში დასახიჩრებულთა სოციალური უზრუნველყოფის ორი ფორმა; ერთია, როცა ომში დასახიჩრებულს ეძლევა სახელმწიფოსაგან ყოველთვიური შემწეობა პენსია, ხოლო მეორეა ისეთი პირობების შექმნა, ისეთი ნიადაგის მომზადება, როცა მას (დასახიჩრებულს) შეუძლია დამოუკიდებლათ, სხვის დაუხმარებლად, ირჩინოს თავი. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს დასახიჩრებულთა შრომის გამოყენება, მათი არტელებში ჩაბმა და სხვ. სოციალურ უზრუნველყოფის პირველი ფორმა ამჟამად არ თამაშობს და ვერც ითამაშებს დიდ როლს. დღევანდელ პირობებში არც ერთ სახელმწიფოს არ ძალუძს მისცეს დასახიჩრებულთ ისეთი პენსია, რომელიც ოდნავ მაინც დააკმაყოფილებს მათ საჭიროებას.

სოციალურ უზ. მეორე ფორმა უფრო მიზანშეწონილი და რაციონალურია. ამ გზით დასახიჩრებულს ნივთიერად გაცილებით უკეთესად და მეტად უზრუნველვყოფთ. ვიდრე მცირე, უმნიშვნელო პენსიის მიცემით. მეორეს მხრით შრომის ფერხულში ჩაბმა დასახიჩრებულზე ფსიქოლოგიურათ დიდ გავლენას ახდენს. საქმე იმაშია, რომ ფიზიკური დეფექტის შეგნება ბუნებრივათ იწვევს დასახიჩრებულის არსებაში უკმაყოფილებას და სულიერ ტანჯვას. ფიქრი თავის სიმახინჯის შესახებ ინვალიდის განცდაში საშინელ მომენტს წარმოადგენს, ისე მომენტს, რომელიც იწვევს შეურაცხყოფის და უკმაყოფილების გრძნობას. „პენსიონერობა", ე. ი. ის გარემოება, რომ იგი ზედმეტ ბარგათ აწევს სახელმწიფოს და საზოგადოებას, კიდევ უფრო აძლიერებს მასში სულიერ ტკივილებს. ყველაფერი ეს, უმოქმედობასთან ერთად, ბადებს ინვალიდის გონებაში ცუდ აზრებს, გაბოროტებას და სულიერ წონასწორობის დარღვევას, მხოლოდ შრომას და ამ ნიადაგზე წარმოშობილ საღ აზრებს და გრძნობებს შეუძლია იხსნას დასახიჩრებული წყვდიადით მოცულ ცხოვრებისაგან და გაუთანასწოროს იგი საზოგადოების დანარჩენ წევრებს.

სწორედ ამიტომ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დასახიჩრებულთა შრომის გამოყენებას, მათ ჩაბმას არტელებში.

პირველ ხანებში, საპატიო მიზეზების გამო, დასახიჩრებულთა არტელების მოწყობისა და ხელმძღვანელობის საქმე მოიკოჭლებდა. ამჟამად კი მდგომარეობა შესამჩნევად გამოსწორდა და ჩვენ გვაქვს ამ დარგში საგრძნობი მიღწევები.

უკანასკნელ ცნობების მიხედვით საქართველოში არსებობს სულ 71 არტელი, აქედან თბილისში არის 42 არტელი, შირაქის მაზრაში—21, ახალციხეში—2, ქუთაისში—2, სიღნაღში—2, ზუგდიდში 1 და ოზურგეთში 1. ამ არტელებს აქვთ სულ 97 საწარმოო და სავაჭრო დაწესებულებანი (ფურნე, სახელოსნოები, ქარხნები, სასადილოები, სავაჭრო დუქნები, ბუდკები და სხვა).

თავის ხასიათის მიხედვით არტელები არის: საწარმოო 22, სავაჭრო 40, შრომის—4, შერეული—5. კერძოთ თბილისში ასეთი მდგომარეობაა: საწარმოო არტელი არის—20, სავაჭრო—16, შრომის—3, შერეული—8. წევრთა რიცხვი ყველა არტელებში უდრის—306. აქედან ინვალიდებია 238 (მათ შორის ჯარისკაცია—195, ხოლო ყოფილი ოფიცერი — 20) არა ინვალიდები—68. არტელებს ხელმძღვანელობს კოლეგია, რომელიც დანიშნულია სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ. ეს კოლეგია სულ 4 თვეა რაც მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში მოხდა ყველა არტელების ხელახალი შემოწმება და რეგისტრაცია. არტელებიდან გამორიცხულ იქნა მავნე, არასაიმედო და სპეკულიანტური ელემენტი. ზოგიერთი ელემენტი, რომელიც თავის მოქმედებით სახელს უტეხდა ინვალიდთა კოოპერაციას, კოლეგიის დადგენილებით სრულიად დაიხურა. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს არტელებისათვის ჰყავს ორი ინსტრუქტორი. ერთი მათგანი მუშაობს თბილისში მეორე კი პროვინციას ემსახურება. ინსტრუქტორები თვალყურს ადევნებენ იმას, რომ არტელებში ადგილი არ ექნეს წესდების დარღვევის შეთხვევებს, დაქირავებულ შრომას, ანგარიშების არასწორ წარმოებას, ჩარჩ-სპეკულიანტებს და სხვა. მათივე მოვალეობაა არ დაუშვან არტელში კანონით დაწესებული შეფარდების დარღვევა ინვალიდთა და არა ინვალიდთა შორის. (სამ ინვალიდზე დასაშვებია მხოლოდ ერთი არა ინვალიდი).

ინვალიდები (რიცხვით 238), რომლებიც ამ ჟამად მუშაობენ არტელებში, მოხსნილი არიან სახელმწიფო მომარაგებიდან. ისინი საკუთარი შრომით ირჩენენ თავს და არჩენენ ცოლშვილს. ეს უეჭველათ დიდი მიღწევაა, მაგრამ ამით ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით. დაწყებული საქმე მოითხოვს გაფართოებას და განვითარებას. მიმდინარე წელს ჩვენ ვფიქრობთ ჩავაბათ ინვალიდთა კოოპერაციაში 500-მდე ინვალიდი. განზრახული გვაქვს აგრეთვე გავადიდოთ არტელების რიცხვი პროვინციაში.

ამნაირათ ჩვენი მუშაობა ამ დარგში ემყარება უმთავრესათ დასახიჩრებულთა თვითმოქმედებას და მათი შრომის გამოყენებას.

მართალია, მუშაობის პროცესში ჩვენ ბევრი დაბრკოლება გვეღობება წინ, განსაკუთრებით ხელს გვიშლის ნივთიერი ხელმოკლეობა, მაგრამ ჩვენ მაინც რწმენას არ ვკარგავთ და გვჯერა, დაწყებულ საქმეს გამარჯვებით დავაგვირგვინებთ.

გ. პარკაძე.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობებით)

მოკავშირეები და გერმანია

ლიუტერის გამოსვლა

ბერლინი, 24 ივლისი. რეიხსკანცლერი ლიუტერი გამოვიდა რეიხსტაგში შემდეგი განცხადებით:

„გერმანიას შეუძლია საგარანტიო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა მხოლოდ თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთვალდებულებათა შესრულების საფუძველზე.

გერმანია განიარაღდა, ის ახლა უმწეო არის, მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოები აძლიერებენ სამხედრო ძალებს. გერმანიამ უნდა მიიღოს კანონიერი გარანტია, რომ მისი ტერიტორია არ გახდება სამხედრო შეჯახებათა სარბიელათ. ასეთი შეტაკებებია მოსალოდნელი ერთა ლიგის მთელ რიგ გადაწყვეტილებების გამო სახელმწიფოებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა ნიადაგზე. საერთო სადაო საკითხების საბოლოოთ გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოთ განიარაღებასთან დაკავშირებულ საკითხების გადაწყვეტით, მათ რიცხვში რეინის ჩრდილოეთ ზონის დაცლის საკითხისაც.

დასკვნაში ლიუტერმა სთქვა, რომ გერმანიის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს ნამდვილ მშვიდობიანობის დასამყარებლათ.

რეიხსტაგმა მოიწონა მთავრობის საგარეო პოლიტიკა

ბერლინი, 24 ივლისი. 235 ხმის უმრავლესობით 153 წინააღმდეგ (13 თავი შეიკავა), რეიხსტაგმა მოიწონა მთავრობის საგარეო პოლიტიკა. წინააღმდეგ ხმა მისცეს სოციალ-დემოკრატებმა, კომუნისტებმა და ტევტონელებმა.

საფრანგეთის ელჩი ჩემბერლენთან

ლონდონი, 24 ივლისი. ჩემბერლენმა მიიღო საფრანგეთის ელჩი დეფლერიო, რომელმაც გაუზიარა მინისტრს საფრანგეთის მთავრობის მოსაზრებანი, გერმანიის საპასუხო ნოტაზე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

საფრანგეთის პრეტენზიები

ლონდონი, 25 ივლისი. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი, რომელიც ახლოს სდგას ინგლისის გარეშე საქმეთ სამინისტროსთან, სწერს, რომ საფრანგეთი ძველებურად მოითხოვს, რათა მას მიენიჭოს ერთად-ერთი არბიტრის უფლება ყველა საარბიტრაჟო მოლაპარაკებაში, რომელიც განზრახულია გერმანიასა და პოლონეთს შორის, და აგრეთვე გერმანიასა და ჩეხოს-სლოვაკიას შორის, და იმ შემთხვევაშიაც, თუ ადგილი ექნა კონფლიქტს გერმანიასა და ამ ქვეყნებს შორის. გაზეთი დასძენს, რომ ასეთი თვალსაზრისი აძლევს საფრანგეთის ვალდებულებებს ცალმხრივ ხასიათს და ავალდებულებს საფრანგეთს დაიცვას პოლონეთი იმ შემთხვევაში, თუ მას თავს დაესხენ, მაგრამ არ ხდის ვალდებულს დაიცვას გერმანია, თუ უკანასკნელს თავს დაესხმიან.

„ტან"-ი შტრეზემანის განცხადების შესახებ

პარიზი, 24 ივლისი. კომენტარიებს უკეთებს რა შტრეზემანის განცხადებას რეიხსტაგში საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ, „ტან"-ი მას ნაკლებ დამაკმაყოფილებლათ სთვლის. „როდესაც შტრეზემანი აცხადებს, რომ გერმანია შეტევას იწყებს მშვიდობიანობის განსახორციელებლათ—სწერს „ტან"-ი,—ეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ გერმანია შეტევას იწყებს იმ მიზნით, რომ მიაღწიოს ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვას. სწორედ ამიტომ ნაციონალისტი ვესტარპი იწონებს შტრეზემანის მოქმედებას".

გაზეთი უმატებს, რომ საგარანტიო ხელშეკრულებამ არ უნდა დაარღვიოს მოკავშირეების უფლებები, რომლებიც გამომდინარეობს არსებულ ხელშეკრულებებიდან.

ოსმალეთი და ინგლისი

ინგლისის კომისარის თავხედური განცხადება

სტამბოლი, 24 ივლისი. ოსმალეთის პოლიტიკურ და საზოგადო წრეებში დიდი აღშფოთება გამოიწვია ირაქში ინგლისის უზენაეს კომისარის შემდეგმა განცხადებამ, ინგლისის მიერ მოსსულის დაკავების გამო:

„კონფლიქტი ინგლისსა და ოსმალეთს შორის მოგვაგონებს დამოკიდებულებას ტომის ძლავრ ბელადსა და მის მსახურთ შორის. მსგავსი კონფლიქტები სწყდება მბრძანებელის სურვილის მიხედვით, მსახური კი უნდა დაემორჩილოს მას. დამშვიდდით—ოსმალები ვერ ეღირსებიან მოსსულის ნახვას".

ოსმალეთის ხელმძღვანელი ორგანო „ჯუმურიეტი" ამის გამო აცხადებს, რომ ინგლისს უკვე დიდიხანია უწოდეს ვერაგი ალბიონი. ცნობილია მსოფლიოში მისი სიძულვილი ყველა არა ინგლისელებისადმი. „ამგვარი თავხედობა—ამბობს გაზეთი—აჭარბებს ყოველგვარ მოლოდინს".

ბურჟუაზიული ტერორი

პოლონეთი

„ძირს პოლონეთის ბურჟუაზიის პროვოკატორული სისტემა"

მოსკოვი, 25 ივლისი. ვარშავაში სამი კომუნისტის საველე სასამართლოსადმი გადაცემის გამო, რომელთაც განზრახული ჰქონდათ პროვოკატორის მოკვლა, გამოქვეყნებულია მოწოდება რვა უცხოელ კომუნისტის—კომინტერნის აღმასკომის წევრების ხელმოწერით.

უთითებს რა პოლონეთის მთავრობისა და პოლიციის მიერ მუშებს შორის პროვოკაციისა და შპიონაჟის წარმოებაზე, მოწოდება აღნიშნავს, რომ პროვოკაციის აღმოფხვრა წარმოადგენს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს პოლონეთის მუშათა მოძრაობისთვის. უკიდურესობამდე მიყვანილი მუშები ჰხოცავენ პროვკატორებს.

დაბოლოს მოწოდება თავდება მოწოდებით პროტესტისაკენ მუშა-კომუნისტების სამხედრო-საველე სასამართლოსადმი გადაცემის წინააღმდეგ. „ძირს პოლონეთის ბურჟუაზიის პროვოკატორული სისტემა,—ნათქვამია მოწოდებაში—ძირს თეთრი ტერორი".

ბულგარეთი

კიდევ შვიდი

ვენა. 24 ივლისი. „მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის გამო, სამხედრო სასამართლომ გლივენში სიკვდილით დასჯა მიუსაჯა 7 კაცს; 40 კაცს მისჯილი აქვთ დაპატიმრება.

დამცველ კარანოვის წინააღმდეგ აღძრულია საქმე „მის მიერ სამხედრო სასამართლოს შეურაცხყოფისათვის და ცილისწამე-ისათვის იმ განცხადებით, რომ სამხედრო სასამართლოში გადაცემული წინასწარ უნდა იყვეს დარწმუნებული საბრალმდებლო განაჩენის გამოტანაში".

„კომპარტიის სამხედრო ორგანიზაციის" საქმე

ვენა, 24 ივლისი. სოფიის სამხედრო სასამართლოში დაიწყო კომპარტიის არ არსებულ სამხედრო ორგანიზაციის პროცესი. საქმეში ბრალი ედება 26 კაცს; გამოძახებულია 30 მოწმე.

პროცესის პირველ დღეს დამცველების მიერ შეტანილი წინადადება საქმის გამოძიების რამოდენიმე დღით გადადების შესახებ საბრალმდებლო ოქმის დაწვრილებით შესწავლის მიზნით, სასამართლოს მიერ უარყოფილი იქნა.

რადიჩის მოღალატეობის წინააღმდეგ

ვენა, 24 ივლისი. ხორვატიის გლეხთა პარტიის კრებაზე ბელგრადში დეპუტატმა სუპერინმა გააკეთა მოხსენება რადიკალებთან კოალიციის შესახებ. დეპუტატი უროჩი წავიდა ამის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ პარტიის ხელმძღვანელებმა უღალატეს პარტიის საარჩევნო პროგრამას. იგივე აზრი გამოსთქვეს დეპუტატებმა—იავაჩიჩმა, ბუჩმა და ტროიანოვიჩმა, რის შემდეგ ყველა ხუთივემ დასტოვა სხდომის დარბაზი.

ვენა, 24 ივლისი. ხორვატიის გლეხობა უკმაყოფილოა რადიჩის პარტიის დათმობაზე წასვლით. ზაგრების მუშური ორგანოს „ბორბა"-ს საშუალებით რადიჩის პარტიის გლეხი-წევრები პროტესტს აცხადებენ პარტიის ხელმძღვანელთა ღალატის წინააღმდეგ, და თავის თავს უწოდებენ რესპუბლიკანელებს და მუშურ-გლეხური კავშირის მომხრეებს. განსაკუთრებით უკმაყოფილოა არის ზაგრების მიდამოების ღარიბი გლეხობა.

მდგომარეობა ჩინეთში

ნოტა პეკინის მთავრობას

პეკინი, 24 ივლისი. იაპონიის ელჩმა ჩინეთში იოშიზავამ გადასცა პეკინის მთავრობას ჩინეთისადმი მუქარით აღსავსე ნოტა.

იძლევა რა დახმარების იმედს არათანასწორ ხელშეკრულებათა განხილვის საკითხში, ნოტა აღნიშნავს, რომ ამის განხორციელებას ჩინეთი შესძლებს მაშინ, თუ წინდახედულობას გამოიჩენს. ჩინეთი მოვალეა მოაგვაროს თავისი შინამართველობა წინასწარ, ვიდრე წამოაყენებდეს საკითხებს, რომლებიც ეხებიან უცხო სახელმწიფოებს.

ნებართვა საქონლის გადმოტვირთვაზე

პეკინი, 24 ივლისი. შანხაის ჩინური ორგანიზაციების გაერთიანებულმა კომიტეტმა ნება დართო ჩინელ ვაჭრებს გადმოტვირთონ თავისი საქონელი სანავთსადგურო საწყობებიდან ნავთსადგურის მუშებისა და თვით ვაჭრების მძიმე მდგომარეობის შესუმბუქების მიზნით.

ინგლისის გემების მეზღვაურების გაფიცვა

პეკინი, 24 ივლისი. იაპონიისაკენ მიმავალ ინგლისის გემების ჩინელი მეზღვაურები სტოვებენ გემებს და უერთდებიან გაფიცულებს.

ინგლისი დათმობაზე მიდის

პეკინი, 24 ივლისი. „ნორდ-ჩაინა-სტარ"-ის ცნობით, პეკინში მყოფ ინგლისის რწმუნებულმა მოითხოვა შანხაიდან ინგლისის გენერალურ კონსულის ბარტონის გამოწვევა.

რეიტერის სააგენტო კი უარჰყოფს ამ ცნობას.

მტაცებლებს ეშინიათ

პეკინი, 24 ივლისი. ჰონკონგში ინგლისის სავაჭრო პალატა დაჟინებით მოითხოვს ახალ შეიარაღებულ ძალების გაგზავნის ჩინეთში.

ჩან-ძო-ლინი „მოქმედობს"

პეკინი, 24 ივლისი. გენერალი ჩან-ძო-ლინი შეუდგა მუშათა კავშირების დახურვას.

დახურულია შრომის კავშირი, რომელიც ცნობილი იყო ჩინურ ორგანიზაციების გაერთიანებულ კომიტეტის სახელწოდებით, და აგრეთვე მეზღვაურთა კავშირი; სწარმოებს მრავალრიცხოვანი დაპატიმრებანი.

პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს დელეგაცია ჩინეთში

პეკინი, 24 ივლისი. პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს დელეგაცია ლეპსეს, სმურგისის და ბრისკინის შემადგენლობით ხუთშაბათს ჩავიდა პეკინში.

კანტონში

ნიუ-იორკში, 24 ივლისი. „ასოშიეტედ პრესი" კანტონიდან იუწყება:

„ინგლისის გენერალურ კონსულის ცნობით კანტონის დღევანდელი მთავრობა ნიშნავს რუსეთის წითელ კომანდირებს თავის ნაღმოსან გემების უფროსებად".

ფოსტის მოსამსახურეები კანტონში შეუერთდენ საგაფიცვო მოძრაობას.

ამერიკა და ჩინეთი.

პეკინი, 24 ივლისი. იაპონიის სააგენტოს „ნიპპონ დემპო"-ს ცნობებით, ჩინეთის მთავრობა უკმაყოფილოა ამერიკის პოზიციით ჩინეთის ამბების მიმართ.

ხმების მიხედვით, გელოგმა ოფიციალურად აცნობა ჩინეთის ელჩს ვაშინგტონში, რომ ამერიკა მხარს დაუჭერს ჩინეთს, მაგრამ, ამერიკის ელჩმა მაკ-მურეიმ პეკინში ჩასვლის შემდეგ განაცხადა, რომ მისი მთავრობა იმოქმედებს ინგლისთან და იაპონიასთან შეთანხმებით.

კანტონის გარეშე საქმეთა კომისარის დეპეშა.

ვაშინგტონი, 24 ივლისი. ამერიკის შრომის ფედერაციამ კანტონის მთავრობის გარეშე საქმეთა კომისრისაგან მიიღო დეპეშა, რომელიც მოითხოვს სამართლიან მოპყრობას ჩინეთისადმი და უცხოელთა პრივილეგიების გაუქმებას.

ბანკეტი ჩვენი მფრინავების საპატივცემლოთ

პეკინი, 24 ივლისი. პეკინის ცენტრალურ პარკში გომინდანმა ჩვენი საჰაერო ექსპედიციის საპატივცემლოთ გამართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ გომინდანის და ჩვენი საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები და საბჭოთა ჟურნალისტები, რომლებიც მონაწილეობს იღებდენ მოსკოვ-პეკინის გადაფრენაში.

გერმანელი მუშები მოსკოვში

სახ. მეურნეობის საბჭოში.

მოსკოვი, 25 ივლისი. გერმანიის მუშათა დელეგაცია ეწვია უმაღლეს სამეურნეო საბჭოს. ამ შემთხვევისათვის გაიმართა საზეიმო შეერთებული სხდომა საბჭოთა კავშირის და რუსეთის უმაღ. სამ. საბჭოთა პრეზიდიუმისა.

ამხ. განცევმა წარმოსთქვა შესავალი სიტყვა, სადაც გერმანიის მუშათა კლასს ავალებს ყველაფერი იღონოს, რომ გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა არ დარღვეულიყოს ზოგიერთ, კაპიტალისტურ ჯგუფების მეოხებით. შემდეგ გაკეთებულ იქნა მთელი რიგი მოხსენებანი წარმოებისა და მეურნეობის საერთო მდგომარეობისა და განვითარების შესახებ.

ამ მოხსენებათა შესახებ დელეგატები იძლევიან მრავალ კითხვებს, რომელზედაც პასუხი მიეცემათ წერილობით.

დელეგაციის სახელით ილაპარაკა ბეკმა. მან განაცხადა, რომ საბჭოთა მუშათა კლასის მაგალითმა უნდა წააქეზოს გერმანიის პროლეტარიატი, რომ უფრო მედგრათ განაგრძოს ბრძოლა სრულ განთავისუფლებისათვის.

ფრაიბერგერი—საპატიო პიონერი.

მოსკოვი, 25 ივლისი. გერმანიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარე ფრაიბერგერი ინახულეს პიონერთა რაზმებმა, რომელსაც გადასცეს ადრესი მის საპატიო პიონერათ არჩევის შესახებ. აგრეთვე გადასცეს წერილობითი სალამი გერმანიის პიონერებისთვის.

სასპორტო დღესასწაული.

მოსკოვი, 25 ივლისი. მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს საცურაო სკოლაში გაიმართა სასპორტო დღესასწაული გერმანიის დელეგაციის პატივსაცემად. დღეობის დასასრულს დელეგაცია ნავებით გაემგზავრა ყოფილ ვორობიოვის გორაკებისკენ, სადაც მათ გაუმართეს ამხანაგური ვახშამი.

გერმანიის მასწავლებლები განათ. სახ. კომისარიატში.

მოსკოვი, 25 ივლისი. დელეგაციაში მყოფ მასწავლებლებმა ინახულეს გან. სახ. კომისარიატი. ისინი გაეცნენ განათლების საქმეს საბჭოთა კავშირში. განსაკუთრებით აინტერესებდათ მუშფაკები და სექარხნო-საფაბრიკო სასწავლებლები. მათ განაცხადეს, რომ მშრომელთა განათლების საქმეში საბჭოთა კავშირმა ბევრათ გაუსწრია წინ გერმანიისთვის. ისინი აღტაცებული არიან განათლების საერთო წარმატებით და ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირი ჰქმნის სრულიად ახალ კულტურას, რომელიც უნდა მაგალითად აიღონ სხვა დანარჩენმა ქვეყნებმაც.

შვეციის დელეგაციის დაბრუნება

ლენინგრადი, 25 ივლისი. 24 ივლისს დილით ლენინგრადში მოსკოვიდან ჩამოვიდა შვეციის მუშათა დელეგაცია. მატარებლის მოსვლისას სადგურის ბაქანზე მოიყარა ფაბრიკა-ქარხნების და პროფკავშირთა სამმართველოებიდან დელეგაციებმა დროშებით და პლაკატებით.

პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს მდივანმა მოისეევმა გამომშვიდობებისას სიტყვით მიმართა დელეგაციას ლენინგრადის პროლეტარიატის სახელით, სთხოვა მათ გადასცენ შვეციის პროლეტარიატს მხურვალე სალამი და მოუწოდა მათ ბრძოლისაკენ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან ერთად საბჭოებისა და სოციალიზმის სასარგებლოდ მთელს მსოფლიოში.

შემდეგ სიტყვებით გამოდიან: დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე ულსონი, დელეგაციის წევრი სოციალ-დემოკრატი, რეიხსტაგის წევრი ჩელმანი და უპარტიო მუშა ლიუსტრემი.

მიტინგი თავდება ინტერნაციონალის სიმღერით შვედურ და რუსულ ენებზე. დღის ორ საათზე მატარებელი წყნარად გაშორდა ბაქანს.

პარიტეტული კონტრ-რევოლიუციის გასამართლება

22 ივლისი*)

საღამოს სხდომა

გრძელდება ბრალდებულების დაკითხვა

ბრალდებული იშხნელი

(38 წლის. ყოფილი აზნაური. ექიმი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი)

სასამართლოს შეკითხვაზე ბრალდებული უპასუხებს, რომ ის შედიოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალურ ცეკაში. იყო ცეკას თავმჯდომარის მოადგილე და ბოლოს გაიგზავნა ჩრდილოეთ-კავკასიაში.

„—ჩრდილოეთ კავკასიაში მე უნდა გამომერკვია, მართლა იყო თუ არა იქ ის ძალები, რომელსაც შეჰპირდენ წინამძღვარიშვილს.

თავმჯდომარე—ჰქონდა, თუ არა ცნობები პარიტეტულ კომიტეტს ჩრდილოეთ კავკასიაში მუშაობის შესახებ.

იშხნელი. „ჩვენი ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე წინამძღვარიშვილმა გვიამბო, რომ 90,000 შეიარაღებული მეომარი შეუძლია გამოიყვანოს ჩრდილოეთ-კავკასიამო. ამასთან ერთად ისინი თხოულობდენ ოფიცრებსა და პოლიტიკურ ხელმძღვანელებს“.

შემდეგ ბრალდებული უამბობს სასამართლოს, რომ, როდესაც ის ჩრდილოეთ-კავკასიის მდგომარეობას გაეცნო, ეს ცნობები გაზვიადებული აღმოჩნდა.

ბრალდებულს განუცხადებია ჩრდილოეთ-კავკასიის წარმომადგენელ ალი-მიტაევისათვის, რომ ფულებისა და აფიცრების გაგზავნა მათ არ შეუძლიათ.

ალი-მიტაევი შეყოყმანდა, მოიწვია მეჯლისი, სადაც ბრალდებულმა მოხსენება გააკეთა მდგომარეობის შესახებ. ამ მეჯლისზე ბრალდებულის სიტყვით, სავსებით გამოირკვა, რომ ჩრ.-კავკასია გამოსვლებში მონაწილეობას არ მიიღებდა.

საქართველოში დაბრუნებისას ბრალდებულს მოხსენება გაუკეთებია პარიტეტულ კომიტეტის პრეზიდიუმისა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცეკასათვის.

შემდეგ შეკითხვებზე ბრალდებული აცხადებს, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცეკასთან არსებობდა სამხედრო კომისია. პარიტეტულ კომიტეტში ამ პარტიიდან შედიოდა იასონ ჯავახიშვილი.

აჯანყების საკითხი საბოლოოდ 1924 წლის აგვისტოში გადაწყდა პარტიაში. შემდეგ ეს საკითხი გადავიდა პარიტეტულ კომიტეტში და ბოლოს ისევ დაბრუნდა პარტიაში.

ჩოლოყაშვილის ბანდასთან ეროვნულ-დემოკრატიულ ცეკას მხრივ კავშირი ჰქონდა ზალდასტანიშვილსა და გიორგი წინამძღვარიშვილს.

თავმჯდომარე: „—პარიტეტულ კომიტეტთან არ ჰქონდა დამოკიდებულება ჩოლოყაშვილის ბანდას?“

იშხნელი: „—წინად არ ჰქონდა უშუალო კავშირი, ბოლოს კი ჩოლოყაშვილი პარიტეტულ კომიტეტის განკარგულებაში იყო.

თავმჯდომარე: „—თქვენ მოაწერეთ ხელი თქვენი პარტიის დეკლარაციას?“

იშხნელი: „—დიახ მოვაწერე და ვიზიარებ!

ოკუჯავა (სახელმწიფო ბრალმდებელი): „—დავით ვაჩნაძე თქვენი პარტიის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე იყო, თუ არა?“

იშხნელი: „—დიახ იყო!“

ოკუჯავა: —„გამორიცხული იყო, ის თუ არა პარტიის ცეკადან?“

იშხნელი: „—დიახ, ის გამოირიცხა ცეკადან იმიტომ, რომ ჩოლოყაშვილის გამოსვლები 1921 წლის სექტემბერში მისი მოწყობილი იყო.“

ბრალმდებელის შეკითხვაზე, როგორ ფიქრობს ბრალდებული, ამ გამოსვლებმა სარგებლობა მოუტანა ხალხსა და პარტიას, თუ ზიანი, იშხნელი უპასუხებს.

„—ეს უსათუოდ დიდი დანაშაული არის, და ამიტომ ვაჩნაძე პარტიიდან გავაძევეთ“.

შემდეგ ბრალდებული მოახსენებს სასამართლოს, რომ დავით ვაჩნაძე კვლავ იქნა არჩეული ცენტრალური კომიტეტის წევრათ, თუმცა სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეთ ოფიციალურად ცეკადან გამოსვლის შემდეგაც დარჩენილა.

ოკუჯავა: „—დავით ვაჩნაძეს ხომ არ უთქვამს, რომ შესაძლებელია შეიარაღებული აჯანყების მოწყობაო?

იშხნელი: „—დავით ვაჩნაძეს და ყველა ჩვენთაგანს ისეთი ცნობები გვქონდა პარიტეტული კომიტეტიდან, რომ ჩვენ გვექნებოდა დიპლომატიური დახმარება უცხოეთიდან, დანარჩენ რეალურ დახმარებას ჩვენ იქედან არ მოველოდით.

ბრალდებული მოახსენებს სასამართლოს, რომ საკითხი აჯანყების შესახებ პარიტეტულ კომიტეტში 1924 წლის აგვისტოში დაისვა.

ბრალმდებელ **ოკუჯავას** შეკითხვაზე, დაესწრო თუ არა ჩრდილოეთ-კავკასიის მეჯლისზე **მედიუშკინი** (ყუბანის წარმომადგენელი), ბრალდებულმა დაადასტურა, რომ მედიუშკინი მართლაც, დაესწრო მეჯლისის სხდომას.

ოკუჯავა—„შეეკითხეთ მას თუ არა, რომ თუ აჯანყება მოხდებოდა და თქვენ ერთად იქნებოდით, მაშინ ისენი თავის ყაზახებით საქართველოს ხომ არ ახლებდენ ხელს?“.

იშხნელი—„როგორ არა, მან მიპასუხა—ჯერ დათვი მოვკლათ და შემდეგ გავიყოთო!“

ოკუჯავა —„როგორ გაიგეთ, საიმედო იყო ეს?“

იშხნელი—„საიმედოთ რომ მენახა, ისეთ ცნობებსაც არ ამოვიტანდი. ალბათ, ვერ ვსცნი საიმედოთ“.

მესხიშვილი (დამცველი) „—თქვენ მოახსენეთ სასამართლოს, რომ ტერორის წინააღმდეგი იყავით, როგორ უყურებთ კერძოთ ექსპროპრიაციას? ყოფილა როდესმე შემთხვევა, რომ თქვენს ცეკას მოეწყო ეს ექსპროპრიაცია?“.

იშხნელი „—არ ყოფილა!“

დამცველების შემდეგ შეკითხვებიდან ირკვევა, რომ პარიტეტულ კომიტეტს ჩოლოყაშვილის ბანდასთან კავშირი დაუჭერია 1923 წლის ბოლო რიცხვებში. ბრალდებული აცხადებს, რომ ჩოლოყაშვილის რაზმების სახელით კერძო პირები ჩადიოდენ ცუდ საქმეებს.

ბრალდებულს არ სცოდნია ჩრდილო-კავკასიაში ავალიშვილის, ნაკაშიძისა და ბერიძის გაგზავნის შესახებ და უკვირს ეს ამბავი. მისი სიტყვით ამირეჯიბი, რომელმაც ეს ხალხი გაგზავნა ჩრდილოეთ-კავკასიაში, წინააღმდეგი იყო აზერბეიჯანთან და მთიულებთან ერთად გამოსვლის.

ის ფიქრობს, რომ ამირეჯიბმა ის პირები მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციის შესაკრებად გაგზავნა. მჭიდრო კავშირი ჩრდილოეთ-კავკასიასთან არ ყოფილა.

თავმჯდომარე: „—ბრალდებულ ანჯაფარიძის შეკითხვაზე, თუ რა მიზნით მოეწყო მატარებლის გაძარცვა ბოსლევში, თქვენ უპასუხეთ, რომ ეს გაძარცვა მოეწყო გახიზნულ რაზმელების დასახმარებლად. ამას აწყობდა ცეკას წევრი გვალია, ამავე დროს თქვენ სთქვით, რომ ცეკამ ეს ამბავი არ იცოდა. შესაძლებელია, რომ ცეკას წევრი ასეთ დიდ საქმეს აწყობდეს და ცეკამ ამის შესახებ არაფერი არ იცოდეს?“.

იშხნელი „—მე მოგახსენებთ, რომ ის კოოპტაციის ძალით მუშაობდა ცეკაში, უმთავრესად დასავლეთ საქართველოში. არალეგალური მუშაობა ისე ადვილი არ არის, რომ მომუშავეს ყოველ ნაბიჯს იცნობდე. მას არაფერი უკითხავს ჩვენთვის, არც დასტური მიგვიცია“.

ოკუჯავა. „—მატარებლებზე დაცემა იმ წესით, როგორც ეს გვალიამ მოაწყო, ყაჩაღობა არის, თუ არა?“.

იშხნელი. „—ყოველნაირი წესი, როგორიც არ უნდა ყოფილიყო დაცემა, მაინც მიუღებელია. მით უმეტეს დემოკრატიული პარტიისათვის, რომელიც წინააღმდეგია ექსპროპრიაციის“.

ოკუჯავა. „—შეიტყო, თუ არა მთავრობამ და ხალხმა, რომ გვალიამ, დასავლეთ საქართველოს რწმუნებულმა, მოაწყო ეს საქმე? რა ზომები მიიღეთ?“.

იშხნელი. „—დიახ, შევიტყვეთ და მას ერთგვარი საყვედურიც გამოუცხადეს“.

ოკუჯავა. „—რატომ არ გამოაგდეთ პარტიიდან?“.

იშხნელი. „—ის თავისთავად გამორიცხული იყო პარტიიდან, ვინაიდან საგანგებო კომისიაში ჩავარდა“.

ბრალდებული იასონ ჯავახიშვილი

(37 წლის, ყოფილი აზნაური, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. ამავე პარტიის ცეკას წევრი 1919 წლიდან. პარიტეტულ კომიტეტის წევრი 1921 წლიდან, ე. ი. დღიდან დაარსებისა).

თავმჯდომარე. „—რა მიზანი ჰქონდა პარიტეტულ კომიტეტის დაარსებას?“.

ჯავახიშვილი. „—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა“.

თავმჯდომარე. „—რა წესით იყო აწყობილი პარიტეტული კომიტეტი?“.

ჯავახიშვილი. „—ჩვენს პარტიულ წრეებში თებერვლისა და მარტის დღეების შემდეგ დაისვა საკითხი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ ხელისუფლებასთან. თითქმის ყველა იმ აზრის იყო, რომ თუ ხელისუფლება გაატარებს ეროვნულ ხაზს, ჩვენც მას მხარში ამოუდგებით და შევეცდებით საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას და განვითარებას. ჩვენთვის გარდა ეროვნულ საკითხისა, სხვა საკითხებს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა“.

ბრალდებული აცხადებს, რომ მთავრობამ „არა ეროვნული ხაზი აიღო“ და მის გამო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია შეუდგა მუშაობას „საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ“, ამ მიზნით მოხდა შეთანხმება სხვა პარტიებთან. შეთანხმება მოხდა აგრეთვე საზღვარგარეთაც.

პარიტეტული კომიტეტის შედგენის შემდეგ, საზღვარგარეთის შეთანხმება გაუქმდა.

შეთანხმება მოხდა გარკვეული ლოზუნგის გარშემო. ჩვენ არ გვაინტერესებდა ლოზუნგი იმის შესახებ, დემოკრატიის გზით თუ დიქტატურის საშუალებით წავიდოდით სოციალიზმისაკენ. ამის გამო ბრალდებული შემდეგ ახსნას იძლევა. გაერთიანებულ ფრონტზე საზოგადოთ გულგრილათ უყურებდენ სოციალიზმის საკითხს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის დიდ თავსატეხ საკითხს სოციალიზმის საკითხი არ წარმოადგენდა.

„——ერთად ერთი საკითხი, რომლის გარშემო ტრიალებდა დამოუკიდებელი კომიტეტის მთელი მუშაობა, საქართველოს დამოუკიდებლობა იყო“.

შემდეგ ბრალდებული შეეხო „დამოუკიდებლობის“ კომიტეტისა და პარტიების ურთიერთობის საკითხს. მან განმარტა თვითეული მათგანის მოვალეობა ამ მუშობაში.

ის აცხადებს, რომ არავითარი უპირატესობა არც ერთს პარტიას დამოუკიდებლობის კომიტეტში არ ჰქონია.

„——არ არის მართალი, თითქოს, ვინმეს დიქტატურა ჰქონებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტში. ხომერიკი ამ კომიტეტს ექვემდებარებოდა და მის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა“.

პარიტეტული კომიტეტის პირველი ხანის მუშაობის შესახებ ბრალდებული დაახლოვებით იმგვარსავე დახასიათებას იძლევა, როგორც სხვები.

ქარცივაძის დაპატიმრების შემდეგ შემდგარა რა ახალი პარიტეტული კომიტეტი, რომელიც გარკვეულათ დასდგომია აჯანყების გზას. შეცვლილა აგრეთვე დამოკიდებულება პარტიებსა და დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის.

„——გადამჭრელი მნიშვნელობა უწინ პარტიებს ჰქონდა, ეხლა კი თაოსნობა პარიტეტის ხელში გადავიდა. 1923 წლის ზაფხულზე ჩვენ პრაქტიკულათ შეუდექით აჯანყების მოწყობას და ამოვირჩიეთ სამხედრო კომისია, რომელშიაც შედიოდენ ხომერიკი და წინამძღვარიშვილი“.

ბრალდებული აცხადებს, რომ პარიტეტი ამ ხანაში ეყრდნობოდა არა ამა-თუ-იმ კლასს, არამედ ყველა იმას, ვინც შეადგენდა ერს და არა კლასს“.

„——რაც შეეხება საზღვარგარეთს, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ, თუ გავიმარჯვებდით, აღსდგებოდა ჩვენ შორის ნორმალური ურთიერთობა.

პარიტეტულ კომიტეტს, მიუღია ზომები იმისათვის, რომ მეზობელი სახელმწიფოებიც ჩაეთრიათ აჯანყებაში, მაგრამ სომხებს უარი უთქვამთ, აზერბეიჯანთან კავშირი გაწყვეტილა, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის ვერავითარი დახმარების გაწევა ვერ მოუხერხებია.

აჯანყების მზადების შესახებ ბრალდებულმა განაცხადა, რომ „სხიველები“ და ფედერალისტები აჯანყების წინააღმდეგ წავიდენ. ამ რიგათ დამოუკიდებლობის კომიტეტში დარჩა სამი პარტია. „ჩვენ ერთხმად გადავწყვიტეთ აჯანყება და გამოვედით კიდეც“ დასძენს ბრალდებული.

თავმჯდომარე—ჰკითხავს ბრალდებულს, ხომ არ შეუცვლია მას აზრი თავის დამნაშაობის შესახებ, ვინაიდან სასამართლოს შეკითვაზე გასამართლების პირველ სხდომების დროს თავი დამნაშავეთ არ აღიარა.

ბრალდებული—უპასუხებს, რომ ის თავს დამნაშავეთ არ სცნობს იმ ბრალდებებში, რომელიც საბრალმდებლო დასკვნაში არის მოყვანილი, რადგან მისი აზრით მას შეიარაღებული აჯანყება საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ კი არ მოუწყვია, არამედ, როგორც თვითონ განაცხადა, „ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ“.

თავმჯდომარე—„ჩოლოყაშვილის ბანდა ვის ექვემდებარებოდა, პარიტეტულ კომიტეტს, თუ თქვენ პარტიას?“

ჯავახიშვილი—„ჩოლოყაშვილი ტყეში გავიდა თავისი ნებით და შემდეგ მოხდა შეთანხმება ჩვენს პარტიასა და მის შორის. ჩვენ ვსთხოვდით შეეჩერებია მას ყოველგვარი გამოსვლა, მაგრამ მაინც გვესმოდა, რომ ის თავისას არ იშლიდა. მაშინ ჩვენ იძულებული შევიქენით სავსებით ხელში აგვეღო ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობა პარიტეტული კომიტეტის საშუალებით“.

თავმჯდომარე —„ასე რომ პარიტეტულმა კომიტეტმა თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა ჩოლოყაშვილის ბანდა“?

ჯავახიშვილი—„პარიტეტულმა კომიტეტმა თავის თავზე იდვა ვალდებულება მატერიალური დახმარება გაეწია ჩოლოყაშვილისათვის. ის კვლავ დარჩა დამოუკიდებული. მხოლოთ აღვუთქვა, რომ არავითარ ექსცესებს არ ექნებოდა ადგილი, სანამ ჩვენ არ მოვიწვევდით, ესე იგი აჯანყებისათვის.

სტურუა—(სასამართლოს წევრი) იცით თუ არა თქვენ ნაციონალ-დემოკრატების სალიკვ. ყრილობის შესახებ და როგორ უყურებთ მის დადგენილებებს.

ჯავახიშვილი: ვიცი, ჩვენ დავგმეთ ისინი და გამოუშვით ორი პროკლამაცია. ამგვარად ჩვენ უკმაყოფილონი ვიყავით ჩვენი ყოფილი ამხანაგებისა.

ოკუჯავა: ჩოლოყაშვილის, „შტაბში“ ყოფილხართ თუ არა? იცით—ვინ ჰყავდა მას დაახლოვებული ხალხი? ხომ არ იცნობთ ლელო ჩიქოვანს, ცნობები ხომ არ ჰქონდათ, რომ ის იქ არის.

ჯავახიშვილი: მე მოგახსენეთ, რომ პირადათ მე მქონდა კავშირი ჩოლოყაშვილთან და ვინახულე ის აჯანყების დროს. ლელო ჩიქოვანი იქ იყო, თუ არა არ ვიცი, მე ვიყავი მასთან აჯანყების დროს, მაგრამ მახსოვს მხოლოდ ვაჩნაძე, დანარჩენების გვარი არ ვიცი.

ოკუჯავა: თუ იცით თქვენ წინანდალში რომ ხუთი კომკავშირელი მოჰკლა ჩოლოყაშვილმა 1922 წელში, რომ გამოიყვანა ოთხი ქართველი და ერთი სომეხი გლეხის შვილნი და დახვრიტა. ნაციონალური საქმე იყო ეს.?

ჯავახიშვილი: ეს ფაქტი მე გავიგე საბრალმდებლო დასკვნიდან, მაგრამ მე მოგახსენებთ, რომ არავითარი დასტური მას ამ საქმეზე არ ჰქონდა და, რა თქმა უნდა, არავითარი სანქცია ამის შესახებ არ ჰქონია.

ოკუჯავა: თქვენ შეპირდით მთას წინამძღვრიშვილის პირით, რომ თუ ისინი დაგეხმარებიან, თქვენ შეგიძლიანთ მისცეთ მათ 50 სამხედრო ხელმძღვანელი.

ჯავახიშვილი: უნდა მოგახსენოთ, წინამძღვრიშვილი რო ჩამოვიდა, თავბრუ დამსხმელი მოხსენება გააკეთა. ამიტომ გავგზავნეთ იშხნელი, რომ გამოერკვია მდგომარეობა. მაგრამ არაფერი იმის მსგავსი არ იყო. როცა გვითხრა, რომ 90 ათასი კაცია და 50 ოფიცერი უნდა გავგზავნოთ, ჩვენ თვითონ გვეეჭვებოდა, რომ ამდენი ყოფილიყო და მართლაც ამდენი არ აღმოჩნდა.

ოკუჯავა: 1923 წელში ყაზახებთან კავშირი ჰქონდა თუ არა პარიტეტულ კომიტეტს ლეო დგებუაძის საშუალებით?

ჯავახიშვილი: ჩრდილოეთში იყო მგონი ლეო დგებუაძე, ინახულა ვიღაც, მაგრამ ნახვა კავშირს არ ნიშნავს.

ოკუჯავა: აჯანყებისთვის საგანგებოდ მიიღეთ ფული?

ჯავახიშვილი: ჩვენებაში ნათქვამია ათი ათასი მივიღეთო. ეს არ არის სწორი. ჩვენ ორ ნაწილად შევკრიბეთ აქ.

ოკუჯავა: ერთ-ერთ ბრალდებულთაგანი ამბობს ჩვენებაში, რომ პოლონეთის მხრივ ეს დახმარება კი არა, დაცინვა იყოვო. პოლონეთის ხომ არ იყო ეს ფული?

ჯავახიშვილი: პირველად მესმის მაგის შესახებ.

ოკუჯავა: ვეშაპელს თქვენმა პარტიამ რაიმე გაკიცხვა გამოუტანა?

ჯავახიშვილი: დიახ, იმიტომ გავკიცხეთ, რომ მან ძალიან უტაქტო წერილი მოათავსა, „რუსკოე სლოვოში“, რომელიც ალექსანდროვის რედაქტორობით გამოდის. მან განაცხადა, საქართველო აჯანყებას რომ აწყობდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩთან აწარმოებდა მოლაპარაკებასო, თქმა იმისა, რომ საქართველო უკავშირდება ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, ნამდვილი პროვოკაცია არის და სხვა არაფერი.

ოკუჯავა—ხომერიკთან საუბარიც გქონდათ ფულის დახმარების შესახებ თუ არა?

ჯავახიშვილი—თუ ჩვენ განვთავისუფლდებოდით, მივიღებდით დახმარებას.

ოკუჯავა—როდესაც გადაწყდა, რომ აჯანყება უნდა მომხდარიყო საქართველოში, ვინ შეუთვალა ფულის გამოგზავნა საზღვარ გარეთ? თქვენ ჩვენებაში გაქვთ, რომ როდესაც გადაწყდა აჯანყების საკითხი, კოტემ (ანდრონიკაშვილი) სწრაფად გააგზავნა წერილი ფულზეო.

ჯავახიშვილი—ჩვენ ფული არ გვქონდა და ვსთხოვდით ჩვენს ამხანაგებს ცოტა მოეწოდებინათ. სამწუხაროდ, ჩვენი თხოვნა უშედეგოდ დარჩა.

დამც. მესხიშვილი სცდილობს შეკითხვების საშუალებით გამოარკვიოს სოც.-ფედერალისტების პარტიის და მის წარმომადგენლების—სამსონ დადიანის და გრიგოლ რცხილაძის მონაწილეობა პარიტეტულ კომიტეტში და მისი დამოკიდებულება აჯანყებისადმი.

ბრალდებული უპასუხებს, რომ სოც.-ფედ. პარტიის წარმომადგენლები—სამსონ დადიანი და გრიგოლ რცხილაძე წინააღმდეგნი იყვნენ ამ აჯანყების და ამის გამო გავიდენ პარიტეტიდანო.

ბრალდებული კოტე ანდრონიკაშვილის ჩვენება.

ანდრონიკაშვილი: მოქალაქე მსაჯულნო! თითქმის საქართველოს გასაბჭოების დღიდან ქართველმა პოლიტიკურმა პარტიებმა გამოუცხადეს ხელისუფლებას ბრძოლა. 1921 წელს მოხდა ფაქტი,—საქართველოს ოკუპაცია.

როგორ მოიქცენ ქართული პოლიტიკური პარტიები დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა? შეეძლოთ მათ გამოეცხადებიათ ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ, თუ არა? დღეს კი—დამარცხების შემდეგ ამაზე ფიქრიც რასაკვირველია აღარ შეიძლება. რა ხაზი უნდა მიეღოთ მაშინ მათ? რასაკვირველია ისენი ვერ შეურიგდებოდენ ოკუპაციას! მაგრამ ბრძოლაზე ფიქრი მაინც შეუძლებელი იყო. უნდა გამოენახათ გზა და ენა ახალ ხელისუფლებასთან.

ჩვენმა პარტიამ ამოირჩია დელეგაცია. მეც გახლდით ამ დელეგაციაში. ვინახულეთ ფილიპე მახარაძე. შევეცადეთ გამოგვენახა საერთო გასაგები ენა. განუცხადეთ, რომ ჩვენ ერთად ერთი გზა გვაქვს—თანამშრომლობა საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში ფილიპე მახარაძემ მოისმინა ეს მოხსენება და განაცხადა: „—ეგ არის დელეგაციის აზრი, ჩვენთვის კი სასურველია გავიგოთ პარტიის აზრი“. თქვენ იცით, რომ ამის შემდეგ თბილისში მოხდა ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობა.

ამის შესახებ თქვენ მოისმინეთ და მე აღარ შევეხები პატივცემული მოწმის, სეით დევდარიანის ჩვენებას.

იყო გაკეთებული მოხსენება და ჩვენ გამოვიტანეთ ცნობილი ათი აპ-
რილის რეზოლუცია. მე არც
ზოლიუციას შევეხები, ვინაიდ
შესახებ საკმარისათ ილაპარაკ
დარიანმა და თეიჩაიამ. მხოლ
[illegible] ფაქტები,
[illegible] იყო.
10 აპრილის შემდეგ ჩვენ დ
ხით, რომ საბჭოთა ხელისუ
იღებს ჩვენ წინააღმდეგ ზომებს,
ჩვენ გვისპობენ ლეგალურ არ
ბის საშვალებას.

შემდეგ, 1922 წელს გადაწყ
კითხი ამიერ-კავკასიის ფედერ
შესახებ. ამ დღიდან იკარგება ს
თველოს დამოუკიდებლობა, რომ
მას კიდევ შერჩა გასაბჭოების
დეგაც. საქართველო შევიდა ფ
რაციაში არა უშუალოთ, რო
ასეთი. ამით საქართველოს და
გა დამოუკიდებლობა როგორც
ლიტიკური, ისე ეკონომიური.

აქ იბადება იდეა დამოუკიდ
ბის აღდგენისა. საქმიდანაც
რომ სწორეთ 1922 წლის აგვ
დან ჩაეყარა საფუძველი დამ
დებლობის კომიტეტს. აქედან
ბა ბრძოლა, ბრძოლა, თუ შე
ასე ვსთქვათ, არალეგალური.

პირველ პერიოდში ამ დამ
დებლობის კომიტეტს თავმჯ
რეობდა დღეს ბრალდებული
ცივაძე და, როგორც მოგახ
მან, დასვა საკითხი აჯანყების
სახებ, მაგრამ ეს მხოლოთ იმ
რომ გამოერკვიათ, თუ რა ძ
წარმოადგენდა, რა შეძლება
დათ მათ!

როცა მე ჩაუდექი დამოუკ
ლობის კომიტეტს სათავეში, წ
დელ კომიტეტისაგან არავი
მემკვიდრეობა არ მიმიღია:
ორგანიზაციული და არც სამხე
როცა მე შევედი თავმჯდომა
დამოუკიდებლობის კომიტეტში
დამხვდა მხოლოთ იასონ ჯავახიშ
ლი. არავითარი წარმომადგენ
სხვა პარტიებისა არ იყვნენ. ჩემ
კითხვაზე—თუ რატომ არ ა
ჯავახიშვილმა მიპასუხა, რომ
რების შემდეგ აღარ მოსულანო.
შინ მე ვიკისრე გამომერკვია, რ
მელი პარტია არ გზავნიდა ჩემ
თავის წარმომადგენელს.

მე მინდოდა მათთან მოლაპ
კება, რომ მოეცათ წარმომად
ლები და, უნდა მოგახსენოთ, რ
ვერ მოვახერხე, გარდა ესერებ
„სხიველებს“ არ ჰყავდათ კაცი ჩ
თან, ფედერალისტებიდან მხო
ერთი შემთხვევა იყო, როცა მ
დნენ.

დამოუკიდებლობის კომიტეტმა
მის თავმჯდომარეობით აიღო
ლისუფლებასთან ბრძოლის ნამდ
ლი ხაზი. მას წინ უძღოდა მთ
რიგი რეპრესიებისა. ობოლაძის
ვლის შემდეგ მოხდა მასიური
პრესია. მე მახსოვს ის დღე, რო
საც შევხვდი იასონ ჯავახიშვილს
ვთქვით, რომ აღარ არსებობს სა
თო ენა საბჭოთა ხელისუფლ
თან. ვცდილობდით გამოგვ
ასეთი ენა დიპლომატიური სა
ლებით, მოლაპარაკებით და შე
ეს გამწვავებული მდგომარეობა
გვენელებია, მაგრამ დღეს არ
არის საერთო ენა. ბრძოლა, მ
ლოთ ბრძოლა!!

აქედან იწყება აჯანყების სა
ხის გაშუქება, მისი პრაქტიკუ
დასმა-გადაჭრა. შეუდექით [illegible]

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 167

პოლიტიკური დემოკრატია და საბჭოთა სისტემა

პარიტეტულ კომიტეტის პროცესზე მოწმე სეით დევდარიანმა რამდენიმე საინტერესო შენიშვნა გააკეთა დემოკრატიის საკითხის შესახებ. ამ შენიშვნების შინაარსი, გაზეთებში დაბეჭდილ ანგარიშების თანახმად, დევდარიანმა ჩამოაყალიბა შემდეგნაირად.

„მე დავინახე, რომ ეს ფორმულა—„დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“—აყენებს საქართველოს იმ ძალების გვერდით, რომელთაც არაფერი საერთო სოციალიზმთან არ აქვთ... მე წამოვაყენე მაშინ ფორმულა: **„საბჭოთა ხელისუფლების გზით დემოკრატიზმისაკენ“**. მე ეხლაც ვაყენებ მას. და ვხედავ, რომ ის ტარდება ცხოვრებაში... **საბჭოთა ხელისუფლება მიდის დემოკრატიზმისაკენ** და ამას ჩვენ ვხედავთ საბჭოთა პრესაში... მე არ ვლაპარაკობ, რომ ეს ფორმულა („დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“ ი. ვ.) თავის თავად რეაქციონულია, მე ვამბობ, რომ **იგი დღევანდელ პირობებში გაიჟღინთა რეაქციონული შინაარსით. სხვა პირობებში შესაძლოა იგი იქნეს რევოლიუციონური...** საქართველოს და რუსეთის დღევანდელ პირობებში მას აქვს რეაქციონული შინაარსი“.

დევდარიანის განცხადება ამტკიცებს, რომ მან ერთი ნაბიჯი წინ გადასდგა ჟორდანიასთან და საერთოთ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთასთან შედარებით. მაგრამ მთავარ საკითხებში ის ძველებურად სდგას მენშევიზმის პოზიციებზე.

უწინარეს ყოვლისა გავარკვიოთ სიტყვა „დემოკრატიის“ და „დემოკრატიზმის“ მნიშვნელობა. ეს ორი ცნება, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ფარავს ერთმანეთს. **დემოკრატია**, როგორც სახელმწიფოებრივ ხელისუფლების განსაზღვრული, ისტორიული **ფორმა**, ერთია, ხოლო **დემოკრატიზმი**, როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ ხელისუფლების **შინაარსი**, როგორც **შინაგანი აზრი**—სულ სხვაა. ბოლოს ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ დემოკრატიზმზე, როგორც სხვადასხვა ორგანიზაციების (პარტია, პროფკავშირები, კლუბები, საზოგადოებები და სხ.) შენების ფორმებზე, როგორც მათი **მუშაობის მეთოდზე**.

იმპერიალიზმის ხანაში, ომების და რევოლიუციების ხანაში ჩვენ **უარვყოფთ პოლიტიკურ დემოკრატიას, როგორც ძალა-უფლების ფორმას**, რომელიც ვითომდა დამყარებულია ხალხის ნებისყოფაზე, ნამდვილად კი წარმოადგენს კაპიტალისტურ ბატონობის ფარდას, და **უპირდაპირებთ** ამ მოჩვენებით „დემოკრატიას“ პროლეტარულ საბჭოთა **დიქტატურას**, რომელიც ნამდვილათ ემყარება მცხოვრებთა უდიდეს უმრავლესობის ნებისყოფას, რომელიც ფაქტიურად **არის** ყველაზე დემოკრატიული ძალა უფლება მსოფლიოში. უარყოფენ რა პოლიტიკურ, ფორმალურ დემოკრატიას, კომუნისტები ამით არა თუ არ უარყოფენ, არამედ სავსებით ეყრდნობიან **ფაქტიურ** დემოკრატიაზე. ოქტომბრის დიქტატორული ძალაუფლება წამოაყენა მსოფლიოში ყველაზე ფართომ და ყველაზე **დემოკრატიულმა** მუშურ-გლეხურმა მოძრაობამ. დიქტატორულმა საბჭოთა ხელისუფლებამ 8 წლის განმავლობაში გაუძლო და მომავალშიაც გაუძლებს მრავალ დაბრკოლებებს და სიძნელეს იმიტომ, რომ იგი ემყარება მრავალ მილიონიან **დემოკრატიულ** ქვედაფენებს.

აი, ამ შეფარდებას პოლიტიკურ დემოკრატიისა, როგორც ხელისუფლების ფორმასა და დიქტატურულ ხელისუფლების **დემოკრატიულ შინაარსის** შორის, სწორედ ამ განსხვავებას ორ სხვადასხვა ცნებას შორის დევდარიანი, როგორც სჩანს, ვერ ამჩნევს. ბუნებრივია, რომ ის საკითხისადმი არაკრიტიკულად, გარეგნული, წმინდა ფორმალური მიდგომით ფარავს ჭეშმარიტებას.

⁂

დევდარიანის პოზიციის შემდეგი ორგანიული შეცოდება მდგომარეობს იმაში, რომ ის **არაისტორიულად** უდგება საკითხს პოლიტიკური დემოკრატიის როლის და მნიშვნელობის შესახებ. საქართველოს და რუსეთის პირობებში დღეს,—ამბობს ის,—იგი რეაქციონურია, ხოლო სხვა პირობებში, შესაძლოა, იგი იქნეს რევოლიუციონურიო. საბჭოთა ხელისუფლება, დევდარიანის აზრით, ამჟამად მიდის „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“. ის ფიქრობს, რომ ეს სრულიადაც ცუდი არ არის.

პოლიტიკური დემოკრატია პროგრესიული იყო მე-19 საუკუნეში, როდესაც ბურჟუაზიაც პროგრესიული კლასი იყო. მე-20 საუკუნეში სურათი რადიკალურად იცვლება. იმპერიალიზმი წარმოადგენს მომაკვდავ, გახრწნის გზაზე დამდგარ (ლენინის სიტყვით) კაპიტალიზმის უკანასკნელ სტადიას. იმპერიალიზმი წარმოადგენს რეაქციონულ ძალას, **და პოლიტიკური დემოკრატიაც, რომელიც იმპერიალიზმის კარნახით მოქმედებს, აგრეთვე ხდება რეაქციონულ ძალათ.** ჯერ კიდევ 1902 წელს კაუცკი ლაპარაკობდა „რეაქციონულ დემოკრატიაზე“. პოლიტიკური დემოკრატია წარმოადგენს ფაქტიურად იმპერიალისტურ დიქტატურის პირდაპირი იარაღს. ასეთ პირობებში, ცხადია, რომ პოლიტიკური დემოკრატია იმპერიალიზმის ქვეყნებში არ შეიძლება იყოს რევოლიუციონური ძალა.

პროლეტარიატის ისტორიული ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა სძლიოს იმპერიალიზმი, სძლიოს მისი ფორმალური დემოკრატია, შესცვალოს იმპერიალისტური დიქტატურა პროლეტარული დიქტატურით. ოქტომბრის რევოლიუციამ ამ დიქტატურას მისცა **ფორმა—საბჭოები.** იმპერიალიზმის სტადიაში შესულ ქვეყნებში ისტორიულათ პროგრესიული, ისტორიულათ რევოლიუციონური შეიძლება იყოს მხოლოდ საბჭოთა, პროლეტარული, დიქტატორული დემოკრატია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა ფორმალური, ბურჟუაზიული დემოკრატია.

მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ არსად დედა-მიწის ზურგზე პოლიტიკურ-დემოკრატიას არ შეუძლია ითამაშოს პროგრესიული, რევოლიუციონური როლი? რა თქმა უნდა არა. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინდოეთი და ჩინეთი, ეგვიპტე და მაროკო პოლიტიკური დემოკრატია იქნებოდა ხელისუფლების უფრო პროგრესიული ფორმა, ვიდრე იქ დღეს არსებული. და როცა კომუნისტური ინტერნაციონალი მხარს უჭერს აღმოსავლეთის დემოკრატიულ, ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობას,—ის დგას მარქსისტულ-ლენინურ თვალსაზრისზე. პოლიტიკური დემოკრიტია აღმოსავლეთის ქვეყნებში ასე თუ ისე ჩქარა მოსჭამს დროს, გახდება რეაქციონულ ძალათ, და მაშინ მას კომუნისტები დაუპირდაპირებენ საბჭოთა სისტემას, პროლეტარულ დემოკრატიას, რომელსაც აუცილებლად ექნება კლასიური პროლეტარული დიქტატურის ხასიათი.

ასე მაგალითად დევდარიანს რომ ეთქვა: პოლიტიკურმა დემოკრატიამ დრო მოსჭამა, გადაიქცა რეაქციონულ ძალათ დასავლეთში, მაგრამ რჩება პროგრესიულ ძალათ—აღმოსავლეთშიო—მაშინ ის მართალი იქნებოდა, ეს იქნებოდა საკითხისადმი მარქსისტული, ისტორიული მიდგომა. მაგრამ რადგან დევდარიანი არ არის მარქსისტი, ე. ი. ბოლშევიკი, მას ცხადია, არ შეეძლო ისტორიულად მისდგომოდა საკითხს.

⁂

ყველაფერ ამის შემდეგ გასაკვირელი არ არის, რომ დევდარიანმა ვერაფერი ვერ გაიგო საბჭოთა ხელისუფლების მიმდინარე პოლიტიკაში. მას ჰგონია, რომ საბჭოთა ხელისუფლება დგება პოლიტიკურ დემოკრატიის გზაზე. ჩვენ ვიცით, საბჭოთა ქვეყანაში „დემოკრატია“ ზოგიერთებს ელანდებათ, ზოგიერთებს ძალიან სურთ იგი, ზოგი მზად არის „დემოკრატიულად“ გაიგოს საბჭოთა ხელისუფლების მორიგი პოლიტიკა. მაგრამ ეს გაუგებრობაა, აქ სურვილი ბადებს აზრს, რომელიც ფაქტებს არ შეეფერება.

პროლეტარული დიქტატურის სისტემა არავითარ ცვლილებებს არ განიცდის. საბჭოთა კონსტიტუციის რევოლიუციონური, დიქტატორული, „ანტი-დემოკრატიული“ საფუძვლები შეურყეველია. ცხოვრების ნორმალიზაცია საშუალებას გვაძლევს მოვაწესრიგოთ და გავაფართოვოთ **საბჭოთა დემოკრატია**. მაგრამ ჩვენ სრულიად არ გვსურს ამ გზით დაუბრუნდეთ ფორმალურ პოლიტიკურ დემოკრატიას.

ისტორიულად, რა თქმა უნდა, შესაძლებელია საბჭოთა დემოკრატიის **გადაგვარება** ფორმალურ, ბურჟუაზიულ დემოკრატიათ. ჩვენ ამ საფრთხის წინაშე არასოდეს თვალებს არ ვხუჭავდით, ჩვენ ამის წინააღმდეგ ვიბრძვით და ვიბრძოლებთ. და ამ საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა, სხვათა შორის, გულისხმობს ბრძოლას იმ თეორიებთან, რომელსაც დევდარიანი და... „სმენავეხოველები“? ანვითარებენ. მართლაც რას ნიშნავს დევდარიანის ფორმულა—„საბჭოთა ხელისუფლების გზით დემოკრატიზმისაკენ“ ეს ფორმულა ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების „სმენავეხოველურ“ „მუხრუჭებით დაშვებას“, წვრილბურჟუაზიულ „დემოკრატიათ“ გარდაქმნას.

ჩვენი ფორმულაა: **საბჭოთა პროლეტარული დიქტატურის გზით—სოციალიზმისაკენ. დიქტატურა** ნიშნავს მთელი საზოგადოების **ხელმძღვანელობას**, ყველა არაპროლეტარულ კლასების გარდაქმნას. **დიქტატურა არ იცვლება პოლიტიკური დემოკრატიით, დიქტატურა ისპობა სოციალიზმში.**

პროლეტარულ, საბჭოთა დიქტატურის შეცვლა პოლიტიკურ-ფორმალურ დემოკრატიით იქნებოდა **დიდი ნაბიჯი უკან.** როდესაც დევდარიანი ამბობს: „საბჭოთა ხელისუფლება მიდის დემოკრატიზმისაკენ“, ეს ისტორიულათ ნიშნავს ერთ რამეს: საბჭოთა ხელისუფლება პირს იბრუნებს დემოკრატიულ, მეშჩანურ, წვრილბურჟუაზიულ რეაქციისაკენ. ასეთ პირის ბრუნებაზე ოცნებობენ ყველა ქვეყნების მემარჯვენე და მემარცხენე დევდარიანები, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია ძალიან შორს არიან ასეთ რეაქციონულ ოცნებებისაგან.

დევდარიანი იცქირება უკან, ის აზროვნობს ძველი ფორმულებით, მისთვის, როგორც წვრილბურჟუაზიულ პოლიტიკოსისათვის, იდეალს წარმოადგენს მეშჩანური ტკბილი „საერთო სახალხო“ დემოკრატია, რომელსაც სხვათა შორის აქვს ის ნაკლი, რომ ომების და რევოლიუციების ხანაში მას არ შეუძლია ფაქტიურად იარსებოს. ჩვენ ვიხედებით წინ, ჩვენ მიზნათ ვისახავთ კაპიტალისტურ კლასის ბატონობის დაძლევას, ჩვენ ვამსხვრევთ ამ ბატონობის პოლიტიკურ ფორმას—ფორმალურ დემოკრატიას. ჩვენ მიგვყავს კაცობრიობა **პროლეტარული დიქტატურის გზით სოციალიზმისაკენ**

⁂

რა დამოკიდებულება აქვს დევდარიანის პოზიციას მენშევიზმთან? ზოგიერთებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ დევდარიანი დაშორდა მენშევიზმს. ეს, რა თქმა უნდა, მართალი არ არის. დევდარიანი ჩამოშორდა მენშევიზმის მემარჯვენე, ფაშისტურ ფრთას და მთლიანად დარჩა მემარცხენე მენშევიზმის პოზიციაზე. მის მსჯელობაში პოლიტიკურ დემოკრატიის შესახებ არაფერი ახალი და რევოლიუციონური არ არის. 1919—20 წლებში გერმანელი დამოუკიდებლები და რუსეთის მემარცხენე მენშევიკები ახასიათებდენ პოლიტიკურ დემოკრატიას უფრო ენერგიულად, ვიდრე დღეს ამას სჩადის დევდარიანი.

1920 წლ. აპრილში მენშევიკების სრულიად რუსეთის თათბირი აცხადებდა, რომ „ბურჟუაზიული დემოკრატია წარმოიშობა, როგორც თანასწორუფლებიან მესაკუთრეთა დემოკრატია“; რომ „ახალი მუშათა დემოკრატია... არის საზოგადოებრივ საწარმოეო შრომის მონაწილეთა დემოკრატია“, რომ, მაშასადამე, მშრომელებს უფლება აქვთ წაართვან სამოქალაქო უფლებები მცხოვრებთა მცველფავ ფენებს და სხვ. **მარტოვი** კი ჯერ კიდევ 1923 წ. იანვარში შემდეგს სწერდა პოლიტიკურ დემოკრატიის შესახებ:

„არასოდეს ევროპაში ჯერ ისე არ გაუმარჯვებია ფორმალურ დემოკრატიას, როგორც დღეს. ათინიდან დუბლინამდე, ჰელსინგფორსიდან ლისაბონამდე, ყველგან მართვა-გამგეობის რესპუბლიკანური და ნახევრად რესპუბლიკანური ფორმაა, პარლამენტარიზმი საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძვლებზე და სხვ. **და არასოდეს ჯერ ადგილი არ ჰქონია ისეთ აშკარა წინააღმდეგობას დემოკრატიულ პრინციპის ამ ფორმალურ გამარჯვებასა და სახალხო უმრავლესობის ძალა-უფლების რეალობას შორის**, რომ არაფერი ვთქვათ ფაშიზმზე, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში ზოგჯერ ჩანასახოვან ფორმებში იწყებს არსებობას როგორც დემოკრატიული პარლამენტის „კორექტივი“, თუ არაფერს ვიტყვით **„უგვირგვინო მეფეებზე“** **სტინესებზე**, რომელნიც თავიანთი ეკონომიური ძლიერებით ჰკლავენ პარლამენტში გამოხატულ „ხალხის ნებისყოფას“, **მილიტარისტულ კასტებზე, რომლებიც ფაქტიურად დემოკრატიაზე ზევით დგანან** და განაგებენ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ძველ და ახალ რესპუბლიკებში,—განა გასაოცარი არ არის ის ფაქტი, რომ ძველ **დემოკრატიულ სახელმწიფოებში**, როგორც მაგ. ინგლისში და საფრანგეთში, **ფაქტიურად მთელი საგარეო პოლიტიკა**, რომლითაც განისაზღვრება დღეს მთელი პოლიტიკა საერთოთ, **ტარდება მთავრობების მიერ პარლამენტების ზურგს უკან**, რომელნიც სდგებიან მომხდარ ფაქტის წინაშე ყოველ ესოდენ გახშირებულ კონფერენციების დროს სადაც სწყდება მსოფლიოს ბედ-იღბალი“ *).

თანამედროვე პოლიტიკურ დემოკრატიის ამ შესანიშნავ დახასიათებიდან მარტოვს მთელ თავის პარტიასთან ერთად გამოჰყავს ის დასკვნა, რომ საჭიროა საბჭოთა რეჟიმის ლიკვიდაცია და მისი შეცვლა პოლიტიკური დემოკრატიით. რომ აქ ადგილი აქვს აშკარა **წინააღმდეგობას**, რომ ჩვენ იქ გვაქვს პოლიტიკური ბელადის საოცარი გაორება, ეს ცხადია. მაგრამ მარტოვი იყო წვრილ-ბურჟუაზიული პოლიტიკოსი და ხედავდა რა დემოკრატიის მთელ სიყალბეს, მაინც ორგანიულად ვერ შორდებოდა ფაშიზმით „შესწორებულ“ დემოკრატიის ჩარჩოებს.

ასე, სწორედ ასევე იქცევა დ
დარიანიც, რომელიც ხედავს თ
მედროვე პოლიტიკური დემოკ
ტიის სახეს, მაგრამ ორგანიულ
არ შეუძლია გაშორდეს მის ჩარჩ
ებს. დევდარიანი, როგორც მთე
მემარცხენე მენშევიზმი, მისთა
გისი არსებითად რეაქციონულ, ა
ტიპროლეტარული ბუნებით.

⁂

დევდარიანი ტოვებს ჟორდანი
პოზიციას. რატომ? ის თვითონ ხსნ
ამას შემდეგნაირად:

„მე ვფიქრობდი, რომ იმ დრ
როცა ევროპაში იმარჯვებს რე
აქცია და ბოლშევიკები წ
ლენ საქართველოდან, ხოლო
ჟორდანია დაბრუნდება, მისი მთა
რობა ვერ გაუმკლავდება რე
აქციონულ ძალებს და რამდ
ნიმე ხნის შემდეგ მას ჩამოაგდ
რომელიმე მონარქისტი—გენერა
და ნოე ჟორდანია გახდება ხიდ
რომელზედაც გაივლის რეაქცია

დემოკრატია—ხიდია რეაქციი
თვის!

რევოლიუციონური პარტია და
ზოგავათ უნდა იბრძოდეს იმისათვ
რათა ეს ხიდი არ იქნას გადებუ
ამას სჩადის ჩვენი პარტია და ამ
ასრულებს თავის ისტორიულ მო
ლეობას. ყოველგვარ მენშევიზმ
წინააღმდეგ მთელი ჩვენი შეურიგ
ბელი ბრძოლის ახსნა და ისტორიუ
ლი გამართლება სწორედ იმა
მდგომარეობს, რომ ჩვენ ვსპობთ
ხარისხებს, რომელიც კეთდ
რეაქციის ხიდის ასაგებად.

მაგრამ დემოკრატია არის ეტა
ბურჟუაზიულ დიქტატურისაკენ ა
მარტო საქართველოში, არა მარ
რუსეთში, არამედ ყველა იმპერი
ლისტურ ქვეყნებში. საკმარის
გავიხსენოთ თუნდაც გერმანი
მაგალითი, სადაც „დემოკრატია
მიიყვანა ქვეყანა ჰინდენბურგ
რეაქციამდე, რათა ეს ნათელ
გახდეს.

აქედან გასაგებია ყოველგვარ
ხის მენშევიზმის წინააღმდეგ მსო
ლიო კომუნიზმის დაუზოგავი ბრძ
ლის ისტორიული მოვალეობა
ისტორიული გამართლება.

ილ. ვარდინი-მგელაძ

---

*) იხ. ილ. ვარდინი: „რევოლიუცია და მენშევიზმი“ გვ. 121—122.

ულ მზადებას. შესდგა სამხედრო კომისია, რომელსაც დაევალა ორგანიზაციული მხარე.

დამოუკიდებლობის კომიტეტი ჩემის თავმჯდომარეობით განსხვავდებოდა ქარცივაძის დროინდელ დამოუკიდებელ კომიტეტიდან. დამოუკიდებლობის კომიტეტი ჩემის თავმჯდომარეობით მართლაც დამოუკიდებელი იყო პარტიებისაგან იმდენათ, რამდენადაც ქარცივაძის დროს იგი დამოკიდებული იყო პარტიებისაგან. მისი დროს დამოუკიდებლობის კომიტეტში გადადიოდა საკითხები პარტიების ცენტრალურ კომიტეტებიდან, ჩემს თავმჯდომარეობის დროს კი საკითხები ისმებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტში, სწყდებოდა აქ და საბოლოო სანქციის მისაღებათ გადადიოდა პარტიების ცენტრალურ კომიტეტებში.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ დამოუკიდებლობის კომიტეტში დავსვით ეს საკითხი და, თუ ის აქ არ გადაწყდებოდა, არ გადაგვქონდა პარტიაში.

ჯერ დამოუკიდებლობის კომიტეტს უნდა აეწონ-დაეწონა, გაეთვალისწინებია შინაური მდგომარეობა ძალების, საერთაშორისო სიტუაცია და, თუ მიიღებდა დადგენილებას, მხოლოთ შემდეგ გადაიტანდა პარტიის ცეკაში.

დავიწყეთ ორგანიზაციის მოწყობა. ჩვენ ვკმაყოფილდებოდით ძალების აღნუსხვით. სამხედრო კომისიას მიეცა ავტონომიური უფლებები.

ძალების აღნუსხვა და ამასთან არა პარტიული, არამედ ინტერპარტიული მხოლოთ დახმარება პარტიების მხრივ. არავითარი სამხედრო კომისია ცენტრალურ კომიტეტთან. ყოველ შემთხვევაში მე შემიძლია თამამათ ვთქვა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე. არის ჩვენებებში ერთი განსხვავება, მაგრამ ეს ამტკიცებს, რამდენათ არ იყვენ ისინი ჩახედული საქმეში, რამდენათ კონსპირატიულათ სწარმოებდა მუშაობა. ერთი არ უზიარებდა მეორეს, როგორ აწყობდა ორგანიზაციას.

სამხედრო კომისია იყო, სადაც შედიოდენ პარტიის წარმომადგენლები, მაგრამ ფაქტიურათ ეს იყო სოციალ-დემოკრატების და ნაციონალ-დემოკრატების. აი, ამ პარტიების საშუალებით ეწყობოდა აჯანყება. ამათი საშუალებით პოულობდენ ძალებს. იმ რაზმებში შეიძლება შესულიყო არა მარტო მენშევიკი, არამედ უპარტიო კაციც.

როდესაც გამოირკვა, რომ ჩვენი ორგანიზაციები მზად არიან აჯანყებისათვის, ჩვენ შეუდექით მის განხორციელებას. ჩვენ ვცდილობდით ყველა პროვინციაში, ქალაქში შეგვედგინა პარიტეტული კომისია. რწმუნებულებს ჩვენ ვნიშნავდით მხოლოთ დიდ რაიონებში, სადაც უფრო მეტი პასუხისმგებლობა მიუძღოდა ამ თუ იმ პარტიას და სადაც ვერ შედგებოდა პარიტეტული კომისია.

ეს იყო ერთათ-ერთი ბათომის ოლქი და ერთად-ერთი სრულუფლებიანი წარმომადგენელი დამოუკიდებლობის კომიტეტის—იქ იყო გიზო ანჯაფარიძე. სხვაგან წარმომადგენლები არ იყო. სხვაგან უნდა შეედგინათ ადგილობრივი კომისია.

მუშაობა სამხედრო მიმართულებით მიდიოდა კარგათ. როდესაც ჩვენ დავინახეთ, რომ, თითქმის, მზათა ვართ, მაშინ დავსვით საკითხი პრაქტიკულათ აჯანყების შესახებ. ეს იყო 1923 წლის ოქტომბერს. აქამდის საკითხი ჩვენ არ გადაგვიტანია ცენტრალურ კომიტეტებში სანქციის მისაღებათ. ეს გადავიტანეთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე სეით დევდარიანი.

სწორეთ ამის შემდეგ გადავიტანე მე ეს საკითხი ცენტრალურ კომიტეტში. თქვენ უნდა მიაქციოთ ყურადღება იმას, თუ რაში გამოიხატებოდა ჩვენი და მეზობელ რესპუბლიკების შორის კავშირი. კავშირი იწვევს წარმომადგენლობას და, თუ ეს ასე არის, მაშ არ გვქონია, მაგრამ აჯანყების მოწყობის საქმეში მეზობელ ქვეყნებთან კავშირის დაკავების ცდა არ დამთავრდა ჩვენ სასარგებლოთ.

როცა წინამძღვარიშვილმა გააკეთა მოხსენება, რომ ჩვენთვის დიდი დახმარების მოცემა შეუძლია ჩრდილო-კავკასიასო, მე, მართლა, გითხრათ ამ მოხსენებისათვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, ვინაიდან საჩეჩნეთის იმედი მე იმდენათ არ მქონდა. ეს ასეც დაბოლოვდა.

აზერბეიჯანთან, როგორც უკვე იცით, გოგიტა ფაღავას შემდეგ, ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი იყო და აქ საქართველომ გადასწყვიტა თავისი ძალებით გამოსვლა. შემდეგ ამბობენ, რომ იმედი ჰქონდათ ევროპისაო. ჩვენ არ ვიყავით მომხრე ინტერვენციის, მხოლოთ ვცდილობდით, რომ ევროპის საზოგადოების აზრი ჩვენს მხარეზე ყოფილიყო. ამ მიმართულებით ვმუშაობდით და იმედი გვქონდა, რომ, როდესაც ჩვენ აქ აჯანყებას მოვაწყობდით, იქედგანაც მივიღებდით დახმარებას დიპლომატიური ჩარევისა და მოლაპარაკების სახით.

აი ამ იმედით და ჩვენი ძალების იმედით გადავდგით ნაბიჯი. ჩვენ ვიყავით საკმაოთ მომზადებული. მხოლოთ შეცდომა, რომელიც აქ აღნიშნა იასონ ჯავახიშვილმა (ჭიათურაში ადრე გამოსვლა) ამან გადასწყვიტა აჯანყების ბედი. ამით გაიგო ხელისუფლებამ, რომ აჯანყება დაიწყო და ჩვენი მთავარი ამოცანა—ვაზიანის აღების შესახებ, ველარ შესრულდა.

როდესაც ჭიათურა ერთი დღით ადრე გამოვიდა, ამან მთავრობას მისცა საშუალება ჯარი გადმოეყვანა თბილისში. ამავე დროს უნდა აღვნიშნო, რომ სადაც ასეთი მოძრაობაა, იქ გამცემლობაცაა.

ჩემთვის დღესაც არ არის გამორკვეული, რომ სამხედრო კომისიამ, რომელიც დატოვებული იყო თბილისში და რომელსაც დავალებული ჰქონდა მთელი რიგი ამოცანებისა, რატომ არც ერთი დავალება არ შეასრულა. თბილისის გარეთ-ვაზიანის აღების ამოცანა, აეროპლანების ხელში ჩაგდება, ბრონევიკების დამორჩილება — სიგნალი და შესრულება ერთი იქნებოდა.

მაგრამ არც ერთი არ შესრულებულა და რატომ არ შეასრულა სამხედრო კომისიამ, დღესაც არ ვიცი.

ჩვენი გეგმა იყო—თბილისის აღება, მაგრამ, როცა ხელისუფლებამ გაიგო, (აქ გამცემლობას ჰქონდა, ალბათ, ადგილი ეს ზაფხულში იყო, ჯარი გასული იყო აქედან) 16 თუ 17 აგვისტოს თბილისი გაივსო ჯარით.

გამოსვლა ამ პირობებში იქნებოდა საშინელი სისხლის ღვრა და ამის თავიდან ასაცილებლად ცენტრი პროვინციაში გადავგვეტანა.

„შეიარაღებული რაზმები, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ არ გვყავდა. ერთად-ერთი თავისუფალი რაზმი — ჩოლოყაშვილის რაზმი გახლდათ,—აი ჩვენ გვინდოდა დაკავშირება მასთან, მაგრამ ჩვენ მოვტყუვდით იმ მხრით, რომ არ აღმოაჩნდა იმდენი, რისი იმედიც ჩვენ გვქონდა. გეგმა იყო ასეთი: ადგებოდა ქართლი, კახეთი, ბორჩალო და შემოვარტყამდით ალყას თბილისს.

აქ პირველი ამოცანა ჰქონდა ვაზიანს. მოგახსენებთ, რომ კახეთში არ მიუღია აჯანყებას მასიური ხასიათი. ეს აიხსნება იმით, რომ კახეთის გლეხკაცობა არ არის საკმარისათ შეგნებული. აი აქედან უნდა მოსულიყო დახმარება ვაზიანში. მაგრამ საბედისწერო გამოდგა ერთი დღე—ჭიათურა გამოვიდა ერთი დღით უფრო ადრე. ამის გამო დასავლეთ საქართველოშიაც მსწრაფლათ ჩააქრეს აჯანყება. მთავრობამ, რა თქმა უნდა, მიიღო ყოველივე ზომა, რადგან ჭიათურის ამბებმა გააფრთხილა ის.

ჩვენ დავმარცხდით, დამოუკიდებლობის კომიტეტი მთლათ ჩავარდა —მთელი მისი შემადგენლობა დაჭერილი იქნა.

ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ ჩვენ უნდა გადაგვერჩინა ის, რისი გადარჩენაც შეიძლებოდა, ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით გამოგვეცხადებია ავანტიურათ ეს აჯანყება და აი მაშინ გამოვეცით ჩვენ ცნობილი დეკლარაცია.

აი ჩემი განმარტება მოკლეთ!

ეს აჯანყება დამარცხდა ფიზიკურათ, მაგრამ მორალურათ არა და ამიტომ მორალურათ არ ვგრძნობ თავს დამნაშავეთ.

თავმჯდომარე.—„თქვენ არ მოგსვლიათ დასმული კითხვები ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე მოგილევსკისა და ბერიასაგან?

ანდრონიკაშვილი.—„მომივიდა!"

თავმჯდომარე.—„უპასუხეთ, თუ არა ამ კითხვებზე".

ანდრონიკაშვილი.—„დიაღ!"

თავმჯდომარე.—„ხომ არ ყოფილა ლაპარაკი ჩეკას მხრივ, რომ უნდა მიგეცათ ისეთი პასუხი კითხვებზე, როგორიც ჩეკას უნდოდა?"

ანდრონიკაშვილი.—„არ ყოფილა!"

თავმჯდომარე: „—მე თქვენ მოგაგონებთ ზოგიერთ ადგილებს იმ ჩვენებიდან, რომელიც თქვენ მიგიციათ საგანგებო კომისიაში! თქვენ ეს, სხვათა შორის, ჩამოწერილი გაქვთ თვითონვე. აბა, კითხვებზე სრულიათ დამშვიდებითა და წყნარათ მიეცით პასუხი, ასე არის თუ არა?".

ანდრონიკაშვილი: „—დიაღ!".

თავმჯდომარე: „—თქვენ აქ უჩვენეთ: „საზოგადო იდეა შეიარაღებულ გამოსვლისა არა თუ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ სხვა ძალების წინააღმდეგაც გაკოტრებულათ მიმაჩნია. ქართველ ხალხს არც გამოცდილება აქვს აჯანყებაში, არც უნარი. არც ხალისი და არც სურვილი". ასე არის თუ არა.

ანდრონიკაშვილი: „—დიაღ!"

თავმჯდომარე: „—შემდეგ: „შეიარაღებული გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ უნდა იყოს უკუგდებული და აღიარებული ქართველი ხალხისათვის მავნე გზათ".

ანდრონიკაშვილი: მერმეთ, განა ეს ეწინააღმდეგება იმას, რაც მე მოგახსენეთ.

თავმჯდომარე: „—უკაცრავათ, ბევრათ ეწინააღმდეგება. ეს ერთი, მეორე

თქვენ ამ აჯანყების შემდეგ, მას შემდეგ, რაც მოაწერეთ ხელი დეკლარაციას, ხომ არ გაგიგზავნიათ რაიმე წერილი ამხანაგებისათვის.

ანდრონიკაშვილი, „—მიმიწერია."

თავმჯდომარე: „—თქვენ გახსოვთ შინაარსი? მე წავიკითხავ და გთხოვთ დაადასტუროთ:

„ძვირფასო მეგობარო!

„მივიღე თქვენი წერილი, მე კიდევ ვიმეორებ, რომ დამკომის (დამოუკიდებელ. კომიტეტი) განცხადება მე გავაკეთე, (ყოველს შემთხვევაში მე ჩემს თავზე ვამბობ) სრულიათ შეგნებით. მე რომ არ ვყოფილიყავი დაჭერილი, მაინც პერსონალურათ ვფიქრობდი განცხადებით გამოსვლას, რომ დავმარცხდით და უნდა ხელი ავიღოთ შეიარაღებულ ბრძოლის საშვალებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე. მე ამაში დამარწმუნა ჩვენმა გამოსვლამ აღმოსავლეთ საქართველოში. გამოვიდა ნამდვილი ავანტიურა. მართალია, დასავლეთ საქართველოში გამოსვლა იყო უფრო მასიური, ვიმეორებ, უფრო, იმიტომ, რომ მცხოვრებლებმა მთლათ არ დაგვიჭირეს მხარი და ამიტომ ამბოხებულებმა ორი სამი დღის მეტი თავი ვერ დაიმაგრეს.

„როსტომი იმ დღეებშიც ჩემთან იყო და მაშინაც აცხადებდა, რომ ავანტიურა გამოდისო. განა მე კი არ ვხედავდი რომ ავანტიურა გამოდიოდა! მაგრამ როსტომს ვაჩერებდი და ვაძლევდი შენიშვნას, რადგან, როდესაც მოქმედებაში ხარ გული არც შენ და არც სხვას უნდა გაუფუჭო".

— აი ეს არის წერილის დასაწყისი, სასამართლო გთხოვთ დაადასტუროთ, ეს წერილი თქვენ დასწერეთ.

ანდრონიკაშვილი—„დიაღ!" ეხლა გთხოვთ მომცეთ განმარტების ნება! როდესაც საიდუმლოთ იწერება წერილი იმ პირობებში, რა პირობებშიაც მე მომიხდა მაგ წერილის დაწერა, რა თქმა უნდა არა გვაქვს გარანტია, რომ წერილი მივა დანიშნულებისამებრ.

თავმჯდომარე —ესე იგი თქვენ განგებ დასწერეთ ეს წერილი, რომ საგანგებო კომისიას ჩავარდნოდა ხელში.

ანდრონიკაშვილი—სრულებითაც არა. მე ბოლოში დავუმატე მხოლოთ, რომ ჩვენ დეკლარაციას შიხვდებიან რა თქმა უნდა, როცა აღმოსავლეთ საქართველო ვერ გამოვიდა, ამან დაამარცხა დასავლეთი საქართველო, ვინაიდან მთელი ძალა ხელისუფლებისა მიმართული იყო იქეთკენ. ეს იყო ერთი მიზეზთაგანი. მეორე მიზეზი—აქ დავრწმუნდით, ჩვენ ბრძოლაში დავმარცხდით და შეიძლება ჩვენ ეს წარმოგვედგინა ისე, რომ ეს იყო ავანტიურა.

თავმჯდომარე: „—ვინ მისცა წინადადება ოთარ დადიანს და გარდაფხაძეს, რომ რაზმები მოეწყოთ?

ანდრონიკაშვილი: „—მაგენი არ ყოფილან ჩემს განკარგულებაში.

თავმჯდომარე: „—თქვენ სასამართლოს გამომძიებელს მის შეკითხვაზე": ადასტურებთ, თუ არა თქვენს ჩვენებას საგანგებო კომისიაში მიცემულს, უპასუხეთ, რომ ვადასტურებო, მაშასადამე სასამართლოსაც ასე შეუძლია მიიღოს. მე მოგიყვანთ თქვენი ჩვენების ერთ ადგილს: —„ოთარ დადიანს და გარდაფხაძეს უნდა შეექმნათ რაზმებიო. შეიძლება ეს წინადადება მისცა მენშევიკებმა მ რტო". მე თქვენ გეკითხებით, პარტიასთან არსებობდა რაიმე რაზმი თუ არა?

ანდრონიკაშვილი: „—წინადადება რომ შეეძლო მიეცა სამხედრო კომისიას, ეს არ ნიშნავს რაზმების არსებობას. მანდ არის ნათქვამი, რომ წინადადება გატარებული იყო ცხოვრებაში? არ არის ეს!

თავმჯდომარე: „—თქვენ როგორ ფიქრობთ, დასაშვებია, თუ არა ეს თქვენი შეხედულებით, სამხედრო რაზმების არსებობა პარტიების დაუკითხავად.

ანდრონიკაშვილი: „—დამოუკიდებლობის კომიტეტთან არსებობდა სამხედრო კომისია, რომლებშიაც შედიოდენ პარტიების წარმომადგენლები და როგორ შეეძლო დამოუკიდებლობის კომიტეტს, შემდგარს პარტიებისაგან, აემუშავებია თავისი აპარატი პარტიების დაუკითხავათ.

თავმჯდომარე:—„მაშასადამე ეს იყო პარიტეტული კომიტეტის დავალებით; არა?

ანდრონიკაშვილი: „—სამხედრო კომისიის წევრის!"

თავმჯდომარე: „—საიდგან ღებულობდა პარიტეტული კომიტეტი და პარტიები ფულებს!

ანდრონიკაშვილი: „—როგორც ჩვენებაში მაქვს, ჩემი თავმჯდომარეობის დროს საზღვარგარეთიდან მივიღეთ 10,000 ლირა. საზღვარგარეთთან კავშირი ჰქონდა ფაღავას. ის ღებულობდა.

თავმჯდომარე:—„10,000 ლირა ერთათ მიიღეთ თუ ნაწილ-ნაწილათ.

ანდრონიკაშვილი: „—ორ ნაწილათ მივიღეთ".

თავმჯდომარე: „—ვინ მიიღო, პარიტეტულმა კომიტეტმა, თუ ცეკამ.

ანდრონიკაშვილი: „—ფაღავას ჰქონდა საზღვარგარეთთან კავშირი. მის დაჭერამდე ის ღებულობდა ფულებს და გადმომცემდა მე, როგორც დამოუკიდებელი კომიტეტის თავმჯდომარეს.

თავმჯდომარე: „—მაშასადამე ფულები მოდიოდა პარიტეტული კომიტეტის სახელზე. ამ ფულებიდან პარტიებს აძლევდით რამეს, თუ არა?

ანდრონიკაშვილი: „—არაფერს".

თავმჯდომარე: „რას ხმარდებოდა ეს ფულები?"

ანდრონიკაშვილი: „—ორგანიზაციულ მუშაობას, კაცების გაგზავნას, რაზმების აღნუსხვას, ზოგიერთის შენახვას. აი მაგალითად, როცა გადაწყვიტეთ ქაქუცას დახმარება, მას ვუგზავნიდით.

თავმჯდომარე: „—როდის მიიღეთ უკანასკნელათ ნოე ჟორდანიას წერილი?

ანდრონიკაშვილი: „—ეს იყო უკანასკნელათ ჯუღლის დროს, როცა ის ჯერ კიდევ არ იყო დაჭერილი ის გვატყობინებდა, რომ არ იზიარებდა ჩვენს გადაწყვეტილებას.

თავმჯდომარე: „—ეს წერილი იყო დასმული ცეკაში განსახილველათ თუ არა?

ანდრონიკაშვილი: „—როგორც ინფორმაცია ისე გადავეცი და ცეკამ მიიღო ცნობათ. დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ უკვე შემუშავებული იყო გეგმა და მან ნოე ჟორდანიას გეგმა აღარ გაიზიარა.

თავმჯდომარე. „—მაშ ამ წერილის შინაარსი ცეკას მთელმა შემადგენლობამ იცოდა?

ანდრონიკაშვილი: „—გაუზიარე, ყველამ იცოდა!".

თავმჯდომარე. „—სანამ თქვენ აჯანყების დროს დანიშნავდით, არ მოითხოვეთ საზღვარგარეთის ბიუროსაგან ამის შესახებ მათი აზრი და სანქცია?

ანდრონიკაშვილი. „—ჩვენ ნოდია გავაგზავნეთ მოხსენების გასაკეთებლად და ვთხოვდით საზღვარგარეთის ბიუროს, გვაცნობეთ, რამდენათ ხელსაყრელია თქვენის აზრით, დღეს გამოსვლები საერთაშორისო სიტუაციის მიხედვით. ეს სანქცია კი არ არის, ეს დასკვნა არის.

თავმჯდომარე. რა პასუხი ჩამოგიტანათ ნოდიამ.

ანდრონიკაშვილი. საერთაშორისო სიტუაცია ჩვენს სასარგებლოთ არისო.

თავმჯდომარე: „—როგორ ფიქრობთ, ბრალდებულო ანდრონიკაშვილო ნოდიას რომ სხვანაირი პასუხი მოეტანა აჯანყებას მოახდენდით?

ანდრონიკაშვილი: იმათ რომ უარი შემოეთვალათ, ჩვენ მაინც გამოვიდოდით.

თავმჯდომარე: „—ვინ იყო ავტორი მემორანდუმის? რომელიც გაუგზავნეთ ლონდონის კონფერენციას და ერთა ლიგას?

ანდრონიკაშვილი: ეს შევიმუშავე მე, შემდეგ რედაქციისათვის გადავეცი ონიაშვილს, რედაქცია შევიმუშავეთ ჩვენ და საბოლოოთ გადავეცით იასონ ჯავახიშვილსა და ბოჭორიშვილს.

თავმჯდომარე: „—ვინ მოაწერა ხელი მემორანდუმს? იქ იყო მოხსენებული „სხიველების" და ფედერალისტების პარტია, იცოდენ, თუ არა მათ?

ანდრონიკაშვილი: „—არ იცოდენ, იმიტომ რომ არ მოვიდენ.

თავმჯდომარე: „—როგორი წერილი გაგზავნეთ თქვენ აჯანყების შესახებ პროვინციაში?

ანდრონიკაშვილი—„მანდ მოყვანილია ეს წერილი, მაგრამ სწორი რედაქცია არ არის. მე ვაცნობე დღე და საათი, როდესაც უნდა მომხდარიყო აჯანყება. ჩამატება, რაც არის მე არ მეკუთვნის და მდივანს არ ჰქონდა უფლება ჩამატებისა. მაგისთანა დროს განკარგულება ხდება რაც შეიძლება მოკლეთ!

თავმჯდომარე—„აქ მოკლედაც არის, მხოლოთ ბოლოში სწერია: „დახმარებას ევროპიდან გვიწევენო.

ანდრონიკაშვილი—„ეს არ არის ჩემგან მიწერილი"!

თავმჯდომარე—მაშასადა მე, თქვენი განკარგულების გარეშე არის მიწერილი ეს?

ანდრონიკაშვილი—დიაღ, მდივნის მიერ.

თავმჯდომარე — „ვინ აწარმოებდა კონტრ-რაზვედკას?

ანდრონიკაშვილი—„——მე პირადათ წინააღმდეგი ვიყავი სპეციალურათ კონტრ-რაზვედკის შექმნისა. რასაკვირველია, მე საწინააღმდეგო არა მქონდა რა, რომ მიმეღო ცნობები კერძო და სანდო პირებისაგან.

თავმჯდომარე„——თქვენ გეკითხებიან, კონტრ-რაზვედკის აპარატი, ჰქონდა, თუ არა პარიტეტს?

ანდრონიკაშვილი: „—არ ჰქონია!"

თავმჯდომარე: „—წინასწარ ჩვენებაში თქვენ გაქვთ ნათქვამი რომ ასეთი ჰქონდათ ფაღავას და ნოე ხომერიკსო. ჰქონდათ, თუ არა ფაღავასა და ხომერიკს კავშირი პარიტეტულ კომიტეტთან?

ანდრონიკაშვილი:—ჰქონდა.

თავმჯდომარე: „—სად მიდიოდა შეკრებილი ცნობები?

ანდრონიკაშვილი. „—დამკომში და პარტიის ცეკაში.

თავმჯდომარე. „—საზღვარგარეთ არ წასულა?

ანდრონიკაშვილი.—ჩემი თავმჯდომარეობის დროს არ წასულა.

შეცდომის გასწორება

პარიტეტულ კომიტეტის გასამართლების ანგარიშში, მოწმე მიხ. ჯავახიშვილის ჩვენებაში შეპარულია შეცდომა. სწერია: „შემდეგი ჩვენებიდან ირკვევა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი ბრბო პარიტეტულ კომიტეტის სრულ განკარგულებაში ყოფილა"...

უნდა იყოს: „შემდეგი ჩვენებიდან ირკვევა, რომ ჩოლოყაშვილი და მისი ბრბო ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას განკარგულებაში ყოფილა"... და სხვ.

ამხ. ლ. ბ. კამენევი ბათომში

22 ივლისს, დღის 3 საათზე, ბათომში ჩავიდა საკავშირო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლ. კამენევი, რომელიც დასასვენებლად იყო ბორჯომში.

ამხ. კამენევი ესაუბრა ს. კ. პ. აჭარის კომიტეტის მდივანს ამხ. თ. ჟღენტს, ცაკის თავმჯდომარეს ამხ. მოწყობილს და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. აბდიბას.

ამხ. კამენევი დაინტერესდა ეროვნული პოლიტიკისა და სოფლად მუშაობის საკითხებით, რის შესახებ ვრცელი მოხსენება გაუკეთა მას ამხ. თ. ჟღენტმა. ამხ. კამენევი კმაყოფილი დარჩა იმ ხაზით, რომელსაც კომიტეტი ატარებს აჭარისტანში.

— ბოდიშს ვიხდი აჭარისტანის მუშებს და გლეხების წინაშე, მაგრამ ძალიან მეჩქარება და არ შემიძლია მოხსენებით გამოსვლა—სთქვა ამხ. კამენევმა. სამაგიეროთ გპირდებით, რომ მოკლე ხანში სპეციალურათ ჩამოვალ აჭარისტანში, რომ უფრო დაწვრილებით გავეცნო თქვენს რესპუბლიკას და ვესაუბრო აჭარისტანის მუშებს და გლეხებს. ეხლა კი გადაეცით ჩემი გულწრფელი სალამი აჭარისტანის მშრომელებს—მუშებს და ფუხარა ხალხს!

ამხ. კამენევს უნდოდა ქობულეთის და ბათომის მიდამოების ნახვა. 22 ივლისს, საღამოს, კიდეც შეეცადა მოტორიან ნავით ქობულეთში გამგზავრებას, მაგრამ ზღვის ღელვის გამო გამგზავრება შეუძლებელი შეიქნა. 23-ს დილით ამხ. კამენევი ავტომობილით გაემგზავრა ქობულეთში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

კომისიის ჩასვლა ახალქალაქში

ახალქალაქი, 24 ივლისი. 22 ივლისს ახალქალაქში ჩავიდა სრულუფლებიანი კომისია ამხ. დოლიძის თავმჯდომარეობით მიწის საკითხების მოსაგვარებლად მაზრაში.

გლეხებისაგან კომისიამ მიიღო მრავალი განცხადებები.

აბრეშუმის თესლის ოპერაცია.

თელავი, 24 ივლისი. აბრეშუმის დამზადება დამთავრდა. „აბრეშუმის" მიერ მიღებულია 2.300 ფუთი 1 ხარისხის და 300 ფუთი 2 ხარისხის აბრეშუმის პარკი.

აზერბეიჯანი

ცაკის სესია

ბაქო, 22 ივლისი. აზერბეიჯანის ცაკის მეორე სესიის 20 ივლისის დღის სხდომაზე გაიმართა კამათი მიწათმოქმედების სახ. კომისარის მოხსენების გამო.

საბოლოო სიტყვაში მიწათმოქმედების სახ. კომისარმა **ბუნიატ-ზადემ** აღნიშნა, რომ კომისარიატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აგრონომიულ დახმარების საქმეს და აგრანომთა რიცხვი აზერბეიჯანში აყვანილი იქნება 79 კაცამდე.

საღამოს სხდომაზე ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულმა **ალიევმა** გააკეთა მოხსენება აზერბეიჯანის ბიუჯეტის შესახებ. მომხსენებლის სიტყვით, შემოსავლის რაოდენობა ნავარაუდევია 5.117.000 მანეთად, წლის პირველ ნახევარში შემოვიდა 2.281.000 მანეთი —38,8 პროც.

მომხსენებელმა აღნიშნა, აგრეთვე, რომ სოფელზე გაცილებით ნაკლები იხარჯება, ვიდრე ქალაქზე. განსაკუთრებით გაიზარდა ადმინისტრატიული ხარჯები—სასოფლო-საბჭოების ქსელის გაფართოება შემდეგ.

მომავალი წლისათვის გადიდებული იქნება ხარჯები განათლებაზე ჯანმრთელობის დაცვაზე, აგრონომიულ დახმარებაზე და სხვა. ადმინისტრატიული ხარჯები მომავალ ბიუჯეტით დაყვანილი იქნება 38 პროდან 18,9 პრო-დე.

მენშევიზმის წინააღმდეგობანი

(დასასრული *)

კაპიტალისტურმა წრეებმა მეცნიერული სისწორით გამოარკვიეს მენშევიზმის სოციალური ბუნება და ამ ანალიზზე დაამყარეს მისდამი თავისი ნდობის პოლიტიკა, და ისინი არ შესცდენ. ომის და შემდეგი წლების განმავლობაში ყველა ქვეყნების სოციალ-დემოკრატებმა პრაქტიკულად, ცხოვრებაში, მოქმედებით გაამართლეს ეს ნდობა მუშათა კლასის სისტემატიური ღალატის გზით. ბურჟუაზია იმდენად ენდობა სოციალ-დემოკრატიას, რომ იგი ხშირად იწვევს მას მართვა-გამგეობის სათავეში და ანდობს მას თავის კლასიურ სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას. კაპიტალისტური ოლიგარხია—ეს ხალხთა ქვეყნების შთანთქმელი, ანდობს სოც.-დემოკრატიას იმპერიალისტურ პოლიტიკის წარმოებას და სისხლისმღვრელ გეგმების განხორციელებას. რომ არ გამოვეკიდოთ ფაქტების ისტორიას, რომელიც ახასიათებს სოციალ-დემოკრატიის როლს მშრომელ მასების რევოლიუციონურ ნებისყოფის ყოველგვარ გამოხატულებას, როგორც კლასიურ-სოციალისტურ, ისე ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ იმპერიალისტურ მთავრობების ბრძოლაში, საკმარისია მოვიგონოთ მაკდონალდის მთავრობა და მისი დამოკიდებულება ინდოეთის, ეგვიპტეს, სუდანის ჩაგრულ ხალხთა მიმართ, მისი ლტოლვა იმპერიალიზმის გავლენის გაფართოვებისაკენ, სინგაპურის ბაზის შექმნის საკითხი და სხვ. ეხლაც ხომ, როდესაც ჩინეთის ტანჯული ხალხი ინგლისის ტყვიის მფრქვეველებით დახვრეტილ მებრძოლთა სისხლით სწერს მსოფლიო და განსაკუთრებით ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ აღმოსავლეთის განმანთავისუფლებელ ბრძოლის ისტორიის ფურცელს, როდესაც დედამიწის ყველა ჩაგრული ხალხები და კლასები მხარს უჭერენ აღმოსავლეთის მონებს, სინდისიერად მოაზროვნე ინტელიგენციის ჯგუფიც*) კი გამოსთქვამს თავის თანაგრძნობას და აღუთქვამს მატერიალურ დახმარებას,—გერმანიის სოციალ დემოკრატიის ცეკა „გომინდანის" ბერლინის ორგანიზაციის მიმართვაზე დახმარების შესახებ, უპასუხებს, რომ მუშები გადასახადების საქმეში არიან ჩაბმული და საერთოთ, არ არიან დაინტერესებული უცხოეთის პოლიტიკით", რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია არის საერთაშორისო პარტია და მას არ შეუძლია გასწიოს პროპაგანდა კრებებზე და მიტინგებზე ლოზუნგით: „ჩინეთი ჩინელებისათვის".

ასეთივე პასუხი გასცა „გომინდანის" წარმომადგენლებს სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებამ, რომელმაც განაცხადა, რომ პროფკავშირები „შორს არიან პოლიტიკისაგან"... ინგლისის თვით მუშათა პარტია, რომლის მთავრობა გამდნარ ტყვიით და ნიკელით უმასპინძლდება ჩინეთის ღარიბ ხალხს, რომელსაც აღარ სურს იმპერიალიზმის მონობა, და თავისი დანაშაულებრივი ხელით ამზადებს ახალ ომების საშინელებას, ეს პარტია, მიუხედავათ იმისა, რომ დიდი ხანი არ არის, რაც კონსერვატორების ქუსლმა გარეკა იგი მთავრობიდან, უკანა თათებზე დგას და ანგლიკანურ მოკრძალებით ხელებაპყრობილი ღაღადებს: „იმპერია წარმოადგენს საყოველთაო მშვიდობიანობის უდიდეს იარაღსო, რომელიც ოდესმე არსებობდა ან შეიძლება არსებობდეს" („პრავდა" 24 ივნისი.).

ნათქვამიდან შეიძლება გამოვიყვანოთ დასკვნა: ყოველი სოციალ-დემოკრატია ინგლისელი, გერმანელი და ქართველი იცავს ბურჟუაზიულ საზოგადოების საფუძვლებს და ინტერესებს და წარმოადგენს კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის ერთგულ და საქმეში გამოცდილ მოკავშირეს.

ამიტომ იგიც აღსავსეა ბურჟუაზიულ საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობით. კაპიტალისტურ ინტერესების შეჯახება და სხვადასხვაობა საკონკურენტო ბრძოლის ხაზზე უშუალო, ლოღიკურ და ბუნებრივ გავლენას ახდენს სოციალ-დემოკრატიულ პარტიების პოლიტიკასა და ტაქტიკაზე: როგორც კაპიტალიზმს არ შეუძლია თავიდან აიცილოს შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლის მსხვერპლიც იგი უნდა გახდეს, არ შეუძლია გადაიქცეს მთლიანი პოლიტიკური ნებისყოფით და ეკონომიური ინტერესებით შედუღებულ ძალათ, ისევე სოციალ-დემოკრატიასაც არ ძალუძს გადაახტეს თავის თავს, თავის ორგანიზმის ბურჟუაზიულ ხერხემალს და შექმნას ინტერნაციონალი, რომელიც თავისუფალი იქნება კაპიტალისტური ანტაგონიზმისაგან და რასკოლისაგან.

აქედან წარმოიშვა „ობორონჩესტვო" და სოციალ-პატრიოტიზმი, ამას ამზადებდა რეფორმიზმი და რევიზიონიზმი. ამიტომ მეორე ინტერნაციონალი ფიქციაა და მასში იმდენივე ინტერნაციონალური სულია, რამდენიც ერთა ლიგაში ან ანტანტაში. მეორე ინტერნაციონალი —ეს უკეთეს შემთხვევაში მშვიდობიანი დროის რეკლამაა, რომელიც მდგომარეობის ცოტაოდენ გამწვავების და გართულების ჟამს ერთბაშათ იცვლება ეროვნული-ბურჟუაზიის დროშებით. სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია ამაღლდეს ბურჟუაზიის ინტერესებზე და შეკავშირდეს წინააღმდეგ ამ ინტერესებისა.

ამიტომ მეორე ინტერნაციონალი ჩაეფლო წინააღმდეგობათა მორევში, რაც წარმოადგენს თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოების წინააღმდეგობათა გაგრძელებას, სხვანაირად რომ ვსთქვათ, იგი წარმოადგენს პროლეტარულ, კლასიურ, რევოლიუციონურ ინტერნაციონალის დიამეტრალურ წინააღმდეგობას; უკანასკნელის მიზანია კაპიტალიზმის წინააღმდეგობაზე დამყარებულ საზოგადოების სწორედ სრული და საბოლოო ლიკვიდაცია. მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ერთიან კლასიურ ფრონტის ნაცვლად სოციალ-დემოკრატები მოუწოდებენ თავიანთი ქვეყნის მუშებს დახოცონ სხვა ქვეყნების მუშები და ამ გამცემლობას და დანაშაულს აცხადებენ პროლეტარიატის საქმედ. ზარბაზნების პირველსავე დაქუხებასთან ერთად 1914 წელს დაიშალა მეორე ინტერნაციონალის მთლიანობა და სოლიდარობა. მისი შემადგენელი სოციალ-დემოკრატიული პარტიები საომარ მოწოდების პირველ ხმაზევე გაეშურენ თავიანთ ეროვნულ ყაზარმებისაკენ და დადგენ თავიანთ იმპერიალისტურ მთავრობების დროშის ქვეშ.

ასე იყო და ასევე იქნება, ვინაიდან ერთი ქვეყნის სოციალ-დემოკრატია ისეთსავე დამოკიდებულებაშია მეორე ქვეყნის სოციალ-დემოკრატიასთან, როგორც ამავე ქვეყნების ბურჟუაზიული კლასები ერთმანეთთან.

როგორც არ შეიძლება მუდმივი ერთიანი ფრონტი მსოფლიო ბურჟუაზიის, რომელიც იქსაქსება შინაური ბრძოლით და ურთიერთ შორის მტრობით და კონკურენციით, ისევე წარმოუდგენელია სოციალ-დემოკრატიის მთლიანობა.

ნაციონალურ ბურჟუაზიას მხარს უმშვენებს სოციალ-დემოკრატია.

მაგალითებისათვის შორს არ დაგვჭირდება წასვლა. თუ რუსეთის ბურჟუაზიის ვიგინდარებს მილიუკოვის მეთაურობით, რომელნიც ისტორიის სანაგვე ყუთში არიან ჩაყრილნი, არასოდეს არ შეუძლიათ შეურიგდენ ყოფილ რუსეთის იმპერიის დაყოფას მთელ რიგ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულებზე და თავიანთ კონტრ-რევოლიუციონურ გეგმებში ეროვნულ საკითხის გადაჭრა შესაძლებლად მიაჩნდათ მხოლოდ თვითმპყრობელობის ჩაგვრის პირობებში (იხ. მილიუკოვის მოხსენება პრაგაში „პოსლედნიე ნოვოსტი"), მაშინ რუსეთის მენშევიკების გალაშქრება რუსეთიდან საქართველოს ჩამოშორების წინააღმდეგ, უსათუოდ ნაკარნახევია მილიუკოვის თვითმპყრობელური შოვინიზმით. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა (მენშევიკების) პარტიის 1918 წ. 27 დეკემბრის რეზოლიუციაში ნათქვამია, „თათბირი აღნიშნავს, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკა, რომელიც სცდილობს გადაარჩინოს დემოკრატიული წესწყობილება და საქართველოს თვითმართველობა უცხოეთზე ორიენტაციით და რუსეთისაგან ჩამოშორებებით, ეწინააღმდეგება იმ ამოცანებს რომელსაც ისახავს პარტია მთლიანათ. პარტიას არ შეუძლია გახდეს ყველას სასაცილოთ და დაუშვას მისი ცალკე ნაწილების ისეთი პოლიტიკური გამოსვლები, რომელიც მის კლასიურ მტრებთან აშკარა ან ფარულ კავშირში, მომართულია მისი რევოლიუციონური პოლიტიკის შინაარსის წინააღმდეგ"...

საქმე აქ იმაში კი არ არის. რომ დანები და აბრამოვიჩები მართლაც აღშფოთებული არიან თავიანთ ქართველ მოძმეების ორიენტაციით უცხოეთის დახმარებაზე, რაც ვითომდა დამქსაქსველ გავლენას ახდენს პარტიაზე და ძირს უთხრის მის პრესტიჟს პროლეტარულ მასსების თვალში. საქმე ამ ყალბ აღშფოთებაში და ფრაზეოლოგიაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ თვითმპყრობელურ შოვინიზმით მოშხამული რუს-მენშევიკების პარტიას არ შეუძლია მოითმინოს და ქართველ მენშევიკების წვრილ ნაციონალურ შოვინისტურ პარტიას აპატიოს ტერიტორიის ჩამოგლეჯა რუსეთისაგან და მის ძალა-უფლების სფეროდან თავისი ყოფილი ორგანიზაციის გასვლა და დამოუკიდებლად არსებობა.

მაგრამ ქართველი მენშევიკებიც არ ჩამორჩენ მათ... მათი დამოკიდებულება რუსეთის მენშევიზმისადმი გამსჭვალულია უღრმესი მტრობით და სრული უნდობლობით. ქართული დემოკრატიზმის მოციქულები ხედავენ „დემოკრატიულ რუსეთში" ძალას, რომელიც ემუქრება რუსეთის შემადგენლობაში შემავალ პატარა ერების არსებობას. ჟორდანია ხედავს დანში თავის მოსისხლე მტერს. ქართული და რუსული მენშევიზმი გვიჩვენებს მეორე ინტერნაციონალის შინაგანი მთლიანობის და მისი ნაწილების ორგანიული კავშირის ფიქტიურობას.

აი რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც ახასიათებს ქართველ და რუს მენშევიკების ერთდაიმავე ოჯახის წევრებ ის ურთიერთდამოკიდებულებას.

ევროპიდან მიღებულ სადირექტივო წერილში, რომელიც ჩამოართვეს მენშევიკურ პარტიის ცეკას თავმჯდომარეს და რომელიც ეკუთვნის პარიზის ჯგუფის ხელმძღვანელის ჟორდანიას კალამს, ვკითხულობთ:

„შეიძლება ვინმემ აქედან ისეთი დასკვნა გამოიტანოს, რომ საჭიროა გადაისინჯოს წარსული და გამომუშავდეს ახალი გზები. როდესაც მე ვლაპარაკობ წარსულზე, მე სახეში მაქვს არა წვრილმანები, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის საერთო გზა და დამოუკიდებელ რესპუბლიკის დაცვა. ამ მხრივ ჩვენ არა გვაქვს საფუძველი რევიზია გაუკეთოთ ჩვენს თავს. პირიქით, ის, რაც ჩვენ გარშემო ხდება, კიდევ მეტად გვარწმუნებს ჩვენი პოლიტიკის სისწორეში და მისი განხორციელების აუცილებლობაში. საქართველო ჩამოშორდა რუსეთს, მას აღარ შეუძლია დაუბრუნდეს უკან, არა მარტო იმიტომ, რომ იქ ბატონობდენ ბოლშევიკები, არა მარტო, ასე ვსთქვათ, იმ ფსიქოლოგიურ ატმოსფერის მიზეზი, რომელიც ბოლშევიკებმა შექმნეს ჩვენს ხალხში, არამედ უმთავრესად მიტომ, რომ რუსეთი, როგორიც არ უნდა იყოს იგი—ბოლშევიკური თუ დემოკრატიული—ეკონომიურად, პოლიტიკურად და ეროვნულად ყოველთვის დაგვახრჩობს არა მარტო ჩვენ, არამედ ყველა განაპირა კუთხეებს. ვერც უკრაინა, ვერც ყაზახები და ვერც სხვები ვერ შეურიგდებიან მოსკოვის ბატონობას. თუ იგი აუტანელი იყო წარსულში, მომავალში იგი ასჯერ უფრო აუტანელი იქნება. თუ წინად მოსკოვი თავის სამრეწველო პროდუქციიდან ცოტა რამეს მაინც აძლევდა განაპირა კუთხეებს და ამით აკავშირებდა მათ ცენტრთან, ამ მომენტიდან იგი უნდა იკვებებოდეს უკანასკნელთა სისხლით, ოფლით და მათი შრომით და სცდილობდეს თავის შერყეულ მდგომარეობის აღდგენას და დიდ იმპერიალისტურ გეგმების განხორციელებას"..

აი რა აზრისანი არიან ქართველი მენშევიზმის ლიდერები, დემოკრატიზმის „ეს მოსარჩლენი" დემოკრატიულ რუსეთზე. აი როგორ ისახება ჟორდანიას და მისი ამხანაგების თვალში ეს საშინელი, დემოკრატიული, მხეცი. რუსეთის დემოკრატია, რომელსაც მენშევიკები მეთაურობენ, შეიძლება იყოს მხოლოდ მცირე ერთა და განაპირა კუთხეების მჩაგვრელიო, ამბობენ ისინი. მაშასადამე მენშევიკურ დემოკრატია თავისი ბუნებით იმპერიალისტურია. იგი უნდა იკვებებოდეს სუსტ ხალხთა ოფლით და სისხლით, იგი ასჯერ უფრო აუტანელია, ვიდრე თვითმპყრობელობა. მაგრამ აქ ჩვენ იძულებული ვართ დავიცვათ საწყალი რუსეთის „დემოკრატია". დავიცვათ იგი ქართველ მანშევიკების გააფთრებულ და უსამართლო თავდასხმისაგან და განვუცხადოთ მათ: „არა, მოქალაქენო, რამდენადაც ცუდი არ უნდა იყოს დემოკრატია, იგი მაინც უკეთესია თვითმპყრობელ მონარქიაზე.

მაგრამ ყური დამიგდეთ, რას ამბობს ქართველ მენშევიკების პარტიის ცეკას და აჯანყების მთავარ შტაბის წევრი ონიაშვილი თავის წერილში ცეკას თავმჯდომარესადმი „ბოლშევიზმის დაშლა უნდა მოხდეს მთელი რუსეთის მასშტაბით. ამიტომ ჩვენი მუშაობა ამ მასშტაბის გარეშე ჰკარგავს ყოველგვარ აზრს და ადრე თუ გვიან ჩვენ უნდა დავემორჩილოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცეკას დირექტივებს. ამით ხომ სახელმწიფოს (ე. ი. საქართველოს. ს. ქ.) „დამოუკიდებლობა".ს და მის გარშემო ბრძოლას ეკარგება ყოველგვარი აზრი. თუ საკითხი ეხება ამ დამოუკიდებლობის გაუქმებას, მაშინ ვსთქვათ ეს პირდაპირ. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს ასე არ არის, რადგან ასეთი აზრი არ გამოუთქვამს არც უკანასკნელ კონფერენციას, არც ციხეს, არც საზღვარგარეთელ ამხანაგებს. ყოველ შემთხვევაში საკითხი ფრიად სერიოზულია და ვფიქრობ საჭიროა პლენუმის მოწვევა, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს გაუგებრობას. აქ სავსებით აშკარად და გარკვევით ჩამოყალიბებულია ქართველი მენშევიკების დამოკიდებულება რუსებისადმი.

რუსეთის სოც. - დემოკრატიულ პარტიის ცეკას დირექტივებში ონიაშვილი ხედავს პირდაპირ მუქარას, რომელიც მიმართულია საქართველოს სოციალ.-დემოკრატიის პოლიტიკურ პროგრამის მთავარ პრინციპის, სახელდობრ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისაკენ. ონიაშვილისათვის ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. ის არ მოელის დაზოგვას თავის სულიერ და იდეურ ძმებისაგან. მისთვის სავსებით ცხადია, რომ რ.-ს-ც.-დემ. მუშათა პარტიის ცეკას დირექტივები და საქართველოს დამოუკიდებლობა ერთმანეთს აბათილებენ. მტრობა, უნდობლობა და აღშფოთება ამოძრავებს ონიაშვილის ხელს, როდესაც ის სწერს, რომ აღნიშნული დირექტივები მისაღებია მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმების საფასურით. ქართველ და რუს მენშევიკებს, რომ მუშათა კლასის და პროლეტარული რევოლიუციის ინტერესები აერთიანებდესთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ანტაგონიზმს და შეურიგებლობას მათ შორის ადგილი არ ექნებოდა. მაგრამ მათი ურთიერთ დამოკიდებულება განისაზღვრება ბურჟუაზიულ და წვრილ - ბურჟუაზიულ კლასების ინტერესებით, გავლენით და ტენდენციებით. დ. ონიაშვილი არასოდეს არ მოერიდება ყოველ ბურჟუაზიულ მთავრობის „მორალურ", პოლიტიკურ და შეიარაღებულ დახმარებას წინააღმდეგ რუსეთის სოც.-დემ. პარტიის ცეკას დირექტივებისა.

აი კიდევ მეორე ინტერნაციონალის სექციების კავშირის, სოლიდარობის და მთლიანობის თვალსაჩინო ნიმუში.

ქართველ მენშევიზმის ერთ-ერთ ლიდერის გრ. ლორთქიფანიძის წერილში ვკითხულობთ: „რა ორგანიზაციული დამოკიდებულება და როგორი კავშირი უნდა გვქონდეს ჩვენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან? ჩვენი პასუხია: სავსებით ისეთი, როგორიც გვაქვს დღეს. ე. ი. სოციალისტური ინტერნაციონალის საშუალებით. რუსეთმა დაიპყრო საქართველო, როგორც სახელმწიფო, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ იგი ჯერ კიდევ არ დაუპყრია აბრამოვიჩის პარტიას, რათა გადააქციოს საქართველო სოციალ-დემოკრატიულ კოლონიათ, გაანთავისუფლოს ირაკლი წერეთელი ინტერნაციონალიდან და გაგზავნოს ბალტაში ან სერპუხოვში რუს. სოც.-დემ. პარტიის სამაზრო კომიტეტის მოსაწყო-

---

*) იხ. „კომუნისტი" № 169.

*) ბერლინში გამოქვეყნებულია 60 პროფესორის, მწერალის, მხატვრების მოწოდება რომელიც გამოსთქვამს თანაგრძნობას ჩინეთის რევოლიუციონურ ინტელიგენციისადმი და პრაქტიკულ დახმარებას აღუთქვამს საერთაშორისო მუშათა დახმარების ორგანიზაციას ჩინეთისათვის დახმარების გაწევის საქმეში. „პრავდა" 28—6

პატარა ფელეტონი

დარაბა და „პარიტეტი“.
სხვა არ ვიცი ამის მეტი!

„ჩვენ, „სხიველები“ ვიყავით 15 კაცი. სინამდვილეში ეს თხუთმეტიც არა სჩანდა, ყველაფერი ეკითხებოდა მუხრან ხოჭოლავას.

ჩვენი მუშაობა წარმატებით მიმდინარეობდა მანამ, სანამ გვქონდა მუქთად დარაბა, სადაც ჩვენ ვიკრიბებოდით და ვმსჯელობდით. ჩვენთან აქ ბევრი მოდიოდა, მაგალითად, ტიციან ტაბიძე.

„ნეპის“ დამკვიდრების შემდეგ. დარაბას დააწვა სხვადასხვა გადასახადი. გადახდა რომ არ შეგვეძლო, ჩვენ იძულებული გავხდით შეგვეწყვიტა ჩვენი მუშაობა, ვინაიდან აღარ გვქონდა დარაბა. ამის შემდეგ, სხვა საქმე რომ აღარაფერი გვქონდა, ნელ-ნელა და თან და თან ამოვყავით თავი „პარიტეტულ კომიტეტში“...

(გრ. გიორგაძის ჩვენებიდან).

როცა თუთხმეტი ვიყავით,
თუთხმეტივე ერთის თავით,
ამ თავს ერქვა ხოჭოლავა!..
ვხედავთ ბოლოს, რომ ვერ გავა
ჩვენი საქმე, ჩვენი ზრახვა:
ზოგჯერ სჭირდა „თავის“ ნახვა,
და თუმც ერქვა მას მუხრანი,
სულ იცოდა ჩვენგან განი,
თავმჯდომარედ თუმც სხვებს სჯობდა,
მაგრამ მაინც მუხრუჭობდა!..
სანამ გვქონდა ჩვენ დარაბა,
ყოველდღე დავიდარაბა
მუქთად იყო და საყოფათ!
აი რა გვქონდა გასაყოფათ!
მოდიოდა ჩვენთან ბევრი,
ვინც კი იყო ენამჭევრი.
დღესაც ბევრმა ეს იციან,
მაგალითად, თვით ტიციან,
სხვა რამ საქმე რომ არ ჰქონდა,
ჩვენთან ხშირათ მოდიოდა!..
მაგრამ, აი, გაჩნდა „ნეპი“
და ჩვენც, იმ „თავ“-წანასხეპი,
დავრჩით ობლათ, დავრჩით ქრივად,
და მოგვაწვა ერთად, მკრივად
ბეგარა და ფულის ლალა...
აღარ იყო იმის ძალა,
რომ გადახდა შეგვძლებოდა,
და ვხედავდით, რომ სდნებოდა
ჩვენი რიგი, ჩვენი ჯარი...
და... დავრჩით ორ ნახევარი!..
ამის შემდეგ, ასე, იყო:
ეს დანაშთიც შვა გაიყო,
და დაქანდა ნახევარი...
აღარ მახსოვს ეხლა გვარი,
თუ სახელდობრ, ვინ იმარჯვა
და პირველად ვინ, ვინ ჩაჯდა
პარიტეტულ კომიტეტში?!.
მე ვიყავი ჯერე ცენტრში,
შემდეგ—მარჯვნივ, ეხლა-მარცხნივ...
რა თქმა უნდა ასე ავხსნი
ამ მოვლენას, როგორც რყევა,
რადგან ჩემთვის დღეს ირკვევა,
რომ შეცდომა მეტის მეტი
იყო მთელად პარიტეტი!..

ონისიმე.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში

პურის შემოტანა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა პურის დეფიციტი 1925—26 წლის განმავლობაში განსაზღვრა 16.000.000 ფუთით; აქ მხედველობაში მიღებული არ არის სიმინდის შესაძლებელი ზედმეტი რაოდენობა, რადგან სიმინდი ვერ დააკმაყოფილებს ამიერ-კავკასიის დეფიციტიან რაიონებს რომლებიც ჩვეულებრივ მხოლოდ ხორბალს ხმარობენ.

საკითხი მიმდინარე წლის სიმინდის მოსავლის რაოდენობის შესახებ პირობითად არის გადაწყვეტილი, რადგან ეს მოსავალი შეიძლება საბოლოოდ გამორკვეული იქნეს მხოლოდ მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

პურის დეფიციტი დაფარული იქნება 13.000.000 ფუთ პურის შემოგზავნით, ადგილობრივ 2 მილიონ ფუთ პურის დამზადებით და 1.000.000 ფუთ პურის შემოტანით კერძო დამზადების მიერ.

საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო პურის მიწოდება ამიერ-კავკასიის ბამბის მეურნეთათვის 2.600.000 ფუთის რაოდენობით პური მიწოდებული უნდა იქნეს საშუალო საბაზრო ფასებში, მაგრამ არა უმეტეს 1 მან. 50 კაპ. ფუთი ხორბალი.

ბამბის ფასები

მხედველობაში მიიღო რა ნედლი ბამბის თვითღირებულების ელემენტები და საბჭოთა მრეწველობის ინტერესები (მანუფაქტურის გაიაფება, ძირითადი კაპიტალის აღდგენა), საგეგმო კომისიამ ერთ ფუთ ნედლ ბამბაზე დააწესა საშუალო ფასი 4 მან. 85 კაპ. რაოდენობით, ძაფებზე კი—ფრანკო მოსკოვი არა ნაკლებ 21 მან. 50 კაპ.

საგეგმო კომისიის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სექციებს დაევალა განიხილონ ბამბის ძაფების თვითღირებულების კალკულიაცია საწარმოო და სხვა ზედდართული ხარჯების შემცირების თვალსაზრისით.

საქონლის მიწოდება მებამბეობის რაიონებისათვის

პურის მიწოდებასთან ერთად, სახელმწიფო საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო მიეწოდოს მებამბე გლეხთა მეურნეობებს შეღავათიან პირობებში სხვა საქონელიც, რომლებიც საჭიროა გლეხთა მეურნეობებისათვის, სახელდობრ: მანუფაქტურა, სატყეო საალმშენებლო მასალა და სხვა.

საქონლის შემოტანის გეგმის განხილვის დროს გადაწყვეტილია მხედველობაში მიღებული იქნეს მებამბეობის რაიონების მოთხოვნილება გლეხთა მოხმარების საქონელზე.

ბად, და საქართველოს მუშათა კლასას წარმომადგენლობის სიმძიმე იკისროს თვითონ. ჩვენ ამაზე ვსწერთ იმიტომ, რომ „ზარია ვოსტოკას“ 766 №-ში წავიკითხეთ რ. აბრამოვიჩის წერილის ნაწყვეტები („სოც. ვესტნიკი“ № 22—23), საიდანაც სჩანს, რომ ბუნდისტი რ. აბრამოვიჩი, რომელიც ფიქრობს რუსეთში ჰაერში (ექსტერიტორიალურ) ებრაელთა სახელმწიფოს შექმნას, რომლის მთავარ საყრდენს და უჯრედებს უნდა წარმოადგენდეს სინაგოგები და მათი მრევლები, ეს ამხანაგი თავს ესხმის ქართველ სოციალ-დემოკრატიის ნაციონალიზმისა და აგვისტო-სექტემბრის ამბებისათვის და გამოჰყავს დასკვნა, რომ ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ არა თუ უნდა შესცვალოს თავისი ტაქტიკა, არამედ ორგანიზაციულად უნდა გაერთიანდეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, რათა მისი საქმეები ისევე კარგად წავიდეს, რათა შეინარჩუნოს გავლენა მუშათა წრეებში და სხვ. ვუსურვოთ მას... რათა მომავალში ჩვენზე ნულარ იზრუნავს და თავის თავს გაუწიოს მზრუნველობა. სამწუხაროთ მკითხველს შეუძლია ბერლინში მცხოვრებ ამ ბუნდისტ-ემიგრანტში შეამჩნიოს მოსკოვის ყურები და „თვითმპყრობელური“ კუდი, დაწყებული გომელიოან და ვოლგიდან ვლადივოსტოკამდე. ბუნდის გაფანტული უჯრედები და ცალკე ერთეულები წარმოადგენენ დამოუკიდებელ პარტიას, ხოლო საქართველოს სახელმწიფოსათვის ეროვნულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის არსებობა საეჭვოა... საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დამოუკიდებლობა და მისი ინტერნაციონალში შესვლის საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა მივიჩნიოთ გადაჭრილად მიუხედავად იმისა, ვისი გარნიზონებიც არ უნდა იმყოფებოდენ დროებით თბილისში, კიდეც რომ დაუშვათ ისეთი სიზმარი, რომ ამხ. აბრამოვიჩის დივიზიამ ხელში ჩაიგდო არსენალი და თბილისის პროლეტარიატის აკვანს და ციხე-სიმაგრეს—ნაძალადევს ეწოდა „აბრამოვკა“. მიუხედავათ მოუდრეკელ რუს სოციალისტ-ჟურნალისტების „ინტერნაციონალისტურ“ ვარჯიშობისა, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატია დაამყარებს მსოფლიო ინტერნაციონალში რუსეთის სოციალისტურ მუშათა კლასთან ძმურ და ჭეშმარიტ ინტერნაციონალურ კავშირს“.

ავტორს არაფერი საერთო არ უნდა იქონიოს აბრამოვიჩის პარტიასთან, თუმცა ეს პარტია არის რუსეთის სოციალ-დემოკრატია. ის სახელს უტეხავს მენშევიკ აბრამოვიჩს, როგორც ებრაელთა ნაციონალისტს, რომელიც სცდილობს სინაგოგებისა, რაბინებისა და თალმუდის ფანატიკოსებისაგან შექმნას ავტონომიური სახელმწიფო. ჩვენ რა თქმა უნდა არ ვფიქრობთ აბრამოვიჩის დაცვას ლორთქიფანიძის გესლიან თავდასხმებისაგან, ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ აბრამოვიჩი არის რუს. სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურ ორგანიზაციის წევრი და წარმომადგენელი მეორე ინტერნაციონალში. ლორთქიფანიძე სავსებით სამართლიანათ ამჟღავნებს აბრამოვიჩის სახით თავის გუშინდელ მეგობარ რუს მენშევიკების ნამდვილ სახეს.

უნდა ითქვას სიმართლე, ამაში მას ერთგვარი დამსახურებაც მიუძღვის.

მაგრამ ამავე დროს ის თავის თავსაც, ე. ი. ქართველ მენშევიზმსაც ამხელს.

ჩვენ მთელი ეს ფაქტიური მასალა მოვიყვანეთ იმიტომ, რომ კერძო მაგალითებზე გაგვეშუქებია თანამედროვე სინამდვილე, მთავარი ჩვენი დებულება საერთაშორისო მენშევიზმის წინააღმდეგობათა, ამ გავლენის მთავარ მიზეზების ერთგვარობის და 2 ინტერნაციონალის ინტერნაციონალიზმის ფიქტივობის შესახებ.

ს. ქ.

შეცდომის გასწორება

ამხ. ს. ქ. წერილის თარგმანში, აგრეთვე კორექტურაში შეიპარა შეცდომები; სხვათა შორის, უნდა გასწორდეს შემდეგი:

№ 167. მე-3 სვ. უნდა იყოს: „აღარ შეუძლიათ დაფარონ“.
იგივე სვ. — „მინიმუმადე მცირდება“.
„ — „სიახლეს და სიცხადეს“.
მე-5 სვ. — „კონგლომერატი“.
„ 7 „ — „ინგლისელი გენერალი“.
„ 8 „ — „გავიგოთ“.
№ 169. სვ. 2. უნდა იყოს: „საგაფიცვო განწყობილებაზე უპასუხა“.
„ 5 „ „გაასალონ თავი წაშებულათ“.
„ 6 „ ამოსაშლელია სიტყვები: „მექანიზაციის სისტემის“.
„ 6 „ უნდა იყოს „გავლენის საზომის“. „არა არსებით ფორმალურ ნიშნებზე“ და სხ.

მეტი ყურადღება ქალაქში ბაღებისა და სკვერების გამრავლების საქმეს

(ჩვენი ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ)

ჩვენის დაკვირვებით, თბილისში საკმაო ყურადღება ვერ აქვს მიქცეული ბაღებისა და ხალხისთვის სასეირნოდ აუცილებლად საჭირო ადგილების გამრავლების საქმეს...

ძნელი წარმოსადგენია მეორე ისეთი დიდი ქალაქი, რომელიც ასე ღარიბი იყოს ბაღებითა და სკვერებით, როგორც თბილისია. ჩვენი დედა ქალაქი მთების ქვაბურშია გამომწყვდეული. ის გარშემორტყმულა გატიტვლებული პიტალო მთებით, რომელთაც მხოლოდ ადრე გაზაფხულზე თუ ამშვენებს ბალახის მწვანე ხავერდი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხელისუფლების დროს თბილისის ქალაქის გამგეობები მიზნად ისახავდენ ამ მთების მცენარეულობით მოფენას, ჯერ-ჯერობით მაინც ეს მთები ისევ ისე გამოიყურებიან მწვანე სამოსელს მოკლებულები და თითქოს დასცინიან ჩვენს ცდასა და სურვილებს...

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ გასაბჭოების შემდეგ ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან ჩვენი ქალაქის მოღვაწენი, მაგრამ დადასტურებით შეიძლება ითქვეს, რომ ეს ცდაც ამაოთ ჩაივლის თუ ამ მთებზე სარწყავი წყალი არ მოეწყო.

ეს გარემოება, რა თქმა უნდა, დაუძლეველი არ არის, მეცნიერებას დაუძლეველი აბა რა გადაურჩება და თუ ჩვენ ვერა, ჩვენი შემდეგი თაობა მაინც მოესწრება იმ დროს, რომ თბილისის ხრიოკი მთები ჩინებულ ტყეებით იქნებიან დაფარული.

გვწამს, რომ ეს ასე იქნება, მაგრამ დღესდღეობით კი მცხოვრებთა უღარიბესი ნაწილისათვის პირდაპირ აუტანელია ზაფხულობით თბილისში ცხოვრება.

ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო საცოდავები ბავშვები არიან. სამწუხაროთ, ჩვენ ამ ჟამად ხელთ არა გვაქვს სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად მეტია თბილისში ზაფხულობით ბავშვების სიკვდილი, მაგრამ უამისოდაც აშკარაა, რომ ზაფხულის თვეებში ბავშვების სიკვდილის რიცხვი აღწევს მაქსიმუმამდე.

შებრძანდით რომელიმე სკვერში, დაუკვირდით იქ მოთამაშე ბავშვებს და სევდა ჰფლებს მთელ თქვენს არსებას. როცა ამ სახე-გაცრეცილ-გაფითრებულსა და გამხმარ ბავშვებს ხედავთ, ძალა-უნებურად გებადებათ თავში კითხვები: ნუ თუ ამ დასნეულებულმა თაობამ უნდა შესცვალოს ის თაობა, რომელიც დღეს ახალი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეს შებმია და პირდაპირ ტიტანიურ მუშაობას აწარმოებს? რა გამოვა ამ ბავშვებიდან, როგორი მემკვიდრეები იქნებიან ის დაავადებული ბაღლები იმ ახალი ქვეყნისა, რომელსაც ჩვენი თაობა ამდენი ტანჯვითა და წვალებით აშენებს?..

ასეთ წუთებში მაშინ, როცა მე რომელიმე სკვერში ვზივარ და იქვე ჩემს თვალწინ მოთამაშე ბავშვებზე ვფიქრობ, ბევრი მათგანის დანახვაზე პირდაპირ ველური გრძნობა გებადება თავში; გამოვტყდები და ვიტყვი, რომ პირდაპირ მწყინს, რომ ზოგიერთი ეს ბავშვები ობლები არ არიან, იმათ მშობლები ცოცხლები ჰყავთ და ეს გარემოება მათთვის შეუძლებლად ხდის სახელმწიფოდან მზრუნველობისა და დახმარების მიღებას:

აბა როგორ უნდა მოგივიდეთ თავში ასეთი ველური აზრები, როცა ხედავთ, რომ უპატრონო ბაღლები ჩინებულად სცხოვრობენ თავშესაფარში, როცა ხედავ, რომ ისინი სუფთად ჩაცმულ-დახურული, ჩინებულად მოვლილები, სწავლობენ და იზრდებიან, მომავალში საზოგადოების სასარგებლო წევრებად ემზადებიან... და იმავე დროს ის მშობლების სიცოცხლით „ბედნიერი“ ბავშვები კი, „უპატრონოებთან“ შედარებით სრულიად უმწეო მდგომარეობაში არიან...

ამ ღარიბების ბაღლებისთვის ერთად-ერთი გასართობი საქმეა ბაღებსა და სკვერებში შესვლა, იქ წმინდა ჰაერით სუნთქვა და თამაში. მაგრამ ბევრი მოგვეპოვება ეს ბაღები?

აბრძანდით „განდეგილზე“ და გადმოხედეთ აქედან თბილისს. თქვენ თვალებში გეჩხირებათ უკვე დიდი ხნიდან გახუნებული სახლის სახურავები. შეჭოჩრებულ მწვანეულობას თქვენ ხედავთ მხოლოდ სასახლის ბაღში, ალექსანდრეს ბაღში და მუშტაიდში. პუშკინის სკვერი ხომ იმდენად პატარაა, რომ მასზე ლაპარაკიც არა ღირს...

სულ ეს არის და ეს!.. მაგრამ სასახლის ბაღი ხომ ხალხის სასეირნო ადგილი არ არის; ალექსანდრეს ბაღი ბაღლებისათვის გამოსადეგი არ არის, ერთი იმიტომ, რომ ის არც ისე დიდია, მეორეც იმიტომ, რომ იქ თავს იყრის საზოგადოების ისეთი ნაწილი, რომელიც ბავშვებისთვის ვერ იქნება კარგი მაგალითის მიმცემი. ჩვენ არაფერს ვლაპარაკობთ მუშტაიდის ბაღზეც, რადგანაც ის ცენტრიდან ერთობ შორს არის. ბოტანიკური ბაღი ხომ სულ არ არის ანგარიშში ჩასაღები, რადგანაც ის მხოლოდ მეცნიერულ მიზნებს ემსახურება და ესეც არ იყოს, ისიც განაპირა ადგილას მდებარეობს.

ეს არის და ეს ჩვენი ბაღები. დამეთანხმებით, რომ ეს საკმაო არ არის და ქალაქის მცხოვრებთა იმ ნაწილისათვის, რომელიც მუდამ მოკლებული იყო და დღესაც მოკლებული არიან ბედნიერებას აგარაკებით ისარგებლონ, ბაღების უქონელობა მეტისმეტად საგრძნობელია... და პრესა ვერ შეასრულებდა თავის წმინდა მოვალეობას, თუ ის არ მოაგონებდა ჩვენი ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს ამ გარემოებას და არ მოსთხოვდა მას, რომ, რაც შეიძლება მეტი ყურადღებით მოეპყრას იგი თბილისში ბაღებისა და სკვერის გამრავლების საქმეს.

დღეს მთელი ქალაქის უძრავი ქონების პატრონი თვითონ ხალხია, როცა ბაღებისა და სკვერების გასაკეთებლად ადგილის ყიდვა არ გვიხდება, ეს საქმე არც იმდენად ძნელია და სულ რამდენიმე წლის განმავლობაში შეიძლება ამ დიდი ნაკლის თავიდან აშორება. ჯერ-ჯერობით სრულიად საკმაო იქნება მთების შეკალთებებზე იქნას დაწყებული პატარ-პატარა სკვერების გაკეთება..

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ცდა სამწუხაროდ, მხოლოდ მეტის-მეტად პატარა მასშტაბით უკვე მოახდინა ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა. ჩვენ მოგახსენებთ იმ პატარა სკვერზე, რომელიც ამა წლის დასაწყისიდან იქნა გაშენებული ფუნიკულიორის დაბლა სადგურთან. მართალი მოგახსენოთ, ძნელი წარმოსადგენია უფრო მოხდენილი ადგილი ამ მიზნისთვის, როგორიც ეს ადგილია, მთელ ქალაქში რომ ბუღი იდგეს, აქ გრილი სიო ქრის. შებრძანდით ამ სკვერში საღამოს ექვსი საათიდან და თქვენ იქ დაინახავთ ასობით პატარა ბავშვებს, რომლებიც აქ თამაშობენ და ცელქობენ. აქ გაისმის განუწყვეტელი ჟივილ-ხივილი. საღამოს ათ საათამდე აქ პირდაპირ ყურთა სმენა არ არის. ხუთი-ექვსი საათის განმავლობაში აქ სუფთა ჰაერით სარგებლობს რამდენიმე ასი ბავშვი და ეს საუკეთესო ჯილდო უნდა იყოს ქალაქის იმ მუშაკებისათვის, რომლებსაც პირველად მოუვიდათ თავში ამ სკვერების გაკეთების აზრი.

მხოლოდ, ვიმეორებთ, ეს მეტისმეტათ მცირეა, ეს მხოლოდ წვეთია საჭიროების იმ ზღვაში, რომელთანაც ამ შემთხვევაში გვაქვს საქმე.

მაგრამ თავი იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ ქალაქის აღმასკომმა ამ სკვერის გაკეთებიათ „ანი“ უკვე სთქვა და, ალბათ, „ბანსაც“ მალე იტყვის. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ ამ ახალი სკვერის ირგვლივ ერთობ დიდძალი ადგილია, რომელიც ამ საქმისთვის გამოსადეგია.

მოყვარე.

საბურთალოს ჭაობების ამოშრობა

თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა ჭაობების ამოშრობას საბურთალოზე. ამ საქმისათვის გადადებულია 18,600 მანეთი.

ამ ჟამად მუშაობა სწარმოებს მთავარი არხის გასათხრელათ და გასაღრმავებლად. ეს არხი გადის საბურთალოს დაბლობ ადგილებში, სჭრის საქართველოს სამხედრო გზას და უერთდება მტკვარს. ეს არხი აგროვებს წვიმის წყალს, რომელიც მისი საშუალებით გადადის მტკვარში.

ამ ჟამათ მუშაობა სწარმოებს ამ არხის გასაგრძელებლათ ერთნახევარი ვერსის მანძილზე და მის დასაახლოვებლათ საბურთალოს ჭაობიან ადგილებთან. არხის გაგრძელების გზით ამოშრობილი იქნება ყველაზე უფრო დიდი ჭაობი დელისში, სამი ვერსის მოშორებით საბურთალოდან; ეს ჭაობი არის მალარიის მთავარი გამავრცელებელი წყარო.

ამასთანავე საბურთალოს დაბლობ ნაწილში, ე. წ. მალაკნების და თათრების რაიონში, ხდება ახალი ქუჩების დაგეგმვა და გაყვანა. ქუჩების გაყვანა ხდება დადაბლებულ მიწის სივრცეზე იმ მიზნით, რომ წვიმის წყალი ჩავიდეს არხებში, რომლებიც სპეციალურათ მოწყობილია ქუჩების გასწვრივ.

ჯერჯერობით გაყვანილია 6 ქუჩა საერთო სიგრძით ოთხნახევარი ვერსი. ამჟამად სწარმოებს ამ ქუჩების შეკეთება (ქვაფენილების მოწყობა, მოკირწყლა და სხვა). სულ განზრახულია გაყვანილი იქნეს ქუჩები 12 ნახ. ვერსის სიგრძეზე.

ამას გარდა საბურთალოს ყველაზე უფრო მახლობელ ნაწილში—ახალშენში სწარმოებს ჭაობების ამოშრობა იმ მიწით, რომელიც რჩება ქუჩების გათხრიდან. საბურთალოს ამავე ნაწილში, სადაც არ გადის მთავარი არხი, 17 საჟენის მანძილზე გაყვანილი იქნება გვირაბი: ამ გვირაბის საშუალებით წვიმის წყალი ერთი აუზიდან გადავა მეორეში, შემდეგ კი შეუერთდება მდ. ვერას.

ამ ჟამათ საბურთალოს კეთილმოწყობა დამთავრებულია 80 პროცენტით.

შინამრეწველობის განვითარება

საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის განვითარებასთან ერთად, საქართველოში სერიოზული ყურადღება ექცევა შინამრეწველობის განვითარებასაც. ამ წარმოებას ჩვენში ძველადაც ექცეოდა ყურადღება და ეხლა მას უფრო ფართედ მოეკიდა ხელი.

თბილისში უკვე არსებობს ამ დარგში მატყლის სართავი სახელოსნო, რომელიც საჭიროებს შეკეთებას, მას შეუძლიან გამოიმუშავოს ორ-წყება მუშაობის დროს 120—144 ფუთი ნართი. როზა ლიუქსემბურგის სახელობის საპრეტურო ქარხანასთან ითელება შინა-მრეწველობის წესით დამზადებული მატყლის ქსოვილები. მომავალში აქ დაიდგმება საკრეჭი მანქანა, რომელიც მოაცილებს ქსოვილს ბეწვს. აქვე მოეწყობა: აბრეშუმის, ბამბის და ტილოს ქსოვილების დატკეცა და წებნაქსის (კლიონკა) დამზადება, ამ დღეებში დამზადებული იქნება 500—1000 მეტრი წებნაქსი. აღნიშნულ სახელოსნოსთან უკვე სწარმოებს მატყლის დახარისხება და რეცხვა, რათა მომავალში მუდმივათ მიეწოდოს სოფლის შინამრეწველებს დაზგები და საქსელავ-საფეიქრო იარაღები, ამისათვის ამ ქარხანასთან მოეწყობა, ან გაუმჯობესდება ძველ ბინაზე, დიდუბეში სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები, რომლებიც მიაწვდიან შინამრეწველებს საჭირო დაზგებს და ხელსაწყოებს და მეორეს მხრივ შინა-მრეწველობას მისცემენ საკუთარ თანხებს და მომზადებულ მუშაკებს.

თბილისშივე არსებობს ლაბორატორია, რომლიდანაც ნართი ძაფი და სხვა მასალები ეწოდებათ შინამრეწველებს გამოცდის შემდეგ და სამხატვრო-სახელოსნო, რომელიც მააწოდებს მათ სახეებს: ხალიჩების, არშიების, ჭურჭლეულობისათვის და და სხვა.

მომავალში უკვე მუშაობა გადატანილი იქნება ადგილებზეც, რისთვისაც მოეწყობა სპეციალური შინამრეწველობის პუნქტები რესპუბლიკის 30 რაიონში.

მიწათმოქმედების კომისარიატის შინამრეწველობის განყოფილებამ გახსნა სპეციალური სადგურები: მცხეთაში, გორში და ოზურგეთში; მცხეთაში: საფეიქრო, საკერამიკო სახელოსნოები და მოეწყო შინამრეწველთა არტელი, სადაც მუშაობა კარგათ მიმდინარეობს; ქალაქ გორში ჯერ კიდევ 1924 წელს მოეწყო სამოსწავლო სახელოსნოები ხალიჩების, არშიების და სელის ძაფის დასამზადებლათ, ოზურგეთში კი—აბრეშუმის ქსოვილების სახელოსნო, რომელიც ამზადებს კარგი ხარისხის ქსოვილებს, რაც დიდათ უწყობს ხელს მოსახლეობაში აბრეშუმის და მუშავების განვითარებას; აქაც მოწყობილია არტელები და კოოპერატივები.

შინამრეწველობის განყოფილება აპირებს ასეთივე სახელოსნოების მოწყობას ა. წ. 1-ლ სექტემბრამდე: ქუთაისში, ხონში, სიღნაღში, სოფ. ალვანში (გორის მაზრა) და ახალციხეში.

აღსანიშნავია, რომ მოთხოვნილება ასეთ სახელოსნოებზე სოფლის მხრივ ისეთია, რომ იგინი არ უცდიან ცენტრს და თვით აარსებენ მათ. ასეთ მაგალითს ჰქონდა ადგილი სოფელ დიღომში და სვანეთში, ხოლო სოფელ ალვანში შინა-მრეწველობის განყოფილებამ თავისი ხარჯით მოაწყო ასეთი სახელოსნო.

სახელოსნოების გახსნის მხრივ საქართველო გაყოფილია 30 შინამრეწველობის რაიონათ და მიმდინარე წელს დაარსდება 10 სახელოსნო და შემდეგ 5, თითეულ წელს 5-5. ამ გვარათ ყველა ეს სახელოსნოები საქმეში ჩააბამენ 500.000 შინამრეწველ მუშა ხელს.

ქრონიკა

დიპლომატიური დარბაზობა

გუშინ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შ. ელიავამ მიიღო თბილისში ახლათ დანიშნული იტალიის გენერალური კონსული ბ. ვინჩენცო გალანტი, რომელთანაც მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

მინოდორა ტოროშელიძის განცხადება

მინადორა ტოროშელიძისამ განცხადებით მიმართა ს. ს. ს. რესპუბლიკის მთავრობას, რომ ის ხელს იღებს საქართველოში არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ ყოველგვარ მუშაობაზე, რის გამო საქართველოს საგანგებო კომისიამ ნება დართო მას უკან დაბრუნების.

ნიაღვარი ოზურგეთში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თბილი ამინდების შემდეგ 24 და 25 ივლისს ოზურგეთში მოვიდა კოკისპირული წვიმა. ქალაქის ქუჩები და ახლო-მახლო მიდამოები დაფარულია წყალით. ზარალი გამოურკვეველია.

უჯმაჯურიძე.

— **საძოვრების სივრცე.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატის ცნობით სიღნაღის მაზრაში ამჟამად ითვლება 4428 დესიატინა საძოვარი ადგილი.

— **შრომის სახ. კომისარიატმა** მიმართა თბ. ტრამვაის დირექციას, რომ შტატის შემოკლების დროს ახალგაზრდობა არ დატოვოს შტატს გარეშე.

— **საექიმო პუნქტები.** შრომის სახ. კომისარიატი შეუდგა ჭიათურის მაღაროებთან საექიმო პუნქტების მოწყობის საქმეს.

— **სამრეწველო მილიცია.** შრომის კომისარიატს განზრახვა აქვს გაადიდოს სამრეწველო მილიციის შტატი ჭიათურაში 20 კაცით.

— **კოოპერატიული კარვები.** შრომის დაცვის განყოფილებამ გადასწყვიტა მიიღოს ზომები ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებთან კოოპერატიული კარვების მოსაწყობად.

— **ბინები მუშებისათვის.** შრომის კომისარიატმა წინადადება მისცა შავი-ქვის კერძო მწარმოებლებს მოაწყონ მაღაროებთან მუშებისათვის დროებით საცხოვრებელი ბინები.

— **სამთომადნო პროფკავშირმა** შუამდგომლობა აღძრა სახ. კომისარიატის წინაშე, მიიღოს ზომები რათა სახ. „ჩემო“-მ ჭიათურაში მუშათა საერთო საცხოვრებელი სახლი გადააბაროს სამთომადნო პროფკავშირს.

— **კოოპერატიული ქსელის** გასაფართოებლად ჭიათურის „მუშკოოპ“-ის გამგეობამ გადასწყვიტა კოოპერატიული ბანკიდან აიღოს სესხი.

— **მოსკოვის სავეტერინარო ინსტიტუტში** მიწათმოქ. სახ. კომისარიატი აგზავნის თავის ხარჯზე ოთხ სტუდენტს.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის** გამგეობამ დაადგინა სავეტერინარო ფაკულტეტზე გადარიცხოს ის მსურველი სტუდენტები, რომელთაც მოსმენილი აქვთ საექიმო, აგრონომიული და პედაგოგიურ საბუნებისმეტყველო დარგის 4 სემესტრი.

— **სოციალურ-დაზღვევის ისტორია.** თბ. დამზღვევ კასამ გადასწყვიტა გამოსცეს თბილისში მუშათა სოციალურ დაზღვევის ისტორია.

— **საექსპორტო კომისია.** იმ პირთა ხელ-ახალი გასინჯვა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან საექიმო-საკონტროლო კომისიის დასკვნით, მოხდება დღეს დილის 10 საათზე საექსპერტო კომისიის მიერ დამზღვევ კასის შენობაში.

— **ხის კანის დამუშავება.** სახ. მეურ. უმ. საბჭო შეუდგა სხვადასხვა სამკურნალო ხეების კანის ქიმიურ დამუშავების გეგმის განხილვას.

— **დასამარხი ფული.** ივნისში დამზღვევ კასამ უმუშევართა და მათი ოჯახის გარდაცვლილ წევრთა დასამარხი გაიღო 500 მან.

— **დახმარება უმუშევრებს.** 20 ივლისს უმუშევართა დამზღვევი განყოფილება გასცემს ივლისის თვის ფულად დახმარებას იმ უმუშევრებზე, რომლებსაც აქვთ დასაზღვევი წიგნაკი № 3501-დან 5100-მდე.

— **საავტორო გონორარი და სასამართლოს გადასახადი.** საავტორო გონორარის აღების შესახებ აღძრული საჩივრები განთავისუფლებულია სასამართლოს გადასახადისაგან და ბაჟისაგან.

— **წყალსაზომები** წყალსადენის სამმართველომ მოსკოვში შეიძინა 1800 წყალსაზომი.

— **მოაგარაკეთა. აღრიცხვა.** თბ. აღმასკომმა გამოსცა დადგენილება, რომლის ძალით თბილისის მაზრაში არსებულ აგარაკებზე მყოფნი მოაგარაკენი აღრიცხული უნდა იქნან მილიციის სამმართველოში ადგილობრივ 24 საათის განმავლობაში.

— **რადიო-აპარატების გაყიდვა.** ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები შეუდგენ რადიო-აპარატების კერძო პირებზე გაყიდვას.

— **ახალი დარაბები.** თბ. ქალ. ბანკმა თბ. აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას სესხათ მისცა 200000 მან. ახალი დარაბების ასაგებათ და სომხის ბაზრის გასაფართოებლად.

— **მუშათა მთლიანი კოოპერატივების** სავაჭროები თბ. აღმასკომმა გაანთავისუფლა საღამოს გვიან ვაჭრობისათვის არსებულ გადასახადისაგან.

— **ლოტოს თამაშის აკრძალვა.** თბ. აღმასკომმა წინადადება მისცა საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებას გამოსცეს დადგენილება თბილისის მაზრაში ლოტოს თამაშის აკრძალვის შესახებ.

— **საახალშენო აღმშენებლობისათვის** თბ. ქალ. ბანკმა სხვადასხვა ორგანიზაციებს სესხათ მისცა 200.000 მან.

— **ზაჰესის** მთავარი სადგურის ასაგებათ სწარმოებს სატინობო მუშაობა.

— **წყლის დაქცევის** თავიდან ასაცილებლად წყალსადენის სამმართველომ ლითონის სინდიკატს შეუკვეთა 11,500 ფუთი თუჯის მილების დამზადება.

ახალი წიგნები

— **„მესაქონლეობის ლექსიკონი“.** გამოვიდა ლევან ლეონიძის მიერ შედგენილი „მესაქონლეობის ლექსიკონი“, გამოცემა მიწათმოქ. სახ. კომისარიატისა.

— **„სიფილისი“.** გამოვიდა ექიმ ვანო ჩოხელის წიგნი: „სიფილისი“, საქ. წითელი ჯვარის გამოცემა.

— **„ევროპა“.** გამოვიდა ე. ვ. ტარლეს შრომა: „ევროპა—ვენის კონგრესიდან ვერსალის ზავამდე“. თარგ. არ. ჯაჯანაშვილის, გამოცემა „წერკუმსის“.

იალბუზზე ასვლა

დღეს, 26 ივლისს, ქალ. თბილისიდან მიდის საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების მთასვლა-მგზავრობის განყოფილების ექსპედიცია სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის **გიორგი ნიკოლაძის** ხელმძღვანელობით.

ექსპედიციის მიზანია ავიდეს იალბუზზე და მოიაროს სვანეთი იმ მიზნით, რომ შეისწავლოს ეს კუთხე და მასთან შეკრიბოს სხვადასხვა სახის მეცნიერული მასალა (ბოტანიკა, მინერალოგია და სხვა); ექსპედიციის მეცნიერული მხარის სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით ექსპედიციას თან მიჰყვებიან სპეციალისტები. ექსპედიციის შემადგენლობიდან (20 კაცი) ხუთი ქალია, რომლებიც შარშან ავიდენ მყინვარის მთაზე.

ექსპედიციის მარშრუტი ასეთია: რკინის გზით პიატიგორსკამდე, აქედან კი მდინარე ბაქსანის ხევით სოფელ ურუსბიევში; ურუსბიევიდან კი ექსპედიცია დაიწყებს იალბუზზე ასვლას. იალბუზიდან ჩამოსვლის შემდეგ ექსპედიცია დონგუს-ორუნის გადასავლით გადავა სვანეთში

გზაში ექსპედიციას მოუხდება გადაიდეს ძნელად გადასასვლელ ცანერის გადასავალზე, რის შემდეგაც მიადგება მყინვარ ბეზინგს.

ექსპედიცია გაივლის ბალკარიის მიდამოებით [illegible] მწვერვალისაკენ, აქედან [illegible] გზით [illegible] შავი ზღვის ნაპირებისაკენ.

ექსპედიციას განზრახული აქვს ეს მოგზაურობა შეასრულოს თვე ნახევრის განმავლობაში. ექსპედიციის სასარგებლოთ თბილისის სხვადასხვა ორგანიზაციებმა გადასდეს: განათლების კომისარიატმა—1000 მანეთი, ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ—1200 მან. კომუნალურმა ბანკმა—500 მან. „ჩემო“-მ—800 მანეთი, შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებამ—100 მანეთი, წარმოკავშირმა—100 მანეთი.

ამას გარდა, მედიკამენტებით ვაჭრობის სახელმწიფო სამმართველომ და ცეკავშირმა ექსპედიციას მისცეს საქონელი დაკლებულ ფასებში.

ექსპედიციას თან მიაქვს ყოველგვარი საჭირო მოწყობილობა და იარაღი, რომელიც კი საჭირო იქნება მწვერვალზე ასასვლელათ, როგორც მაგ., სპეციალური ტანისამოსი, კარვები, მეცნიერულ გამოკვლევისათვის საჭირო ინსტრუმენტები და სხვა.

ექსპედიციას თან მიჰყვება კინოოპერატორი.

ხელოვნება

საზაფხულო კლუბი „მებეჭდავი“

ოთხშაბათს, 22 ივლისს, საზაფხულო კლუბ „მებეჭდავში“ დრამატურგ სუნდუკიანცის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო წარმოადგინეს მისი ცნობილი პიესა „პეპო“ სომხურ ენაზე. თითქმის ყველა შემსრულებლები მებეჭდავთა კავშირის წევრები იყვნენ სომხური სექციიდან; რაც შეეხება პიესის შესრულებას, ორიოდე პირის გამოკლებით, პიესა სუსტად იქნა ჩატარებული.

არ შემიძლია არ უსაყვედურო ამხ. ზენობნელს მისი გაჭიანურებული წინასიტყვაობის გამო; ჯერ ერთი უცხო სიტყვების ზედმეტი ხმარება ასე ხშირად არ ვარგა, რაც კლუბებში შეკრებილ მუშებისათვის გაუგებარია.

მეორე კიდევ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიფიცხე და გურული სხაპა-სხუპით ლაპარაკი სუნდუკიანცის ტიპების დასახასიათებლად ბევრისათვის გაუგებარია, მით უმეტეს, როცა ყარაჩოღელთა ცხოვრებას ახასიათებს სტუდიის წარმომადგენელი.

როგორც ხელმძღვანელი, საჭიროა მუშათა კლუბისათვის სტუდიელი, მაგრამ მაყურებელთა დაღალვა ყოვლად დაუშვებელია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მუშ. ს მოსვენება ესაჭიროება დროზე, რომ მან დაღლილობა არ იგრძნოს მეორე დღეს. ამას კი ანგარიშს არ უწევენ კლუბში წარმოდგენების დროს.

22 ივლისს წარმოდგენა ნაშუაღამევს მეორე სათზე გათავდა.

ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს და შემდეგისათვის წარმოდგენები დროზე უნდა იწყებოდეს. სიტყვებიც მოკლედ უნდა ითქვას და დახასიათდეს ის, რა იყო წინად და რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ დღეს მუშათა კლასს კულტურულ სფეროში პროლეტარიატის დიქტატურის დროს.

ინფ. მაყურებელი.

— **ჯორჯიაშვილისათვის ძეგლის ასაგებათ.** ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, 28 ივლისს ამხ. ვაინარის მეთაურობით სალამო-კონცერტი არ. ჯორჯიაშვილის ძეგლის ფონდის სასარგებლოთ. 29 ივლისს იგივე პროგრამა განმეორებულ იქნება განათლების მუშ. კლუბში.

ჩვენი კინო—მრეწველობა

(საუბარი სახ. კინო—მრეწველობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე—ამხ. ამირაღოვთან)

ცნობილია, რომ საქართველოს კინო-მრეწველობას პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის კინო-წარმოებაში. ამას ხელს უწყობს კარგი კადრი კვალიფიციური მუშაკებისა. როგორც ადმინისტრატიულ-სამეურნეო სფეროში, ისე სამხატვრო და ტეხნიკურ სფეროშიც.

დღევანდლამდე გამოშვებულია 12 სურათი, რომლებიც არ სცილდება არა მარტო ამიერ-კავკასიის და რუსეთის, არამედ შორეული მანჯურიის ეკრანსაც.

ამჟამად მზადდება „წითელი ეშმაკუნების“ გაგრძელება; გადაღებულია 70 პროც.; სურათი ნაჩვენები იქნება სექტემბრის პირველ რიცხვებში. მზადდება აგრეთვე „მჭედელი მიქავა“—რეჟისორი ბეკნაზაროვი; გადაღებულია 40—50 პროც. ამ დღეებში 50 კაცისაგან შემდგარი ექსპედიცია მიემგზავრება სამეგრელოში და სვანეთში სურათის დასამთავრებლათ.

მესამე სურათს „ვინ არის დამნაშავე“ სდგამს კინო-რეჟისორი წუწუნავა. ამ დღეებში ექსპედიცია დაბრუნდა გურიიდან, სადაც გადაღებულია სურათის უმეტესი ნაწილი.

მეოთხე სურათი იქნება „შუქურის საიდუმლო“—რეჟისორი ბარსკი; სურათი გადაღებულია აჭარისტანში.

ამ ოთხი სურათიდან ორი გამოშვებული იქნება აგვისტოში და ორი სექტემბერში. განზრახულია აგრეთვე ოთხი ახალი სურათის დადგმა, რომელთაგან „ხაჯი-მურატი“ და „ბელა“ (ლერმონტოვის თხზულებიდან) დადგმული იქნება „მეჟრაბპომრუს“-თან ერთად. მეორე სურათი—„ნამუს“ შირვანზადესი დადგმული იქნება სომხეთის ფოტო-კინო სამმართველოსთან ერთად. მეოთხე სურათი იქნება კახეთის გლეხთა ცხოვრებიდან. ეს პირველი სურათია, რომელშიაც დახასიათებული იქნება ქართველი გლეხობის ყოფა-ცხოვრება.

საქართველოს კინო-მრეწველობაში მეტად მწვავეთ სდგას საკითხი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების შესახებ. მიღებულია ზომები, ერთის მხრივ, კინო-ტეხნიკების (ოპერატორები, მონტაჟისტები, ლაბორანტები და სხვა) კადრის შესაქმნელად, მეორეს მხრივ კი მოლაპარაკება სწარმოებს ზოგიერთ საზღვარგარეთულ კვალიფიციურ მუშაკებთან იმ მიზნით, რომ ისინი მოწვეული იქნენ სამუშაოთ სახელმწიფო კინო-მრეწველობაში.

კერძოთ, მოლაპარაკება სწარმოებს ერთ-ერთ ცნობილ გერმანელ რეჟისორთან რამოდენიმე დიდი ქართული სურათის დასადგმელათ.

ამასთანავე ჩვენთან გადმოსვლას აპირებს ერთ-ერთ გამოჩენილი რუსი კინო-რეჟისორი. ჩვენ განზრახული გვაქვს შემოდგომისათვის საქართველოს კინო-მრეწველობის გარშემო გავაერთიანოთ რამოდენიმე ცნობილი მუშაკი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენი კინო მრეწველობის აღორძინებას და განვითარებას.

რაც შეეხება არტისტიულ ძალებს, უნდა ითქვას, რომ, საბედნიეროთ, საქართველოში ისინი მრავლათ მოიპოვებიან. რამდენიმე ქართველმა კინო-არტისტმა, მიუხედავათ მცირე სტაჟისა, უკვე დიდი სახელი მოიხვეჭა.

ჩვენი სურათების ექსპორტი უმთავრესათ ხდება რუსეთში, რომელიც ჩვენი მრეწველობას ძირითადი მატერიალური ბაზაა. ამას გარდა ჩვენი სურათები იგზავნება თურქესტანში და ჩრდილოეთ სპარსეთში.

სახელმწიფო კინო-მრეწველობის მუშაობა სურათების გაქირავების დარგში არ განისაზღვრება მარტო საბჭოთა კავშირის ტერიტორიით. დასავლეთ ევროპაში ყოფნის დროს საქართველოს კინო-მრეწველობის დირექტორმა გოგიტიძემ ხელშეკრულება დასდო საფრანგეთის ერთ-ერთ უძლიერეს ფინანსიურ ჯგუფთან ჩვენი სურათების გაქირავების შესახებ ევროპაში და ამერიკაში.

ეს ჯგუფი ვალდებულია მიაწოდოს სახელმწიფო კინო-მრეწველობას ავანსები საქონლით და ფულით 150.000 მანეთამდე. ხელშეკრულება უკვე დამტკიცებულია ამხ. კრასინის მიერ და ზოგიერთი სხვა დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ დაიწყება ჩვენი სურათების ჩვენება ევროპის და ამერიკის ქალაქებში.

პირველ ხანებში ნაჩვენები იქნება „სურამის ციხე“, „მოძღვარი“ „ყაჩაღი არსენა“ „წითელი ეშმაკუნები“ „მამის მკვლელი“, „დაკარგული საუნჯე“, „სამი სიცოცხლე“ და „ტარიელ მკლავაძე“.

ეს სურათები უკვე გაგზავნილია პარიჟში. ამასთანავე სახელმწიფო კინო-მრეწველობა ბაზარს ეძებს თავისი სურათებისათვის იაპონიაში და ჩინეთში. ამჟამად მანჯურიაში დიდის წარმატებით აჩვენებენ „სურამის ციხეს“ და „წითელ ეშმაკუნებს“. ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ჩვენს საბჭოთა წარმომადგენლობებთან ჩინეთში და იაპონიაში იმ მიზნით, რომ იქ შექმნილი იქნეს ბაზა ჩვენი სურათების გაქირავებისათვის. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ ჩვენ განზრახული გვაქვს გავგზავნოთ იქ ჩვენი მუშაკები, რომლებიც კარგათ იცნობენ იქაურ ბაზარს.

ჩვენ აგრეთვე მოლაპარაკებას ვაწარმოებთ კერძო გამქირავებლებთან ჩვენი სურათების ექსპლოატაციის შესახებ ოსმალეთში.

საქართველოს კინო-მრეწველობა შეიქმნა მეტად მძიმე პირობებში, არ იყო მტკიცე მატერიალური ბაზა. მისი ხელმძღვანელები ენერგიის უდიდეს ნაწილს ანდომებდენ რესურსების გამონახვას, რომ შეენარჩუნებიათ უკვე არსებული აპარატი და დაეკმაყოფილებინათ მიმდინარე ხარჯები.

ამჟამად მისი მდგომარეობა განმტკიცდა, რასაც ხელი შეუწყო საკუთარი თანხების ზრდამ და მთავრობის ფართო დახმარებამ. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ კინო-მრეწველობის საბრუნავი თანხების გასადიდებლათ გადასდო 200.000 მან. რომელთაგან ნახევარზე მეტი უკვე მიღებულია.

ამ მტკიცე საფუძველზე საქართველოს კინო-მრეწველობა ფართოდ განვითარდება და განდევნის საბჭოთა ბაზრიდან უცხოეთის ფილმებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფართო მასებს თავისი შინაარსით.

შ—ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

ძლიერ ჩინელ მუშებს

ახალ კალაპოტს ეძებს ცხოვრება.
აღმოსავლეთი გრგვინავს და ჰქუხს,
სისხლში დასცურავს ძველი ქვეყანა,
დაჭრილ მხეცივით ის შფოთავს, სწუხს.

* * *

იქ, სადაც ედგა მონობას ტახტ
ოთხას მილიონ ჩინელებს ფლობდა;
ბნელში ახრჩობდა ტანჯულ ქვეყანას,
უსამართლობა სიმართლეს გმობდა,

* * *

იქაც შეიჭრა სიმართლის სხივი,
დიდი ჩინეთი წამოდგა ფეხზე
და მის ყიჟინი რისხვას გვრის მტარვალს,
გამოდგა მძლავრი ცეცხლსა და მეხზე.

* * *

და თუ ჯერ კიდევ დასცურავს ცაზე
განწირულ ჟამთა შავი ღრუბლები,
ფაშიზმის ჭაობს აუდის შმორი,
ველარ ძღებიან სისხლით წურბლები,

* * *

ეს ნიშანია მათ აღსასრულის,
თავისუფლება გრგვინავს და ჰქუხს.
ბებერ სამყაროს განკითხვა დგება,
დაჭრილ მხეცივით შფოთავს და სწუხს.

მუშა ვ. ბალიაშვილი.

ასოთ-ამწყობ ჯუვარიანის ხსოვნას.

21 ივლისს თფილისში მძიმე და დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სომხური გაზეთ „მარტაკოჩი“-ს ასოთ-ამწყობი არუთინ ჯუვარიანი, რომელმაც ამიერ-კავკასიის სტამბებში დაჰყო 37 წელი მეტად მძიმე და აუტანელ სამუშაოზე ასოთ-ამწყობად.

ამხ. ჯუვარიანი ყველასათვის საყვარელი და პატიოსანი მუშაკი იყო; მას ამ პატივისცემის ნიშნად მეტი სახელიც კი უწოდეს—„ძმაოჯან“. ამ სახელით მას მთელი თფილისის სტამბის მუშები იცნობდენ, დღეს მბეჭდავთა კავშირის წევრები მიწას აბარებენ უდროოდ დაკარგულ ამხანაგ ჯუვარიანს.

მას დარჩა ცოლი და ხუთი შვილი, რომლების ერთად-ერთი მარჩენალი ის იყო...

ძნელია სტამბის ასოთ-ამწყობი პროლეტარისათვის მუშაობა, ვინაიდან თითქმის მეტი წილი ასოთ-ამწყობთა დასნეულებული არიან ეგრედ-წოდებული „ტყვიის მტვერით“, რაც იწვევს დაბოლოს ტუბერკულიოზის განვითარებას.

აი ამ სენმა იმსხვერპლა ამხანაგი ჯუვარიანიც.

მშვიდობით, ამხანაგო! შენი ხსოვნა ჩვენში სამუდამოთ დარჩება.

ასოთ-ამწყობი უ. ჯაში.

გამოასწორეთ ეს ნაკლი
(რკ. გზ. „ზაკტპოს“ საყურადღებოდ).

წითელ სასადილოში ვაგზლის ქუჩაზე სადილობის დროს აუარებელი მუშა-მოსამსახურე იყრის თავს. თითქმის ყველა მაგიდები დაკავებულია შიგნით და გარეთ. მოსადილეთ, რომელნიც ითხოვენ საჭმელს, თითქმის 15—20 წუთი უხდებათ ცდა, სანამ მიუტანდენ მათ პირველს, ხოლო მის გათავების შემდგომ მეორე კერძის ცდას იმდენ ხანსვე უხდებათ. ბრუც ფულის მისაღებად მოდიან დროზე სადილს გაათავების შემდეგ, (თითქმის 10 წუთი ელოდები ფულის აღებას) ასე რომ ყოველი მომსვლელი მოსადილე ჰკარგავს საათზე მეტს, რაც დაუშვებელია.

ამ გარემოებას უნდა მიაქციოს „ზაკტპოს“ გამგეობამ ყურადღება რათა სადილი თავის დროზე იქნეს ხოლმე მიტანილი და ფულიც დროზე მიღებული.

მუშკორი ტაბაკინელი.

ბალკის ავარები
(მილიციის საყურადღებოდ).

ამ ბოლო დროს არტილერიის ბალკაში გაჩნდნენ ავარები,—მოზრდილი ბიჭები, საეჭვო ყოფა-ქცევის მოზარდი ქალები და მათთან ერთად პატარა ბავშვებიც. ყველა ისინი საღამოობით მალაიანცის სახლთან იყრიან თავს და შუაღამემდე ისმის მათი ღრიანცელი, ყვირილ-წივილი, უწნეო სიმღერა და ლანძღვა-გინება. წარსულ შუა კვირაში ამ ავარებს გამვლელმა დედაკაცმა შენიშნა კარგი არ არის, რომ იგინებითო.

ამაზე ამ დედაკაცს სიცილი დააყარეს და გინებით გიაგდეს.

საჭიროა მილიციამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და მოგვაშოროს თავიდან ეს გათახსირებული „ხულიგან“-ავარები.

მუშკორთაგანი.

ექსპლოატაციაა ეს თუ გოროტება?
(შრომის პროკურატურის საყურადღებოდ).

ა.-კ. რკ. გზ. მთავ. სამასალო საწყობის მუშები გადავიდენ ნარდ სამუშაოზე 1924 წ. 1-ლ ნოემბრიდან. მუშების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ვინაიდან მანამდე ჯამაგირს ღებულობდენ მე-5 ხარისხით—22 მანეთის რაოდენობით. შემდეგ სამუშაოს ახალი წესის შემოღებისა კი მუშების ეკონომიური პირობები გაუმჯობესდა. მაგრამ ა. წ. იანვრის თვეში მუშებს ნარდ ნამუშევარში უჩვენეს მხოლოდ 40 კაპ. აქ აშკარა იყო ნამუშევრის დაფარვა, ამაზედ მუშებმა თავიანთ რიგებიდან გამოყვეს გამომრკვევი კომისია, რომელმაც აღმოაჩინა 40 კაპ. ნაცვლად 7 მან. თითეულ მუშაზე. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ივნისშიც.

ამას გარდა, აქ, საწყობში, მუშებს სისტემატიურათ უხდებათ ჯამაგირების აღება სამუშაო დღის ბოლოს და ისიც უსწორმასწორად (მეტნაკლებად), ერგებათ კი თანასწორათ.

აქ არ იკიდება ტაბელი თავის დროზე. არის შემთხვევა, რომ არ სდგება ჯამაგირის სიები სწორად, რაც ჯამაგირის დროზე აღებას ხელს უშლის.

მუშებს არა აქვთ სამხრეული, პირსაფარი და სხვა საჭირო იარაღი, რომ მუშამ მეტი ნაყოფი მოუტანოს წარმოობას. ამაზე არავის შეუწუხებია თავი, გარდა დაპირებებისა.

მუშები თავგანწირულად მუშაობენ, ოფლს ღვრიან, რათა წარმოება აიწიოს და შრომის ხელფასიც უხაკლოდ მიიღონ. მაგრამ მათი სინდისიერი მუშაობა არ ფასდება, ამიტომ მუშები სურვილს გამოსთქვამენ, რათა წარსულ წლის ნოემბრის თვიდან დღემდე მოხდეს ნამუშევრის გადათვალიერება, მოანგარიშეების საშვალებით, და დამნაშავეთ მოეთხოვოს პასუხი, ვინაიდან ასეთი მოქმედება მუშებში ძალიან ცუდ ატმოსფერას ჰქმნის.

მუშკორი დონჯანი.

პასუხად ამხ. გურაშვილს.
(იხ. „კომუნისტი“ № 166).

ჩვენ, მუშა-მოსამსახურენი თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოთა ინსტიტუტისა, ამით ვაცხადებთ, რომ შენიშვნაში წამოყენებული ბრალდება არ შეეფერება სინამდვილეს. ამხ. გ. სეფერთელაძის დღიდან მოსვლისა აღნიშნულ ინსტიტუტში (სადაც მართლაც არ ვიყავით კმაყოფილნი მუშა-მოსამსახურენი ძველი ადმინისტრაციის დროს და აგრეთვე საქმეც იყო არეულ-დარეული) პირიქით გამოსწორდა და თანდათანობით საქმეს და დაწესებულებას ეტყობა გაუმჯობესება და გაჯანსაღება. ამიტომ ამხ. გურაშვილის განცხადება არ არის საფუძვლიანი.

ხელს აწერს 18 კაცი.

სკოლებზე ზრუნვა ასეთი უნდა

მე-40 შრომის სკოლის გამგე ს. წერეთელი დიდ მუყაითობას იჩენს სკოლისადმი. ამ სიცხე-პაპანაქებაში ის ეწევა ენერგიულ მუშაობას სკოლის შენობის გასაფართოებლად, ვინაიდან ეს შენობა ძალზე პატარაა. ამხ. წერეთელი როგორც დაინტერესებული სკოლის სვებედით, სრულიად უსასყიდლოდ ხელმძღვანელობს ამ დიდ მუშაობას. მისი შრომა მისაბაძია.

მუშკორი ლომისეული.

სახლი თავზე გვენგრევა
(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

მე-4-სამილ. უბ. ბრძანების ქუჩ. № 7 და ბრძანების ჩიხ. № 12-ზე მდებარე სახლი ეკუთვნის გრიგორ შაროევს. პირველ სახლს მცირე რემონტი ესაჭიროება, ხოლო მეორე სახლს სამი ოთახი ექცევა: კედლები დახეთქილია, წვიმა ჩამოდის და სხვა. ამავე დროს მოქ. შაროევი თვიურად ღებულობს დაახლოებით 150 მანეთს, გარდა ამისა მას აქვს საკუთარი ბაღ-ბოსტანი და სახლის შეკეთებაზე კი უარს ამბობს.

აღმასკომო, მიიღე ზომები სახლის პატრონის ჭკუაზე მოსაყვანად.

მუშკორი პ. იაძე.

გამოგზავნილი წერილებიდან
მოგვეცით სწავლის საშუალება

1-ლი საღამოს ტეხნიკუმის შენახვაზე სახ. განათლ. კომისარიატი უარს აცხადებს, მას კი თვით არსებობა არ შეუძლიან.

საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და მიეცეს ამ ტეხნიკუმს არსებობის საშუალება.

ს. მაჩაიძე.

უბინაოდ დაგვყარა გარედ სახლის პატრონმა
(აღმასკომის საყურადღებოდ)

მე ვცხოვრებდი ყაზბეგის ქ. № 15 სახლში, ეს სახლი ქუჩის გაფართოების გამო აღმასკომს განზრახვა ჰქონდა დაენგრია, რისთვისაც იგი მპირდებოდა სხვა ბინის მოცემას. სახლის პატრონმა გრიგორიანცმა არ მოუცადა აღმასკომს და თვით დაანგრია სწორედ ის ნაწილი, რომელშიაც მე ვცხოვრობდი; მან ნივთები ქუჩაში გამომიყარა და 22 ივლისის აქეთ უბინაოდ ვიმყოფები, განვიცდი საშინელ მდგომარეობას ჩემი პატარა ბავშვით. მივმართავ აღმასკომს აღმოჩინოს დანაპირები ბინა და გადაარჩინოს ჩემი ოჯახი განადგურებას.

კამოს სახ. საავადმყოფოს მომვლელი ქალი—ბერიაშიძე.

ქართული მხატვრობის რენესანსი
(მხატვრ. თოიძის სურათების გამოფენის გამო)

რომ ქართულ მხატვრობას ოდესღაც თავისი ბრწყინვალე ხანა ჰქონია, ამას გვიმტკიცებს ჩვენ დრომდე მოსული საუცხოვო მხატვრობა, განსაცვიფრებელი ფრესკები, მინიატიურები, რომელთაც დღესაც აღტაცებაში მოჰყავთ სპეციალისტები. დროთა ვითარების გამო საქართველოს დიდი კულტურა შეჩერდა, მხატვრობამაც თავისი კრიზისი განიცადა. მაგრამ კრიზისმა განვლო, კულტურული შემოქმედება აღორძინების გზაზე შედგა, ჩვენ მხატვრობასაც აშკარად ეტყობა, რომ საქართველოში ხელოვნების ძლიერი რენესანსი იწყება.

ამის ერთ-ერთი სიმპტომი ირ. თოიძის სურათების გამოფენაა. ნაწარმოების გამოფენა ძნელი საქმეა. ეს შემოქმედის საჯარო გამოცდაა. საქმე უფრო რთულდება, როდესაც გამოფენას ერთი ავტორი უძღვება. ჩვენც ამ მოვლენასთან გვაქვს საქმე. გამოფენაში წარმოდგენილია მხოლოდ მხატვარი ირაკლი თოიძე.

პირველ შესვლისთანავე თვალსა გჭრით სურათების სიუჟეტების სხვადასხვაობა. არის პორტრეტები, არის პეიზაჟები. სჩანს მხატვარს ერთი დარგიც ეხერხება, მეორეც. ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს დიდი სურათი „რევოლიუცია“. სურათი გვიმტკიცებს, რომ ნიჭთან გვაქვს საქმე. აქ ფერების ნაზი შეხამების გარდა, სწორი პერსპექტივის გაშლის გარდა, ყურადღების მისაქცევია ტილოზე საღებავებით გადატანილი ადამიანის რთული ფსიქოლოგია.

მასის ფსიქოლოგიის გადმოცემას დიდი ფსიქოლოგებიც ძნელად ახერხებენ. მწერლობაში მხოლოდ ლ. ტოლსტოიმ შესძლო მასის ფსიქოლოგიის სწორი გადმოცემა და მასში ცალ-ცალკე პიროვნების განცდა. მხატვრობაში ამის მიღწევა დიდ ნიჭს შეუძლია. უცქერით ამ სურათს და გაკვირვებთ აჯახუებული ხალხის ფსიქოლოგიის ასე ლამაზად საღებავებში მოქცევა. მაგრამ სურათის სიდიადე სხვა არის—აუარებელ ბრბოში ყოველი ტიპი ცოცხალია. ყოველი სახე გაგრძნობინებთ თავის განცდას, თავის სულის მღელვარებას, თავის ფიქრებსა და გრძნობებს. ერთი სიტყვით, ამ სურათით აშკარად ჩანს, რომ მხატვარს დიდი ნიჭით შესძლებია ადამიანის სულისა და გონების მოძრაობის ყოველგვარ ნიუანსების გადმოცემა. სურათის შინაარსის გადმოცემა სიტყვებით წარმოუდგენელია. ადამიანმა თავის თვალით უნდა ნახოს, რომ გაიცადოს მისი სიდიადე, დატკბეს მისი სიმშვენიერით. სურათი ღირსეულად დაამშვენებს სახელგანთქმულ მუზეუმებსაც კი.

ფსიქოლოგიური ტიპის სურათია პორტრეტი—„გაჭირვება“ რესტორნის [illegible] ახალგაზრდა ქალის ჯამაგირის მიღების მომენტი არის დახატული ტილოზე. ადამიანის თავში ელვასებრ რომ გაივლის ხოლმე მთელი ქარიშხალი ფიქრებისა, აი ეს ფსიქოლოგია არის გადმოცემული ფერებით. სურათი თავის შინაარსით გრანდიოზულია, რეალობას ერთი ნაბიჯითაც გადაუცდენელია, იგი მრისხანეც არის და ლამაზიც.

სამაგიეროდ ნაზი და მშვიდია ორი პორტრეტი: 1) „მხატვარის და“ და „თ. ც.“ ამ სურათებში მხატვარს განუცდია ქართული სილამაზე და ლამაზადვე ტილოზე გადმოუტანია თავისი განცდა.

პორტრეტები: „ვასილ ბარნოვი“ და „დიმ. არაყიშვილი“ გვიჩვენებენ, თუ რამდენად ეხერხება მხატვარს შემოქმედებაში რეალიზმი.

როგორც პორტრეტისტი, მხატვარი უეჭველად ნიჭიერია.

პეიზაჟების მთელი სერია წარმოდგენილია გამოფენაზე. საუცხოვოა აქ რაჭის სურათები: „კალოობა“, „ყანის მკა“, „სახლის ეზო“, „აქაფებული რიონი“, „მამისონის გადასავალი“ და სხვ. აქ რეალიზმი ვირტუოზობამდე აღწევს.

სურათ-სახეებში მეტ ყურადღებას იპყრობს ამხ. ფილიპე მახარაძის სახლი თავისი ეზო-ყურით. დიდი კაკლის ხით დაჩრდილული მწვანე ეზო და, როგორც კონტრასტი, ერთის მხრივ ძველი სახლი „სამზადისი“, მეორეს მხრივ გურული ლამაზი ოდა თვით პატრონსაც კი განცვიფრებაში მოიყვანს სწორი ფერადებით გადმოღებული გაზაფხულის სიმშვენიერე.

ესკიზებში ფანტაზია სჭარბობს. ამ მხრივ ყურადღება მისაქცევია სურათი „შემოქმედება—რევოლიუცია“. საერთოდ ეტყობა მხატვარს რევოლიუციონური სტიქია საკმაოდ ახასიათებს.

მხატვრული ფანტაზია კარგად არის მოცემული პიესა „სინათლის“ დეკორაციების და კოსტიუმების ესკიზებში, აგრეთვე ონის და ოზურგეთის თეატრების ფარდების ესკიზებში.

საერთოდ გამოფენა დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. აშკარაა, დასაწყისი ახალგაზრდა მხატვრის ნიჭიერია. მაგრამ როგორც ყოველ ქართველ ხელოვანს—პოეტს, მოქანდაკეს, არტისტს, მხატვარს გემოვნების განვითარება და ცოდნით აღჭურვა სჭირდება, ასევე უნდა ითქვას გამოფენის ავტორზე.

[illegible] ნიჭი უნდა აღიზარდოს კლასიკურ მხატვრობის ნიმუშებზე, მსოფლიო მხატვართა შემოქმედებაზე და მაშინ მარტო დიდ ნიჭთან კი არ გვექნება საქმე, არამედ დიდ ერუდიციის და გემოვნების მქონე შემოქმედთანაც.

თედო ზეგიაშვილი.

ქართული მუშფაკის ექსკურსია რუსეთში

ქართული მუშფაკის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა მიზნათ დაისახეს 1925 სამოსწავლო წლის დამთავრების შემდეგ ექსკურსიის მოწყობა რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში.

ამ მიზნის განსახორციელებლათ სპეციალურმა კომისიამ დახმარებისათვის მიმართა განათლების კომისარიატს, რომელმაც ამ საქმისათვის გაიღო განსაზღვრული თანხა.

ა | წ. 24 ივნისს ექსკურსანტები გაემგზავრენ რუსეთისაკენ. პირველათ მათ მოუხდათ ბაქოს და მისი მიდამოების დათვალიერება. 27 ივნისს ექსკურსია ჩავიდა როსტოვში, სადაც დაათვალიერა ქალაქი, აზოვის სანაპიროები და ერთი დიდი წისქვილი, სადაც დღეში იფქვება 20.000 ფუთი ხორბალი.

როსტოვიდან დელეგაცია გაემგზავრა ხარკოვში. აქ ექსკურსანტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თვით ქალაქმა, სადგურმა და ზოოლოგიურმა მუზეუმმა, სადაც მრავალი სხვადასხვა ქვეყნის ჯიშიანი ცხოველია. 29 ივნისს ექსკურსანტები ჩავიდნენ მოსკოვში, სადაც დარჩნენ 6 დღე მოსკოვში ექსკურსიამ დაათვალიერა რევოლიუციონური მუზეუმი, კრემლი, ტრეტიაკოვის გალერია, ლენინის საფლავი, ისტორიული მუზეუმი, სახალხო ბიბლიოთეკა, საფეიქრო ფაბრიკა და სხვა.

მოსკოვიდან ექსკურსია გაემგზავრა ლენინგრადში, აქედან კი ოდესაში, სადაც დაათვალიერა კინოფაბრიკა, რადიო-ტელეგრაფი, გემების საამშენებლო სახელოსნოები და სხვა მრავალი დაწესებულებანი.

15 ივლისს ექსკურსია გემ „ილიჩით“ გაემგზავრა ბათომისაკენ. გზაში ექსკურსანტებმა დაათვალიერეს სანავთსადგურო ქალაქები: სევასტოპოლი, იალტა, ნოვოროსიისკი, სოხუმი და ფოთი. აქედან კი ექსკურსია ჩამოვიდა თბილისში.

საერთოდ, ექსკურსიამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ მუშებზე, რომლებიც ერთი ხელით ეკონომიურ ღირებულებას ჰქმნიან, მეორე ხელში კი უჭირავთ მეცნიერების ლამპარი და კულტურის ფრონტზე იბრძვიან.

ეს იყო ქართველი მუშების პირველი ფართო ექსკურსია საბჭოთა კავშირის სამრეწველო ქალაქებში. მართალია მას მრავალი დეფექტები ჰქონდა, მაგრამ მომავალი ექსკურსია ისარგებლებს პირველი მოგზაურობის გამოცდილებით და უკეთესათ ჩაატარებს ქართველი მუშების მიერ მეზობელი რესპუბლიკების ქალაქების გაცნობას.

საბჭოთა სასამართლო
ცოლის მკვლელობისათვის

აღმოს. საქართ. ოლქის სასამართლოში, ამხ. ლაფანაშვილის თავმჯდომარეობით გაირჩა ბრალდებულ ვ. ახალკაციშვილის და ადამაშვილის საქმე. მათ ბრალი ედება დანაშაულში, რომელსაც ითვალისწინებს სისხლ. სამართ. კოდექსის 16 და 146 მუხლები. (მკვლელობა წინასწარ განზრახვით).

ბრალდებული ახალკაციშვილი. 1924 წლიდან თბილისში ცხოვრობდა და შეშის ხერხვით ირჩენდა თავს. აქ, მან შეირთო ვინმე შურა გოგოევი. პირველხანებში მათ შორის კარგი დამოკიდებულება იყო, შემდეგ კი უთანხმოება ჩამოვარდა.

ბრალდებული ახალკაციშვილი სთხოვდა თავის ცოლს, რომ უცხო მამაკაცებში სიარული მიეტოვებინა. უკანასკნელი თავისას მაინც არ იშლიდა და ბოლოს სავსებით გაშორდა ქმარს.

1925 წლის 23 აპრილს, ბრალდებული ახალკაციშვილი ქუჩაზე სეირნობის დროს შეხვდა ცოლს. უკანასკნელს სალამი მისცა, მაგრამ როცა მისგან პასუხათ დაცინვა მიიღო, უკან გამობრუნდა, იშოვა დაჟანგებული ხანჯალი და იმ განზრახვით, რომ მოეკლა თავისი ცოლი, სამჯერ ჩაჰკრა თავში.

მიღებულ ჭრილობისაგან ქალი მაშინვე გარდაიცვალა. ბრალდებული ახალკაციშვილი კი შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს.

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულად სცნო და წინასწარ დაპატიმრების ჩათვლით მიუსაჯა 9 თვით გამასახლში მოთავსება სასტიკი იზოლიაციით.

ბრალდებულ ადამიშვილის მიმართ წაყენებული ბრალდება, რაც გამოიხატებოდა ბრალდებულ ახალკაციშვილის წაქეზებაში, რომ ცოლი მოეკლა—სასამართლომ დაუმტკიცებლად სცნო და სამსჯელისაგან სავსებით გაანთავისუფლა.

შემთხვევები

— **უბედური შემთხვევა** 24 ივლისს საღამოს ციციშვილის აღმართზე ტრამვაის ენერგიის მავთულის შეკეთების დროს, საგრძნობლად დაშავდა ელექტროტეხნიკი გლახგოევი.

— **ქურდობა** 24 ივლისს ღამით ჩერქეზიშვილის ქ. № 59 გაქურდეს ს. კავალოვის ბინა.

— ამავე დღეს ელისაბედის ქ. № 81 გაქურდეს მ. გოგეშვილის ბინა, წაიღეს სხვადასხვა ნივთები 1000 მან.

— **შეპყრობა.** 21 ივლისს, ღამით შეიპყრეს მე-11 სამილიციო რაიონში ა. ბერიაშვილი ნაქურდალი ნივთებით.

— **აფიორა.** 24 ივლისს, საღამოს წყალის აღმართის ქ. № 3 მცხოვ. ნინა სიმონიანმა მილიციაში განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინედ მან უცნობ პირს კარაკლისში თავის ქალიშვილისათვის გაატანა 500 მან. ნივთები, მაგრამ უცნობი მიმალულა ნივთებიანად.

— **მკვლელობა** 24 ივლისს, ვაზიანსა და იორს შორის სადარაჯოზე მდგომ წითელარმიელმა აკოპიანმა რამდენიმე გაფრთხილების შემდეგ ვინტოვკის ტყვიით მოჰკლა გლეხი ნიკოლოზ [illegible]. წითელარმიელი შეიპყრეს.

წერილები პროვინციიდან

აბრეშუმის პარკის მოსავალი შორაპნის მაზრაში

შორაპნის მაზრაში აბრეშუმის პარკის მოწევის სეზონი უკვე დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. მთელ შორაპნის მაზრაში ერთი ფარდული იყო ქ. ზესტაფონში, სადაც წელს შეისყიდეს დაახლოებით ათასი ფუთი პარკი, ე. ი. შარშანდელთან შედარებით თითქმის ნახევარი. რით უნდა ავხსნათ ეს?

მოსავალი წელს, თუ კი ვინმეს ჰყავდა ჭიები, საუცხოვო იყო. ჩვენი გლეხების ოჯახებს შრომა არ ეზარებათ, რომ ეს სიზარმაცით აიხსნას. მიზეზია მხოლოთ გასული ანგარიშების თავისი დროზე გაუსწორებლობა პარკის პატრონებთან. და მართლაც, 15 და ხშირად ოცი ვერსის სიშორიდან ურმით მოსული ქალი მთელი საათობით რიგში სდგას, როგორლაც იქნება პარკს მიაღებიებს და შემდეგ მას ეუბნებიან „ქვითარი მიირთვი და როცა ფული იქნება, ჩვენ დაგიბარებთო“. ბრუნდება საბრალო შინ ხელცარიელი.

ასეთ სურათის შემდეგ ცხადია, საკვირველი არაა, თუ ხალხს გული აუცრუვდა და ეს მნიშვნელოვანი დარგი ჩვენი მეურნეობისა წელს შეფერხდა. მაგრამ წრევანდელმა წესმა პარკის შესყიდვისამ ისე ალაფრთოვანა ხალხი, რომ თუ გასულ წელს ამ მაზრაში რამდენიმე ასეული ფუთით მეტი იყო პარკი, მომავალში, მფიქრობ, ორჯერ-სამჯერ ავინაზღაურებთ ამ დანაკლისს.

ორსოფლელი.

პრიუტის თემი (თბილისის მაზრა)

ბევრჯერ დაბეჭდილა ჩვენი პრესის ფურცლებზე კორესპონდენციები პრიუტის გლეხობის კულტურულად ჩამორჩენილობის შესახებ.

მიზეზი კი გლეხობის ამ კულტურულ ჩამორჩენილობისა უმთავრესად უნდა ვეძიოთ ობიექტურ პირობებში. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა? ადგილობრივი მიწები ძლიერ მწირი და უვარგისია მოსავლისათვის, არც საბალახო ადგილებია კარგი, რომ გლეხმა მესაქონლეობა განავითაროს როგორც წესი და რიგია.

ასეთ პირობებში პრიუტის გლეხობას ის-ღა დარჩენია, რომ ქალაქში იაროს და წვრილ ვაჭრობას მოჰკიდოს ხელი, ან ნახშირი და შეშა გაჰყიდოს, რომ ორიოდე გროში იშოვოს ლუკმა პურისათვის. ეს კი ძალიან ხელს უშლის გლეხებს, რომ მან სწავლა-განათლებისათვის იზრუნოს.

ჩვენი შეფი, თბილისის ცეცხლისმქრობელი რაზმი, ამდენ ხანს დიდ დახმარებას უწევდა პრიუტის გლეხობას; ის მოდიოდა სოფლად თვეში ორ-სამჯერ, მოჰქონდა ლიტერატურა, მართავდა მრავალრიცხოვან კრებებს, აცნობდა გლეხობას პოლიტიკურ მდგომარეობას და სხვ.

მაგრამ, სამწუხაროდ, აგერ თითქმის სამი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც შეფი არ სწვევია ჩვენს სოფელს, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია გლეხებში.

ძალიან სასურველი იქნებოდა შეფი განაახლებდეს ძველებურათ თავის მუშაობას, რასაც მათი მოვალეობაც მოითხოვს.

იაკობ ღლონტი.

მადლობა, მაგრამ საყვედურიც
(ძველი სენაკი, სენაკის მაზრა)

ზემოაღნიშნული სოფელი ქ. ახალსენაკიდან 7 ვერსის მანძილით არის დაშორებული.

აქ თითქმის ყველა დაწესებულებებში მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია და მისაბაძიც არის ისეთი მუშაობა, როგორიც ამ სოფლის სამკითხველოშია. აქ მადლობის ღირსია, სხვათა შორის, ბიბლიოთეკის გამგეობის თ-რე ე. ჯიქია. ვერ დავფარავთ ვერც ბიბლიოთეკარ ქალის ა. კუჭავას ერთგულ და დაუღალავ მუშაობას, რომელიც, თუმცა ფიზიკურად ავადმყოფია, მაგრამ თითქმის ყოველდღე მოუწყენლად და დაუზარებლად აიღებს გაზ. თ-ჟურნალებს, ჩაუჯდება მუშებს, გლეხებს, ქალებს და უკითხავს მათ.

მხოლოდ ერთ სამწუხარო მოვლენას უნდა მივაქციოთ აქ განსაკუთრებული ყურადღება. ეს ის არის, რომ აქ სრულებით ყურსაც არ იბერტყენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ მუშაობაზე, როგორიც არის წარმოდგენები.

თეატრის გამგეობამ და აღმასკომმა, როგორც იყო, გაზაფხულში შეაკეთებინეს კლუბში სცენა, სკამები და სხვა მაგრამ რათ გვინდა კლუბი, რად გვინდა სცენა, როდესაც დრამატიული დასი არ არის დაარსებული.

მართალია, არის ხელმძღვანელი. მოიპოვებიან ახალგაზრდა ძალებიც, რომლებსაც სურთ ეს საქმე მოაგვარონ, სურთ ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღონ, მაგრამ ისინი ათასგვარ დამცირებით, შეურაცხყოფით და ხელშეუწყობლობით გულგატეხილი შორიდან იყურებიან და სდუმან.

ამაში უთუოდ დიდი დანაშაულობა მიუძღვის განათლების ფრონტზე მომუშავე ზოგიერთ ინტელიგენტსაც. ამ პირებისაგან ხშირად გაიგონებთ: „არ მწამს თეატრი, არტისტები; რაა ისინი?—მით უმეტეს, ეხლანდელი თეატრი და არტისტები სულ სამასხროა“-ო, „უწინ ვის გაბედავდა სცენაზე ცუდ თამაშს, პასის კარგად შეუსრულებლობას?“ და სხვა.

ასეთ კონსერვატიულ აზრით არიან გამსჭვალული ჩვენი თეატრის „მეგობრები“.

რა უყოთ, რომ ძველ-სენაკის დრამატიული დასისათვის საჭირო ძალები თავისი ხარისხით არ უდრიდეს ტფილისის აკადემიურ დრამის ძალებს და მის მუშაობას?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლო მომავალში, ყოველ მიზეზის გარეშე, საჭიროა დაარსებულ და ჩამოყალიბებულ იქნეს ადგილობრივი დრამატიული დასი, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში შესძლებს დააკმაყოფილოს სოფლის გლეხკაცობის კულტურული მოთხოვნილება.

ზნაჟევი.

წერილებიდან

წყალტუბოს თემი (ქუთაისის მაზრა). ეს თემი აერთიანებს რამოდენიმე სოფელს, რომლებიც დიდ გაჭირვებას განიცდიან ნივთიერად. აქ იშვიათად შეხვდებით ისეთ გლეხს, რომელსაც მთელი წლის სარჩო მოსდიოდეს. სწორედ ამ ნიადაგზე ადგილობრივი გლეხკაცობა იძულებული ხდება გაჰყიდოს მარჩენალი საქონელიც კი და ქუთაისიდან, რომელიც დაშორებულია 10—15 ვერსით, მოზიდოს პირველი მოთხოვნილების საგნები. აღნიშნულ თემში საშინელი მიწის ნაკლულოვანებაა და ნიადაგიც მწირი. ადგილობრივი აღმასკომი ყოველგვარ ღონისძიებებს ხმარობს, რომ დააკმაყოფილოს გაჭირვებული გლეხობა, მაგრამ რა ქნას აღმასკომმა, როდესაც თვითონ ის ღარიბია. საჭიროა ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა მიაქციოს ამ თემს ჯეროვანი ყურადღება და ნივთიერი დახმარებაც აღმოუჩინოს მას.

ლაშესპირელი.

სოფ. წყემი (სენაკის მაზრა). აქ არის კოოპერატივი, რომელიც დღემდე ვერ იდგა თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. მიზეზი კი ამისა ის იყო, რომ კოოპერატივის გამგეობის მიერ მიზანშეუწონლად და უანგარიშოდ იქნა გაბნეული ძირითადი თანხა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ახალი აბაშის „ეპომ“ წყემის კოოპერატივს გამოუგზავნა საქონელი და ყოველმხრივ ხელი შეუწყო მის მუშაობას, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. კოოპერატივი დაადგა აღორძინების გზას, რითაც თემის გლეხობა დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს.

კლდე.

ფახულანის თემი (ზუგდიდის მაზრა). ამ თემის მცხოვრებნი ძლიერ ღარიბი არიან. სხვათა შორის აქ არ არის არც სამკურნალო, არც ექიმი და აფთიაქი. ამ მხრივ გლეხკაცობა დიდ გაჭირვებას განიცდის. საჭიროა ამას ეხლავე მიექცეს სერიოზული ყურადღება სათანადო ორგანოების მიერ.

ან. შონია.

— **სოფ. ბოხვაური** (ოზურგეთის მაზრა). რამოდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც აქ დაარსდა სამკითხველო. ის ჯერჯერობით ძლიერ ღარიბია. სამკითხველოში მოიპოვება მხოლოდ ორიოდე გაზეთი. მაგრამ სამწუხაროდ რა დროსაც არ უნდა შეხვიდეთ შიგ, ვერასდროს ვერ ნახავთ ახალ გაზეთს, რადგან ის ვინმე პრეკობის აქვს წაღებული სახლში გაზეთის შემდეგი, ახალი ნომერის მისვლამდე. სოფლელებს ეს გარემოება მეტად აწუხებს, რადგან ისინი მოკლებული არიან ახალ ამბებს, ახალ ცნობებს. საჭიროა სამაზრო პოლიტგანმა ამას მიაქციოს ყურადღება და გააფრთხილოს სამკითხველოს „[illegible]“ გამგეობა, რომ ახალი გაზეთები სამკითხველოში უნდა ეწყოს და არა პრეკობის სახლში.

მნახველი.

სოფ. ვარდისუბანი (თელავის მაზრა), 1 ივლისს აქ გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობას. დღეში რამოდენიმე მსხვილფეხა საქონელი იხოცება. კერძოდ 17 ივლისს დაიხოცა 20 მეტი საქონელი, შრატის უქონლობის გამო კი, მდგომარეობა დღითიდღე მწვავდება. სოფ. ვარდისუბნის მოსახლეობა მიწის ნაკლებობის გამო უმთავრესად მისდევს მესაქონლეობას და თუ დღესვე არ იქნა მიღებული სასწრაფო ზომები და გლეხკაცობას არ აღმოჩინა ვეტერინალური დახმარება, ის დიდ გაჭირვებაში ჩავარდება.

ვარდისუბნელი.

ს. ძირულა (შორაპნის მაზრა). ძირულის ქარხანა „შროშას“ აქვს საკუთარი აბანო, სადაც ჩვენ, ქარხნის მუშები კვირაში, თუ ყოველ დღე არა, ერთხელ მაინც ვისუფთავებდით ტანს. ჩვენდასამწუხაროდ აბანო გაფუჭდა თუმცა სულ მცირე შეკეთება ესაჭიროება მას, მაგრამ არვინ გამოჩნდა ისეთი გულშემატკივარი, რომ მიეღო სათანადო ზომები აბანოს ამუშავებისათვის. ქარხნის მმართველის დაპირება კი მხოლოდ დაპირებად დარჩა. საჭიროა ადგილკომმა დაადგას ამ მიმართულებით საჭირო ნაბიჯები.

ქარხნის მუშა.

სოფ. ქიქიეთი (ოზურ. მაზრა). აქ არსებობს ოთხწლიანი შრომის სკოლა, რომლის შენობა უყურადღებობის გამო დღესაც დაუმთავრებელია. ამიტომ ცუდი ამინდის დროს და ზამთარში საჭირო ხდება კერძო სახლის დაქირავება, მაგრამ ამას რომ თავი დავანებოთ, ეხლა ეს სკოლა საქონლის საბუდრადაა გადაქცეული, იმტვრევა მაგიდებიც, სკამები და სხვადასხვა სასკოლო ნივთები, რადგან სკოლის კარები ყველასათვის მუდამ ღიაა. ადგილობრივი მასწავლებლობა კი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. პირიქით, მათ უპატრონოთ დასტოვეს სკოლა და საგარაკოთ ბახმაროში გაემგზავრენ. ასეთ კულტურულ დაწესებულებაზე, როგორიც არის სკოლა, საჭიროა მეტი მზრუნველობა.

მეხი.

სეფიეთის თემი (სენაკის მაზრა). ა. წ. 15 თებერვლიდან აქ გაიხსნა ამხ. ფ. მახარაძის სახელობის სამკითხველო, რომლის შენახვა იკისრა სამაზრო პოლიტგანმა. უნდა ითქვას, რომ სამკითხველოს მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება. ამჟამად მასში მოიპოვება სხვადასხვა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. მხოლოდ გვაკლია უცხო სიტყვათა ლექსიკონი და იურიდიული ხასიათის ცნობანი, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ სოფლის გლეხკაცობისათვის. ჩვენ უნდა ვიმედოვნოთ, რომ ჩვენი შეფი ამ მხრივაც გაგვიწევს დახმარებას. დასასრულ ადგილობრივ მცხოვრებთა და სამკითხველოს საბჭოს სახელით უდიდეს მადლობას უცხადებ ამხ. არ. ლაბარტყავას, რომელმაც სამკითხველოს გამოუწერა სხვადასხვა გაზეთები და ფულადი დახმარებაც გაგვიწია სამკითხველოს მოწყობაში.

სან-ლასი.

ჯურუყვეთის თემი (გურია). მიუხედავად წინასწარ მიღებულ ზომებისა, ჩვენს ადგილობრივ საბჭოში მაინც შეიპარნენ არასასურველი ელემენტები, რომლებიც საბჭოს თითქმის ყოველ სხდომაზე ინტრიგანობის და ცბიერობის მეტს არაფერს აკეთებენ. კიდევ მეტიც: ისინი მუშკორებსაც მიათრევენ. ა | წ. 18 ივლისს სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. საბჭოს სხდომის გახსნის შემდეგ [illegible] შემოდის ღვინით გალეშილი საბჭოს წევრი მ. [illegible] ხოფერია, რომელიც თავისი [illegible] ამხანაგებთან ერთად სტეხს [illegible] მაყალს, მართავს ხელჩართულ ბრძოლას და შლის საბჭოს სხდომას, რამაც [illegible] აღელვა ადგილობრივი მშრომელი გლეხობა. საჭიროა ამ მდგომარეობას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და ის პირები, რომლებიც სახელს უტეხენ ჩვენი სოფლის საბჭოს, გამოძევებულ იქნან საბჭოდან და პასუხისგებაში მიცემული.

მ. ჭ—ა.

სოფლის ქრონიკა

— **ახალ-სენაკში** ამ დღეებში თბილისის ქალაქის ბანკი გახსნის თავის განყოფილებას.

— **ახალციხეში** ამ დღეებში დამთავრდება 80 ცხენიან ძალის ელსადგურის აგება

— **თხილის დამზადება.** ცეკავშირი სამტრედიის რაიონში დამზადებს 60,000 ფ. თხილს.

— **სიმინდის გაიაფება.** ქუთაისში ჩრდილოეთ კავკასიიდან სიმინდის შემოზიდვის გამო სამტრედიის ბაზარზე სიმინდი გაიაფდა 20 პროც.

— **მასწავლებელთა გადასამზადებელი** 1 თვენახევრიანი კურსები გაიხსნა 18 ივლისს შორაპანში. მეცადინეობა სწარმოებს წარმატებით.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ერთ სამუშაოდან მეორეზე გადაყვანის შესახებ

კითხვა

არის თუ არა დასაშვები, რომ მუშა-ხელოსანი რკინის გზაში მუშაობდეს ერთ და იმავე საქმეზე 15—20 წელიწადი და გადაჰყავდეთ ის მეორე ალაგას იმავე საქმეზე და აძლევენ ნიშანს როგორც ახალს და უკლებდენ შრომის ჯილდოს?

მუშა დუჩგალი.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 36 და 37-ისა დამქირავებელს აქვს უფლება გადაიყვანოს ერთ წამოწყებიდან მეორეში, თუ პირველში სამუშაო არ არის იმ პირობით, რომ მისთვის დაცული იქნება დაქირავებულის კვალიფიკაცია. გადაყვანა კი ერთ საცხოვრებელ ადგილიდან მეორეში (მაგ. თბილისიდან გორში და სხვ.) უნდა მოხდეს დამქირავებელთან შეთანხმებით.

მე მეკუთვნის თუ ჩემს დას?

კითხვა

მე ვმსახურობ რკინისგზის შეშის საწყობში მუშად. ბავშვობიდან ვარ ჩაბმული ფიზიკურ მუშაობაში, და ახლაც ვმუშაობ ფიზიკურად. ჩემი მშობლები იყვნენ ღარიბნი (გლეხნი). ჩემს მშობლებს, ჩემს ოჯახს და დასაც ვარჩენდი ჩემი შრომის ხელფასით. ჩემს დებს ვასწავლე და გავათხოვე. ყველას მივეცი მზითევი.

ს. მცხეთაში ავაშენე სახლი ერთ სართულიანი ოროთახი. სახლის გაკეთებაში არც მშობლებს და არც ჩემს დებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. მშობლებიც ჩემი საკუთარი ხარჯით დავმარხე, ახლა კი ჩემი ერთი გათხოვილი და არ მანებებს სახლსა. ჩემი საკუთარი ნივთებიც გამიყიდა და ცოლის მზითევიც.

გთხოვთ განმიმარტოთ ზემოხსენებული სახლი მე მეკუთვნის თუ ჩემს გათხოვილ დას., რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია სახლის გაკეთებაში. თუ მე მეკუთვნის იგი, ვის მივმართო, რომ დავიბრუნო სახლი და ჩემი დის მიერ გაყიდული ნივთები.

მუშ. ი. გიუტაშვილი.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 61—ისა, ის ქონება, რომელიც შეძენილია ოჯახის ამა თუ იმ წევრის (ამ შემთხვევაში თქვენი) პირადი ხარჯით, თუ კი აღნიშნულ წევრი (ამ შემთხვევაში თქვენ) დაამტკიცებთ პირადი ხარჯით ქონების შეძენის ფაქტს (სინამდვილეს), ეს ქონება გამოირიცხება საერთო ქონებიდან და მიეკუთვნება იმას, ვისიც შეძენილია.

თქვენი ცოლის მზითვი ეკუთვნის თქვენს ცოლს და მის შვილებს.

სხვისი (თქვენი და თქვენი ცოლის) საკუთარ ქონების გაყიდვისათვის თქვენი და პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

პირად თქვენ გირჩევთ სათანადო განცხადებით მიმართოთ ადგილობრივ სახალხო სასამართლოს.

ეკუთვნის თუ არა შრომის ხელფასი

კითხვა

ჩემი ქმარი პარმენ იოსების ძე ლამბაშიძე მსახურობდა ა | კ. რკინის გზების საშემოსავლო ნაწილში. ამ ერთ თვის წინად იგი იქნა დაპატიმრებული საქ. საგანკომის მიერ.

გთხოვთ შეგვატყობინოთ აღნიშნულ ლამბაშიძეს ეკუთვნის თუ არა პირველ ორ თვეში დაპატიმრებიდან ჯამაგირი?

ნინა დარსაველიძე—ლამბაშიძისა.

პასუხი

ეკუთვნის. (იხ. ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატის შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 46-ის პუნ. „ე“ და 68 მუხ. გამოყენების წესის შესახებ 1925 წ. იანვრის განმარტება.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. ცეკას საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს იმ პარტიულ ამხანაგებს, რომელთაც ხელთ აქვთ მთლიანი პარტიული ბილეთი № 500 979, № 501.285 სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ცეკას საორგ. გამნაწ. განყ. ან გვაცნობონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი.

— ლენინის რაიკომი იწვევს: სამშაბათს, 28 ივლისს, საღამოს 5 ს. რაიკომის ბინაზე შესდგება უჯრედების საორგ. კომისიების თათბირი.

დღის წესრიგი: საორგ. კომისიების მოხსენებანი ადგილებიდან.

დასწრება სავალდებულოა კომისიების ყველა წევრებისთვის, რომელთაც თან უნდა მოიტანონ მასალები და გეგმები კომისიების მუშაობის შესახებ.

ს. განყ. გამგ. მაგიერ არუთინოვი.

— არსრაიკომი იწვევს: სამშაბათს, 28 ივლისს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე მოწვეულია რაიშეფბიუროს სხდომა.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

ედიგაროვი, მაჩაიძე, ორჯონიკიძე, სალარაძე, ტოგონიძე, ოტიაშვილი, კანდელაკი, ფერაძე.

აგრეთვე სავალდებულოა დასწრება შემდეგი უჯრედების მდივნებისათვის, ფაბ „პროლეტარი“, მილიცია, მუშკოოპი, „ტრამოტი“, ტრამვაი, კარდონის ფაბრიკა, ვოკტ-მომუშავეთა, სანიტარებისა, პროლეტკულტისა, აღმშენებლების, წყალსადენის, სახელკინოსის და განათლების მუშაკთა.

— სამშაბათს, 28 ივლისს სალ. 7 ს. ცენტ. პარტკლუბში შესდგება მორიგი სხდომა საწარმოვო უჯრედების მდივნების სემინარიულ კურსებისა რუსულ ენაზე.

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყ. იწვევს: სამშაბათს, 28 ივლისს, საღამოს 6 ს. აღმასკომის შენობაში შესდგება შინა-დიასახლისთა კრება.

სავალდებულოა დასწრება ქალთა ორგანიზატორებისთვის.

პროფესიონალური

საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების პროფკავშირის მიმღები კომისიის სხდომა, რომელიც ანაწილებს ადგილებს ქ. თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში და ქ. ლენინგრადის მუშფაკებში, შესდგება ოთხშაბათს, 29 ივლისს, ჩ | კლუბის ბინაზე, დასწრება ყველა იმათი, ვინც შემოიტანა განცხადება, სავალდებულოა. ვინც არ დაესწრება, იმათი განცხადება არ იქნება განხილული.

განცხადებები

გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის მუშები და მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ მბეჭდავთა კავშირის წევრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი სტამბის მუშა ასოთ-ამწყობი

არუთინ ჯუვარიანი

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 26 ივლისს, გამოსვენება პანასევიჩის ქ. 46 დასაფლავება ხოჯევანქის სასაფლაოზე. 2067 1—1

ღრმად დამწუხრებული დედა—ელისაბედი, ძმა თეოფილე, დები ტერეზა და ნატაშა, სიძეები ბენიაშე იაშვილი და ირაკლი მეგრელიშვილი, რძალი მარია და დისშვილები, აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 11 ივლისს 1925 წ. გარდაიცვალა ქალაქ ვლადივოსტოკში მათთვის ძვირფასი

ერმილე გიგოს ძე დოლიძე

2078 1—1

ელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

მუშათა ცენტრალური კლუბი

პლეხანოვის პროსპექტი № 123.

კვირას, 26 ივლისს

მე-3 სიმფონიური კრება

დამსახურებული არტისტის **ს. ა. სტოლერმანის** ხელმძღვანელობით **ლევ ბენდიცკის** მონაწილეობით

ნ. 1512 1—1.

ს. ს. საქართ. გზატკეცილების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 5 ამა აგვისტოს დღის 12 საათზე სამმართველოს შენობაში, მაჩაბლის ქ., ყოფილი სერგიევის № 8, დანიშნულია ნახმარი არა საჭირო გეოდეზიური იარაღების

საჯაროთ გაყიდვა

იარაღების გასინჯვა და ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე იქვე ტექნიკურ განყოფილებაში დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდის.

ნ. 1543. 1—1.

იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა საგაკვეთილო დებულება

საამშენებლო სამუშაოთათვის ქართულ ენაზე ტექნიკურ ლექსიკონითურთ. წიგნის ფასი 12 მანეთი, პროფკავშირების წევრთათვის 10 მანეთი. ხელისმომწერნი პირველად იხდიან ფასის მესამედს, დანარჩენს კი ორი თვის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება საქართველოს გზატკეცილების სამმართველოში სარედაქციო კომისიის მდივანთან გ. თარხნიშვილთან ივ. მაჩაბლის ქ. № 8.

ნ. 1544 3—1.

საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის სააქციო საზოგადოება აცხადებს

შეჯიბრებას

შემდეგ მუშაობაზე

კინო „აპოლოს“ მიმდინარე შეკეთება და მხატვრული გამშვენება

პირობების გაგება შეიძლება თეატრების გამგესთან ამხ. პეტროსიანთან, სახკინმრეწვი ([illegible] მოედანი, არვასლა).

შეჯიბრება მოხდება სახკინმრეწვში ოთხშაბათს, ივლისის 29-ს დღის 12 საათზე.

შეჯიბრების მონაწილეებს შემოაქვთ თავდები 200 მანეთი

ნ. 1545 1—1. სახკინმრეწვი.

ტფილისის საბაჟო

ამით აცხადებს, რომ ა.-წ. 28 ივლისისათვის დილის 10 საათზე საბაჟოს ეზოში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სხვადასხვა საკონტრაბანდო საქონლის

როგორც მაგ.: ტყავის, სხვადასხვა ქსოვილების, ქალის ჩულქების, მამაკაცის წინდების, კოკაინის, ოპიუმის, საგალანტერეო საგნების, კოსმეტიკის და სხვ. გასასყიდათ.

თბილისის საბაჟოს მმართველი **ხ. ზალინოვი.**

საქმეთა მმართველი **ს. ქომახიძე.**

ნის. 1532. 1—1

თბილისის განათლების განყოფილება

ამით აცხადებს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტს და ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღები თხოვნები ქ. თბილისისა და თბილისის მაზრის მცხოვრებთა უნდა შემოტანილი იქნეს გან. განყოფილებაში. თხოვნები განიხილება [illegible] კომისიის მიერ და წარეგზავნება უმაღლეს სასწავლებელთა მიმღებ კომისიაში. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს საჭირო საბუთები (დედანი და ორი სათანადოთ შემოწმებული ასლი) წლოვანების, განათლების, ნივთიერი მდგომარეობისა და ორი ფოტოგრაფიული სურათი. თხოვნების მიღება გაგრძელდება ივლისის 20-დან აგვისტოს ათამდე.

ნ. 1521 3—3

თბილისის კომუნალური ბანკის განყოფილება

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ა. წ. 1 აგვისტოდან

იხსნება

ქალ. სენაკში ამავე ბანკის განყოფილება

რომელიც აწარმოებს ყოველგვარ საბანკო ოპერაციებს, თანახმად ა/კ. ფინსახკომის მიერ დამტკიცებულ წესდებისა.

ნ. 1533 1—1

მოქალაქენო!

თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ

მ. ლაღიძის

საუკეთესო, ხელოვნურათ მომზადებული ხილეულ-მადნეული და სამკურნალო

წყლები,

რომლებიც მომზადებულია უმაღლესი, ნამდვილი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადუღი წყლით უაღრესათ გაუმჯობესებულ აპარატებზე.

ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილ ღირსებაზე, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ან მისი საკუთარი განყოფილებიდან.

რუსთაველის პროსპექტი № 18

ნ. № 1496 4—3

საჯარო ვაჭრობა

250 სხვადასხვა სახელწოდების საქონლის გასასყიდათ, დანიშნულია მუშათა მთლიან კოოპერატივის სავაჭრო განყოფილების მიერ ა/წ. 26 ივლისს დილის 9 საათზე ქორესის ქუჩა (ყოფ. კირკის) № 7, შესავალი ეზოდან

ცნობების მიღება შეიძლება დილის 8 11 საათამდე ამხ. **ჭავჭანიძესთან**

ნ. 1526 2—2.

ა.-კ. წითელ-დროშოვან არმიის მომარაგების უფროსის სამმართველო

(თბილისი, ჯორჯიაშვილის ქ. № 10)

აცხადებს, რომ ა. წ. 17 აგვისტოს, დღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

250,000 ფ. ხორცისა და 24,000 ფ. თევზის მიწოდების შესახებ 1925 წლის პირველ 1926 წ. ოქტომბრიდან 1-ლ ოქტომბრამდე)

ორგანიზაციები, დაწესებულებანი და კერძო პირები, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში, მიწვეულ არიან გამოცხადდნენ, ან გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი, ან წერილობითი განცხადება შემოიტანონ ვაჭრობის დღეს არა უგვიანეს 12 საათისა. განცხადებაზე გადებულ უნდა იყვეს სალერბო გადასახადი და წარმოდგენილ უნდა იყვეს დახურულ კონვერტში შემდეგი წარწერით: „ხორცზე საჯარო ვაჭრობისათვის 17 აგვისტოს“ დაცულ უნდა იყვეს ყველა წესები, რომელიც კი გათვალისწინებულია ინსტრუქციით სახელმწიფო იჯარებისა და მიწოდების საჯარო ვაჭრობის შესახებ.

განცხადებაში ნაჩვენები უნდა იყვეს მიწოდების პირობები, ფუთი ხორცის ფასი და მიმწოდებელის მისამართი.

როგორც ზეპირ, აგრეთვე წერილობითი განცხადებასაც თან უნდა ახლდეს ვაჭრობაში მონაწილეთა პირადობის მოწმობანი. შემდეგ: სახელმწ. ბანკის ერთ-ერთ სალაროში მომარაგების უფროს-ს სახელზე შეტანილ თანხის კვიტანცია. ეს თანხა უნდა იყოს არა ნაკლებ 10 პროც. მიმწოდებელის მიერ პირობებში აღნიშნულ მთელი ჯამისა ან წარდგენილ უნდა იყოს 10 პროც. ღირებულობის საბუთები რაიმე უძრავ ქონებაზე უდაო მფლობელობის შესახებ. აგრეთვე თან უნდა ახლდეს ხელწერილი, რომ უეჭველათ მიიღებს ხელშეკრულობას, თუ კი მისი პირობები მისაღებათ იქნება ცნობილი.

სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები თავისუფლდებიან ამ შეტანისგან.

მიწოდება შეიძლება შესრულებულ იყვეს როგორც არმიის საერთო მასშტაბით, ისე ნაწილობრივაც.

პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე, დაწყებული 25 ივლისიდან, 13—15 საათამდე მომარაგების უფროსის სამმართველოს ქვ განყოფილებაში.

ა.-კ. წით.-დროშ. არმიის მომარაგ. უფროსის დროებითი აღმასრულებელი—ფრეიგანგი.

ნ. 1546 1—1.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა/წ. 5 აგვისტოს დღით ოთხშაბათს

ინიშნება შეჯიბრება

500 კუბ. საჟ. 12 ან 24 ვერშოკიანი მაგარი ჯიშის შეშის დადგმის გაცემის შესახებ

შეკვეთის აღება შეიძლება როგორც მთელი რაოდენობით, აგრეთვე ნაწილობრივადაც, მაგრამ არა ნაკლებ მთელი რაოდენობის მესამედისა. დადგმის ვადა ა/წ. 10 ოქტომბერი.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველმა უნდა შემოიტანოს ამის შესახებ სათანადო განცხადება სალერბო მარკის ზედ დართვით, რომელ განცხადება იაც უნდა იქნეს აღნიშნული: დასადგმელად განზრახული შეშის რაოდენობა, შეშის ჯიში, დადგმის ვადა და ფასები ორთაჭალა ან ზემო-ავჭალა.

განცხადება უნდა იქნეს დახურულ პაკეტში წარწერით: „ა/წ. 5 აგვისტოს დანიშნულ შეშის დადგმის შეჯიბრებაზე“ და ჩაშვებული ყუთში, რომელიც სპეციალურად იქნება ჩამოკიდებული ზაჰესის სამასალო განყოფილების კარებთან. განცხადებათა მიღება შესწყდება 5 აგვისტოს დღის 12 საათზე. განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს ქვითარი დასადგმათ განზრახული რაოდენობის ღირებულების 5 პროც. ზაჰესის სალაროში შეტანის შესახებ საწინდარის სახით, რომელი თანხაც დაუყოვნებლივ დაუბრუნდება პატრონს, თუ მას არ მიეცა შეკვეთა.

სახელმწიფო დაწესებულებათათვის საწინდარის წინასწარ არ შემოტანა არ არის სავალდებულო, მათ იგი დაეჭირებათ, თუ შეკვეთა მიეცათ, ყოველ ჩაბარებული რაოდენობის ხვედრ ღირებულებიდან 15 პროც. სანამ არ შესრულდება მთელი საწინდარის ჯამი 10 პროც. იმ პირთ, რომლებმაც შემოიტანეს შეჯიბრებაში მონაწილეობისას 5 პროც. დასადგმელად განზრახული რაოდენობის ღირებულებიდან და თუ მიეცათ შეკვეთა, შემდეგში ყოველ ხვედრ მისაღებ ჯამიდან დაეჭირებათ კიდევ 10 პროც., სანამ არ მოთავდება საწინდარში მთელი შეკვეთილი რაოდენობის ღირებულების 10 პროც.

ცნობების მიღება შეიძლება სამასალო განყოფილებაში ყოველ დღე 9—2 საათამდე.

სამუშაოთა უფროსი, ინჟინერი **ჭიჭინაძე.**

მატერიალურ განყოფილების უფროსი **ქართველიშვილი.**

ნის. № 1549—3—1

შოფერების პირველმა ამხანაგობამ
მოაწყო ავტომობილების რეგულიარული მიმოსვლა

სწრაფად მავალ მსუბუქ ავტომობილებით

თბილისი-კავკავი: ავტომობილები გადის: თბილისიდან სამშაბათობით და პარასკეობით დილის 8 საათზე. კავკავიდან—ხუთშაბათობით და კვირაობით—დილის 8 საათზე.

ამხანაგობამ განაახლა მიმოსვლა აგრეთვე: **მანგლისის, კოჯორის, კიკეთის** და სხვა მიმართულებით.

მგზავრებს მიაკითხავენ სახლში. მიყვანა გარანტიით. ნახევარი ფუთი ბარგის გადატანა—უფასოდ.

მთავარი კანტორა: თბილისი, თავისუფლების მოედანი № 1 („კაფე არმაზი“).

განყოფილებები: კავკავში—სასტუმრო „გრანდოტელ“. მანგლისში—სასტუმრო „ფურორ“-ს ქვეშ. კოჯორში—აფთიაქთან.

ნ. 1475 4—2.

საელექტროფიკაციო სააქციონერო ბანკი

„ელექტრობანკ“

(„ЭЛЕКТРОБАНК“)

ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილება

თბილისი, ველიამინოვის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—58

აწარმოებს

ბანკის წესდებით ნებადართულ ყოველგვარ ოპერაციებს, როგორც მაგალითად: **ელექტროფიკაციისა და ელექტრომშენებლობისათვის ფინანსიური დახმარების გაწევა გრძელვადიან სესხის მიცემით, მოკლე ვადიან სესხის გაცემა საქონლისათვის, საქონლის დოკუმენტები, ფასიან ქაღალდები და სხვ.** თამასუქების აღრიცხვა და სპეციალური მიმდინარე ანგარიშები, ფასიან ქაღალდების და საქონლის ყიდვა-გაყიდვა დავალებით, ფულის თანხების მიღება მიმდინარე ანგარიშზე და შესანახად გადასაგზავნ თანხების მიღება, საკრედიტო საინკასო და სხვა საგადასახადო დავალებათ მიღება და სხვა.

ნ. 1508 2—2.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოსთან გამართულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის

დადგენილება

15—18 ივლისი 1925 წ. (ოქმი № 8—4/9 და 5/6)

1

ა.-კავკასიის რკინის გზებზე ადგილობრივ დაკლებული ტარიფის შემოღება ხილზე (ახალზე) და ნაყოფზე

დაწესდეს ხილის (ახალი) და ნაყოფის გადასატანად (საბჭ. კავშირის რკინის გზების ტარიფების კრებულის მთელი 115 ჯგუფი, ნაწილი მეორე) დაკლებული ადგილობრივი ტარიფი ამიერ-კავკასიის რკ.-გზ. 15 პროც.-ის შეღავათით ნორმალურ ტარიფის მიხედვით.

ეს ტარიფი ვრცელდება ყოველგვარ ხილის და ნაყოფის გადაზიდვაზე როგორც ვაგონობით, ისე ფუთობით მცირე და დიდი სამგზავრო მატარებლის სისწრაფით ამიერ-კავკასიის რკ. გზ. ადგილობრივ მიმოსვლის ფარგლებში.

ეს დაკლებული ტარიფი არ ვრცელდება ყოველგვარ ხილის და ნაყოფის გადაზიდვაზე სანაპირო სადგურებიდან —სანაპირო სადგურებამდე, რომელნიც მდებარეობენ ამიერ-კავკასიის რკინისგზაზე და ამიერ-კავკასიის რკ.-გზ. ნავთსადგურის სადგურებიდან ნავთსადგურის სადგურებამდე.

ამ ტარიფის მოქმედების ვადაა 1 წელიწადი გამოქვეყნების დღიდან.

ამ ტარიფის გამოქვეყნების შემდეგ უქმდება ამიერ-კავკასიის რკინია-გზ. მომქმედი ადგილობრივი ტარიფი ხილზე (ახალზე), და ნაყოფზე რომელიც შემოღებულია საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის მიერ ამიერ კავკასიის რკ.-გზების სამმართველოსთან 1924 წ. 27 დეკემბრის თარიღით და რომელიც გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 779 ნომერში 1925 წ. 15 იანვრის თარიღით და ტარიფების კრებულში № 260.

ტარიფი ესე ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ.

2

ამიერ-კავკასიის რკინის-გზებზე ერთიან საგაკანო ტარიფის დაწესება

მგზავრების მიმოსვლისათვის ამ უბნებში, რომელიც გამოცხადებულია ადგილობრივ მიმოსვლის უბნებად (ბაქო —საბუნჩი—სურახანი, ბაქო-ბალაჯარი, ბაქო-ებათი, ბაქო-ხურდალანი, ბათომი-ნატანები, თბილისი-გრაკალი) დაწესდეს ერთი საერთო განაკვეთი 15 კაპეიკი მგზავრზე ყველა ბაქნებიდან და ნახევარ სადგურებიდან—ბაქნებამდე და ნახევარ სადგურებამდე.

მგზავრების მიმოსვლისათვის დანარჩენ უბნებში (რომელიც არ არის გამოცხადებული ადგილობრივ მიმოსვლის უბნებად) განაკვეთი წესდება 25 კაპეიკი მგზავრზე ყველა ბაქნებიდან და ნახევარ სადგურებიდან —ასეთებამდე.

შენიშვნა 1: ორივე აღნიშნული განაკვეთი შეიცავს სამხედრო გადასახადს ტრანსპორტის განახლების საქმისათვის.

შენიშვნა 2: იმ უბნების სია, რომელშიაც უხდიბათ მგზავრობა მუშებს მუდმივ ცხოვრების ადგილიდან ყოველდღე მათ მუშაობის ადგილამდე და რომელზედაც ეს ტარიფი, თუ იგი აღემატება არსებულ განაკვეთებს არ ვრცელდება, დამატებით იქნება გამოქვეყნებული.

ტარიფი ესე შედის ძალაში მისი გამოქვეყნებიდან 7 დღის გასვლის შემდეგ.

3

ბაქოს ტრამვაის სახელზე საბუნჩის რკინის-გზის შტოს საჭიროებისათვის გაგზავნილ 1000 ვაგონ სილის (ბალასტის) განთავისუფლება ზოგიერთ დამატებითი გადასახადებისაგან

1000 ვაგონი სილა—(ბალასტი) გადაზიდვის დროს (საბჭ. კავშირის ტარიფების კრებულის 38, პოზ. 1-ლი და 27 ნაწილი) სადგურ სუმბაატიდან, სადგურ ბაქომდე ბაქოს ტრამვაის მისამართით ქვემოდ ჩამოთვლილი დამატებითი გადასახადები არ უნდა იქნეს აღებული:

1) გადასახადი დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის, იმ პირობით, თუ სილა-ბალასტის დატვირთვა და გადმოტვირთვა მოხდება ბაქოს ტრამვაის საშუალებით.

2) გადასახადი აწონვისათვის.

გადასაზიდი ქირაგადახდილი უნდა იქნეს საერთო წესით.

შეღავათი ესე წესდება ერთი წლის ვადით და შედის ძალაში მისი გამოქვეყნებიდან 7 დღის გასვლის შემდეგ.

4

ამიერ-კავკასიის რკ.-გზ. ადგილობრივი ტარიფის № 8 (04) გაუქმება 1 და 2 საფეხურის სკოლების მოსწავლეთა გადასაყვანად სადგურ თბილისიდან ან ამავე სადგურამდე, თბილის-ქსანის უბნის ყველა სადგურებიდან—თბილისამდე

ამიერ-კავკასიის რკ.-გზ. ადგილობრივი ტარიფი № 8 (04), რომელიც გამოქვეყნებულია საბჭ. კავშირის რკ.-გზ. ტარიფების კრებულის 5 ნაწილში (ადგილობრივი ტარიფები) 1 და 2 საფეხურის სკოლების მოსწავლეთა გადასაყვანად სადგ. თბილისიდან ან ამავე სადგურამდე, თბილის-ქსანის უბნის ყველა სადგურებიდან თბილისამდე, ჩაითვალოს გაუქმებულად ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან 7 დღის გასვლის შემდეგ.

საუწყებათაშორისო-სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგილე **გ. ფიცხელაური.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **შახბუდაგოვი.**

ნის. 1548. 1—1

Судебный исполнитель Нарсуда 4 района г. Тифлиса

К. Потемковский объявляет, что 29 сего июля, в 12 часов дня, им будет продаваться с 1-го публичного торга в колбасном заведении Ивана Михайловича Курхули, на Мадатовском острове, в д. № 3, нижеследующее имущество его, Курхули, составляющее полное оборудование колбасного заведения и оцененное для продажи в 762 руб., как-то: колодка-блюк, котлетная машина № 32, чиприц для набивки колбас № 45, волчок № 103, пресс деревянный, два прибора о 6 ножах каждый для рубки мяса, разные столы, бочки, мотор со счетчиком и трансмиссией, чаны, стол письменный, весы десятичные и столовые и проч.

2086. 1—1.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

სწოლებით რენტგენი დაარსიანვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე ინვალიდმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—11

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38.

25—17

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.

25—15

ექიმი დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული

(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25—10

ჩამორჩენილ მოწაფეებს ვასწორებ

მათემატიკაში

(არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტ. და ტრიგონომეტრ.)

1 სექტემბრამდის გავდიოდი მთელ კურსს და **ვამზადებ უნივერსიტეტში**

[illegible] არ ნაკლებ ოთხი კაცისა. ცალკე გაკვეთილები შეთანხმებით. პლეხანოვის ქ. № 25 (შესავალი ალექსის ქუჩიდ. 5 ნახვა და ჩაწერა 9—1 ს., სად 4—7 საათ.

2—1 2083

რწმუნების ქაღალდს

მიცემულს ჩემს მიერ მოქალაქე ნიკოლოზ ძიმისტარიშვილზე, შემოწმებულს თბილისის მე-3 სახელმწიფო სანოტარო კანტორაში 1924 წლის 13 მარტს, რეესტრის № 485, ჩემი მამულის მართვა-გამგებლობის მინდობით, ამით ვაუქმებ სამუდამოდ.

1—1 2087

პროფესორი გ. მ. მუხაძე

გაფრხილოთ გაემგზავრა ბორჯომში.

1960 25—7

ექიმი ი. ი. გერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—1

წალვერი

მედიცინის დოქტორი ა. ა. მონ[illegible]

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპონოვის აგარაკი № 5 (კოოპერატივის [illegible]).

25—18 1795

ექიმი გ. ი. შაპოშნიკოვი

ელისაბედის ქ. № 7

სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი

იღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალებისათვის დღის 3—4 საათამდე.

25—17

ექიმი გ. გოლ[illegible]

ღებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე ნიკოლოზის ქ. 32 [illegible] უფასოთ საქ. სახელმწიფო მედვაჭრობის [illegible] დღის 2—4 საათამდე.

25—8

ექიმი გ. მ. ფხაკაძე

კანისა და ვენერიული სნეულ. სიფილისი (606 914)

მიღება კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. სად. ქალების 6—7 ს. სად. მოსკოვის ქ. № 4.

25—1

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა და ხელოვნური კბილები. მიღება 12-4 საათამდე და 5-8 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ლექსამდროვის ბაღის პირდაპირ).

25—16

ექიმი ი. დ. თუმანიშვილი

ალიხანის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—16

მანგლისი

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან და ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6—[illegible] საათამდე.

25—4

ბაღცევის აგარაკი, ბაღის მახლობლად

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

25—12

ექიმი გ. გ. მელიქსეტ[illegible]

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტგენის სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—9

დაკარგე პასპორტი და თბილისის მშრომელთა კავშირის წიგნაკი ლუარსაბ ფუტურიძის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2076

დაკარგე მეტრიკული მოწმობა, მიხეილ გვიდოს (გაბრიელის) ძე ბერიშვილის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2077

დაკარგე მეტრიკული მოწმობა № 1091 ვასო მგალობლიშვილის სახელზე ჩ. გ.

1—1 2075

დაკარგე 1) ნამსახურობის მოწმობა მოცემული სამხედრო საინჟინერო სამმართველოდან, 2) ნამსახური მოწმობა მოცემული ტექნიკურ კანტორიდან „ვულკანომ ოკკა“ 1924 წლიდან, 3) შრომის ბირჟის წიგნაკი მოცემული 1924 წელს გიორგი მაქსიმეს ძე ბეზალოძის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2079

დაკარგე ვარლამ დავითის ძე ჭანტურია. მ პირადობის მოწმობა № 11945 სასამსახურო წლიური ბილეთი № 303299, პირადი წიგნაკი ფორმა 4 № 5813, ქალიშვილის სუზონის ბილეთი № 429187. ჩ. გ.

1—1 2080

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის ნუსხა, გრიგოლ გიორგისძე ფიცხელაურის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2081

დაკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი № 2120 სარქის აბოიანცის სახელზე ჩ. გ.

1—1 2083

დაკარგე იგორ ვალიშვილის ქალაქის ლომბარდიდან გაცემული დაგირავებული ნივთების ქვითარი № 8657.

1—1 2084

ტირაჟი.—22.375

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4